# საჰბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 18 სექტემბერი 1999 №179 (952) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

## უეფა ბინას იცვლის

ახალმოსახლეობას ქართველებიც დაესწრებიან

5

## სანამ ჰუსაინოვი ამბავს ახსნიდეს...

რუსული ფეხბურთის მამები ლოთი მსაჯების მკაცრად დასჯას აპირებენ

6

## სისულელეა, მარკ ბოზნიჩი არსად მიდის



ამბობს „მანჩესტერის" მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი

12

## რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



თამაზ იმნაიშვილი

14

## გინდათ ოლიმპიადა?

დააკმაყოფილეთ სოკ-ის წევრთა პათოლოგიური ფანტაზიები

# თბილისში ორი დერბია



ისე, როგორც შარშან: ხვალ ეროვნულ სტადიონზე „დინამო" — „ლოკომოტივი"

*დღეს პირველი ლიგის დებიუტანტი „თბილისი" „ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლებს, გუშინწინ ბერძნული პაოკ-ისგან 0:7 ნაგვემი „ლოკომოტივი" კი ხვალ „დინამოს" ესტუმრება.*

**საქართველოს 11 ჩემპიონატი — 5 ტური**

«ა» ზონა

18 სექტემბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| სიონი | |
| არსენალი | |
| თბილისი | |
| ვიტ ჯორჯია | |
| ბათუმი | |
| სამგურალი | |

19 სექტემბერი, კვირა

| | |
|---|---|
| დინამო | |
| ლოკომოტივი | |

«ბ» ზონა

18 სექტემბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| დილა | |
| ხობი | |
| იბერია | |
| გორდა | |
| მერანი | |
| კოლხეთი | |

გადაიდო

| | |
|---|---|
| თსუ | |
| ტორპედო | |

# ფედერაციას წელიწადის დროები აერია?

## თვრამეტწლამდელებს სამკალს გაზაფხულზე სთხოვენ

*გუშინ საღამოს უჩვეულო ხალხმრავლობა იყო სასტუმრო „მესაზღვრის" ეზოში. მეგობრები და ნათესავები საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრების ფეხბურთელების გასაცილებლად შეყრილიყვნენ. ერთობ მხიარული სიტუაცია სუფევდა „მესაზღვრეში". ახალგაზრდა ფეხბურთელებს თვალები უბრწყინავდათ — ხომ იცით, არ შეგარცხვენთ, ნუ გედარდებათო — ამშვიდებდნენ ახლობლებს. „მესაზღვრეში" ნაადრევად მომიხდა მისვლა, თვრამეტწლამდელები ვარჯიშზე იმყოფებოდნენ. ფოიეში სასტუმროს თანამშრომელი გამომესაუბრა. ჩემი სტუმრობის მიზეზი რომ გაიგო, სახე გაუნათდა: ერთი განახათ, რა კარგი ბიჭები არიან, როგორ იქცევიან. წყნარად, ორგანიზებულად შემოდიან სასადილოდ. ძალიან თავაზიანები არიან, ზედმეტ სიტყვასაც ვერ გაიგებთ მათგან, ჩანს, რომ დისციპლინას არიან მიჩვეულნიო.*

*მაშ ასე, დღეს 12 საათზე საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები უელსში გაფრინდება, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩების ჩასატარებლად. ეს არის ფაქტობრივად ახალი გუნდი, რომელსაც უელსის, იტალიის, შვეიცარიის ჯობნა მისცემს მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსს.*

იხილეთ მეორე გვერდი



ვახტანგ კოპალეიშვილი

საქართველოს 11 ჩემპიონატი
5 ტური

თსუ — ტორპედო

# ქუთაისელები დაისვენებენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ამ დღეებში გასამართი ეროვნული ჩემპიონატის ორი მატჩი გადაიდო. პირველი ლიგის მეხუთე ტურის შეხვედრა თსუ-„ტორპედო“, ისევე, როგორც რეგიონალური ლიგის დასავლეთის „ა“ ზონის მეორე ტურის თამაში ქუთაისის „ინტერსა“ და ტყიბულის „მეშახტეს“ შორის, სხვა დროს გაიმართება.

ახლა ამ მატჩების გადადების მიზეზზეც ვთქვათ.

20 სექტემბერს უელსში თვრამეტწლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის ახალი შესარჩევი ეტაპი იწყება, სადაც საქართველოს ნაკრებიც ითამაშებს. გუნდის მთავარი მწვრთნელის, ვახტანგ კოპალეიშვილის მიერ საამატჩებოდ გამოძახებულ ფეხბურთელთა შორის ოთხი თსუელია, ორი კი „ინტერის“ წევრი. დებულების მიხედვით, თუ ქვეყნის რომელიმე ნაკრებში (მათ შორის თვრამეტწლამდელებშიც) ერთი კლუბის ორი ან მეტი ფეხბურთელია გამოძახებული, აღნიშნულ გუნდს უფლება აქვს დანიშნული მატჩის მოგვიანებით გამართვა ითხოვეს. შემადგენლობაშეთხელებულმა თსუ-მ და„ინტერმაც“ ისარგებლეს ამ წესით და ფედერაციას თამაშების გადადების თაობაზე მიმართეს. იქიდანაც თანხმობა მიიღეს.

ასე, რომ ამ უქმეებზე ორივე ქუთაისური კლუბი „ტორპედო“ და „ინტერი“ დაისვენებენ.

როდის გაიმართება ეს შეხვედრები, ჯერჯერობით უცნობია. როგორც კი კალენდარში ფანჯარა გამოჩნდება, ამ შეხვედრებს მაშინვე ჩავატარებთო, გვიპასუხეს ფეხბურთის ფედერაციაში.

ცნობისათვის: მეთერთმეტე ეროვნულ ჩემპიონატში მატჩი პირველად გადაიდო.

**ვანო ოქროპირიძე**



მერაბ ჟორდანია და ვალერი ჩოლარია ნიონს გაემგზავრებიან

[illegible]

# შეფა ბინას იცვლის

## ახალმოსახლეობას ქართველებიც დაესწრებიან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია უეფას ხშირი სტუმარია. მოგეხსენებათ, იგი ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის ერთ-ერთი კომიტეტის წევრია და ბუნებრივია, მის საქმიანობაშიც მონაწილეობს.

ორშაბათს, 20 სექტემბერს, ჟორდანია კიდევ ერთხელ ეწვევა შვეიცარიაში მდებარე უეფას შტაბბინას, თუმცა მიზეზი ამჯერად სხვაა. კერძოდ ის რომ, ევროპული ფეხბურთის ხელმძღვანელებს ბინის გამოცვლა გადაუწყვეტიათ. უეფას ოფისი 22 სექტემბრიდან პატარა შვეიცარიულ ქალაქ ნიონში გადაინაცვლებს. ნიონი ამ ორ[illegible] ქალაქ- ჟენევას მახლობლად [illegible] რეობს. შტაბბინის გახსნის ცერემონიალზე უეფას თავისი [illegible] ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი და[...] უპატიჟია, მათ შორის მერაბ ჟორდანია და ვალერი ჩოლარიაც. ნიონს ცხადია საპატიო სტუმრებიც მრავლად ეწვევიან.

ქართული ფეხბურთის მამები შვეიცარიაში დროის უქმად დაკარგვას არ აპირებენ ანუ ორი კურდღლის დაჭერას შეეცდებიან. 21 სექტემბერს ისინი სამუშაო შეხვედრებსაც გამართავენ, კერძოდ, უეფას სხვადასხვა კომიტეტებ[...] შეხვდებიან. მეორე დღეს კი ოფისის გახსნაა დაგეგმილი. 23-ში კონგრესი გაიმართება, რომლის ჩატარებაც უეფამ საგანგებოდ დაამთხვია ახალი შტაბბინის გახსნას. კონგრესის დევიზია „ფეხბურთის ხვალინდელი დღე“ და სხდომაც, უპირველეს ყოვლისა, ამ თემას დაეთმობა. დღის წესრიგი კი ასეთია: 1. ფეხბურთის შემდგომი განვითარება; 2. მსაჯობის ეფექტიანობის ამაღლება; 3. მწვრთნელთა პროფესიონალიზმი; 4. სტადიონთა მდგომარეობა; 5. დოპინგ-კონტროლი.

აღსანიშნავია, რომ ქართული დელეგაცია უეფას ხელდამშვენებული ესტუმრება. ევროპული ორგანიზაციის მუზეუმს ჟორდანიასა და ჩოლარიას ჩასვლის შემდეგ ვერცხლის დიდი თასიც შეემატება, რომელზეც შემდეგი სიტყვებია ამოტვიფრული — უეფას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისაგან.

ფედერაციის ხელმძღვანელები შვეიცარიიდან 25 სექტემბერს დაბრუნდებიან.

**ვანო ოქროპირიძე**

# ფედერაციას წელიწადის დროები აერია?

*თვრამეტწლამდელთა საუელსო სამზადისზე ამასწინათაც ვიუწყებოდით. თუმცა რა სამზადისი? ეს სიტყვა ძნელად თუ მიესადაგება ჩვენებურთა დღევანდელ ყოფას. ვახტანგ კოპალეიშვილს და მის ბიჭებს მხოლოდ ოთხდღიანი შეკრება აკმარეს ქართული ფეხბურთის მამამთავრებმა (ღმერთმა დასწყევლოს ეს ყადაღა), წინ კი ესოდენ მნიშვნელოვანი ტურნირია. ზემოთ „მესაზღვრის“ ეზოში სალამოსპირული მხიარულება ვახსენე, თუმცა არც ისე სახუმაროდაა საქმე თვრამეტწლამდელთა ნაკრებში. სასტუმროში მოსულ მთავარ მწვრთნელს ვახტანგ კოპალეიშვილს დანა პირს არ უხსნიდა. მოსაცდელში შემოსული სავარძელში დაჯდა და თავი ხელებში ჩარგო. მნიშვნელოვანი ტურნირის წინ მწვრთნელს საფიქრალს რა გამოულევს, მაგრამ სხვა რამ იყო კოპალეიშვილის გულის ტკივილი. საოცრად დაღლილი ჩანდა მთავარი მწვრთნელი, დაღლილი და გულგატეხილი...*

— რა გითხრათ, ფაქტობრივად, უთამაშებლად მივდივართ. 13 სექტემბერს „ვიტ ჯორჯიას“ ვეთამაშეთ და ეგ იყო. 1:0 მოვიგეთ, მაგრამ არასრული შემადგენლობით ვიყავით. ხუთი ფეხბურთელი გვაკლდა გუნდში. ოთხი დღეა შეკრებაზე ვიმყოფებით „მესაზღვრეში“ ორჯერად ვარჯიშებს ვატარებთ „შევარდენზე“, მადლობის მეტი რა მეთქმის ამ სტადიონის ხელმძღვანელებისთვის, გაგვიგეს, შეგვიკედლეს. თსუ-სთან უნდა გვეთამაშა ამხანაგურად, მაგრამ არ გამოვიდა. გაწვიმდა და... სხვა მოედანი არ გამოინახა ჩვენთვის. მითხარით რა ვქნა? წინ ხომ ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირია...

**— რომელსაც ოთხდღიანი შეკრებაგავლილი ხვდებით...**

— თუ წარმატებაზე გვინდა ფიქრი, ეს ძალიან ცოტაა, არადა, რა მნიშვნელოვანია, რომ იცოდეთ, ჩვენთვის ხანგრძლივვადიანი შეკრებები. კაცს ვერ აიყვან ქართული გუნდებიდან სათანადოდ მომზადებულს. უელსში გამგზავრების წინ აუცილებელი იყო საკონტროლო მატჩების ჩატარება, ტურნირებზე არაფერს ვამბობ, მაგრამ... როგორც ჩანს, მართლაც არ შეუძლია მეტი ფედერაციას... ასეთ სიტუაციაში მივემგზავრებით... ძალიან მიჭირს პასუხისმგებლობის აღება, გამოდის, რომ ყველა რაღაცნაირად მოვალეობას ვიხდით, რა ვქნა...

**— წინასწარ ხომ არ შეურიგდით ბედს?**

— არა, არა. წუთითაც ნუ იფიქრებთ. ბიჭებს ვერ ვუღალატებ, ისინი არ არიან ამის ღირსნი. მინდა იცოდნენ, მათ გვერდში ვარ, ჩვენ ერთად გავაკეთებთ საქმეს და რა შედეგიც არ უნდა მოჰყვეს ამას, პირშერცხვენილები არ ვიქნებით...

**— შთაბეჭდილება მრჩება, რომ სათქმელს გულში იტოვებთ...**

— ვახტანგ კოპალეიშვილს არავის მიმართ პრეტენზია არ აქვს, მაგრამ... ნუ შემიშლიან ხელს, სწორი, მართალი გზით ვიარო. რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს სიმართლე, ნურავის ეწყინება. მე პასუხისმგებლობას არასდროს გავქცევივარ... დროის პრობლემაა... შეიძლება, ისე მოხდეს, რომ წავაგოთ და გადავდგე. მე მორალური უფლება არ მაქვს, სხვაგვარად მოვიქცე, მაგრამ ოთხ დღეში ახალ გუნდს ვერ გააკეთებ. ეს ყველას ესმის, ისეთ ჩინოვნიკებზე არ მაქვს საუბარი, რომელთაც სხვანაირად წარმოუდგენიათ ფეხბურთი...

*ისევ ხელებში ჩარგო თავი თვრამეტწლამდელთა თავკაცმა. ისევ დუმილი. რატომღაც თავი უხერხულად ვიგრძენი...*

**— ბატონო ვახტანგ...**

— „აი ია“ თუ ვერ ასწავლე ბავშვს, „გამზრდელს“ ვერ შეაყვარებ. სიმინდს გაზაფხულზე თესავენ და შემოდგომაზე ტეხავენ. რატომ გვინდა, გაზაფხულზე მოსავლის აღება, რა გავაკეთეთ? რა გვინდა? რას ველოდებით? არ გეგონოთ, თავს ვიზღვევდე, თქვენ, ალბათ, არ იცით, გაკვირვებული იყო ლენარტ იუჰანსონი შვედეთში, ჩემპიონატზე ჩვენი მოხვედრით, საიდან, როგორო — კითხულობდა. პირდაპირ გეტყვით და მეტს არაფერს დავამატებ — უკეთესი შედეგის მიღწევა შეგვეძლო შვედეთში, თქვენც მშვენივრად იცით ეს, მაგრამ, მე გული მტკივა, ჩემი დავრდომილი ქართული ფეხბურთის გამო მტკივა გული, არადა, შეიძლება საქმის კეთება, მართლა შეიძლება...

*მესამედ თუ მეოთხედ ვკითხულობ ზემოთ დაწერილს, მაგრამ მგონია, რომ ყოველივე ვერანაირ ჩარჩოში ვერ ჯდება, ალბათ, იმიტომ, რომ გაცილებით მეტი ჰქონდა სათქმელი ვახტანგ კოპალეიშვილს. თანაც გარკვეულწილად უხერხულადაც ვგრძნობ თავს. არცთუ სასურველ სიტყვებს ვაყოლებთ გზაზე დამდგამ ახალგაზრდა ფეხბურთელებს. ფეხბურთელებს, რომელთა უმრავლესობასაც პირველი დიდი გამოცდა ელის უელსში. მაგრამ მე მჯერა ვახტანგ კოპალეიშვილის, მჯერა, რომ იგი ოდნავადაც არ მოახვევს თავს თავის შვილებს (სწორედ ასე უწოდებს კოპალას ბიჭებს) თავის განწყობილებას, თანაც თქვენიც გვჯერა, ბიჭებო! თქვენ საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრების წევრები ხართ, იმ ნაკრების, რომელიც იმედის სხივია ჩვენს გაბითურებულ საფეხბურთო ყოფიერებაში, იმ ნაკრების, რომელმაც ევროპის საუკეთესო შვიდეულს მერვე — ქართული დროშაც შემატა ევროპის ჩემპიონატზე შვედეთში.*

*თქვენ მშვენივრად იცით, რომ გვ[...]რიანად არის შელახული ღირსებით ქართველი ფეხბურთელის პრესტიჟი. თვრამეტწლამდელებმა ერთხელ უკვე მოსწმინდეთ ნამუსი შერცხვენილ ფეხბურთს და გვჯერა, სათქმელს ღირსეულად იტყვით. მერე რა, რომ ბევრ სიკეთეს მოკლებული ხართ, მერე რა, რომ ერთი საკუთარი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციისგან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშისას არც არავინ გხლებიათ. გახსოვდეთ, თქვენ ფეხბურთელები ხართ, საქართველოს წ[...]რგ ზავნილები, საქართველოს ნაკრები გქვიათ და „კოპალას ბიჭებს“ გეძახიან — ჩვენ თქვენი გვჯერა!*

**პაატა ძვანტალიანი**



შვედეთში ნითამაშები საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები

| საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| ზურაბ მამალაძე | თბილისი | 10.02.82 |
| ჟიული ჯოლოხავა | თბილისი 2 | ??.??.?? |
| **მცველები** | | |
| ედიკ საჯაია | ვიტ ჯორჯია | 16.02.81 |
| კახა ქაცარავა | ბათუმი | 15.10.81 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დინამო | 10.06.81 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | დინამო | 26.09.81 |
| ჯაბა თავბერიძე | ინტერი, ქუთაისი | 08.08.81 |
| ალექსანდრე ჩივაძე | თბილისი 2 | 15.02.82 |
| **ნახევარმცველები** | | |
| ილია კანდელაკი | თბილისი | 26.12.81 |
| ალექსანდრე ინწკირველი | თსუ | 24.08.81 |
| რამაზ სვანაძე | თსუ | ??.??.?? |
| გიორგი ადამია | თსუ | ??.??.?? |
| ირაკლი შენგელია | თბილისი | 13.94.81 |
| რევაზ გოცირიძე | ვიტ ჯორჯია | 17.01.81 |
| **თავდამსხმელები** | | |
| კახა წუწუნავა | თსუ | ??.??.?? |
| მალხაზ ასათიანი | ინტერი, ქუთაისი | 04.08.81 |
| მიხეილ ბობოხიძე | ინტერი, ქუთაისი | 23.11.81 |
| ცეზარ ხუროძე | სკონტო, ლატვია | ??.??.?? |

# ჰაანმა თქვას ხურცილავასი...

ახლა უკვე გვიანია თითზე კბენანი.

საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის შეფებს ადრევე მართებდათ დაფიქრება, ძალად თუ უნებლიეთ შექმნილი ვითარების გაანალიზება, სწორი გადაწყვეტილების მიღება. უნდა დაფიქრებულიყვნენ და ნაბიჯი მერე გადაედგათ — ღირდა კი რამდენიმე ათეული ათასი დოლარისა თუ ლარის იმაზე დახარჯვა, რამაც ან ვინც გუშინწინ საფეხბურთო გუნდი დაასამარა?

არა, „ლოკომოტივ“ — პაოკ-ის უეფას თასის თბილისურ მატჩზე არაფერს მოგახსენებთ, მხოლოდ იმ საშინელი, სამარცხვინო სხვაობით წაგების მიზეზებზე და მატჩის შემდეგვე „ლოკომოტივის“ მწვრთნელის მიერ წარმოთქმულ სიტყვებზე ვთქვათ, რამაც ლამის მთელი საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო საქართველო აალაპარაკა, აალაპარაკა ცინიკურად, ბოღმით, ირონიით...

მაშ ასე, მხოლოდ ფაქტები მცირეოდენი კომენტარებითურთ.

დღემდე ვერ გამიგია, რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა გასული სეზონის წარმატებით ჩამთავრებისთანავე რატომ გაათავისუფლეს მწვრთნელი თემურ მახარაძე. მათ რომ ჰკითხოთ, პასუხი მზად ექნებათ, ჰქონდათ კიდეც, აქაოდა, გუნდის ევროპული დებიუტის წინ საჭიროდ ჩავთვალეთ, მწვრთნელად უფრო გამოცდილი, მცოდნე მურთაზ ხურცილავა დაგვენიშნა, უეფას თასზე თავის შერცხვენა არ გვსურსო, ასე თქვეს ადრე და ხურცილავამ რაც კი ინება, თითქმის ყველაფერი შეუსრულეს. ახალ მოთამაშეთა „ლოკომოტივში“ მოწვევაც არანაირი პრობლემა არ ყოფილა. მწვრთნელმა თავის ნება-სურვილით დააკომპლექტა პირველ საერთაშორისო ოფიციალური მატჩის მომლოდინე გუნდი. შემადგენლობა ძალიან გადახალისდა. მეათე ჩემპიონატში მოთამაშეთაგან „ლოკომოტივში“ მხოლოდ შვიდი ფეხბურთელი დარჩა, სხვებმა ნაირნაირ მიზეზთა გამო დაატოვეს გუნდი. უეფაში „ლოკომოტივმა“ და ხურცილავამ 21-კაციანი განაცხადი გაგზავნეს, მათში მხოლოდ რვა ძველი რკინიგზელია, 13 კი ახალწვეული, მწვრთნელის მიერ შერჩეული.

გუნდმა სეზონის დაწყებამდე ერთი შეკრება გაიარა ყვავილნარში. ხურცილავა მაშინ ამბობდა, ყველაფერი კარგად მიდის, ნორმალურად ვემზადებით და არც ეროვნულ ჩემპიონატში, არც ევროპულ სარბიელზე თავს არ შევირცხვენთო. ჯერჯერობით „ლოკომოტივი“ ვერც შინაურ ჩემპიონატში ყოჩაღობს და უეფას თასზეც ხომ ისეთი სირცხვილი ჭამა, კარგა ხანს ემახსოვრებათ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, გუნდს არ აქვს სტრატეგია, ფეხბურთელებმა არ იციან, რა გააკეთონ, ვინ სად, საით ირბინოს, ბურთს რომ მიიღებენ, სად წაიღონ... თერთმეტი ფეხბურთელი საკლუბო სამოსს მოირგებს და მწვრთნელს, ბევრ სხვასაც, ჰგონია ფეხბურთს თამაშობენ... ფეხბურთს თუ თამაშობ, შინ, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე შიდბურთიანი სხვაობით არ უნდა წააგო. მწვრთნელი თუ გქვია, მატჩის შემდეგ ჯოხი ფეხბურთელებზე არ უნდა გადატეხო და საკუთარი შეცდომები გულახდილად აღიარო.

„ლოკომოტივს“ ჯერ კიდევ მაშინ დაეტყო, რომ ქვეყანას ლაფში ამოსვრიდა, როცა ნაბახუსევზე მოთამაშე „ლინფილდს“ მხოლოდ მინიმალური სხვაობით სძლია. და მაშინ უფრო უკეთ გამოჩნდა სირცხვილის მოახლოება, როცა ჩრდილოეთ ირლანდიაში ანგარიშის გათანაბრება დასჭირდა.

რა გუნდია პაოკ-ი? დიდი არაფერი. საშუალო ევროპულზე დაბალი დონის. თუმცა ამით რა? „ლოკომოტივს“ რა? თავი მოეჭრათ, მოგვჭრეს და ესაა. რატომღაც მგონია, შემდეგ წრეში პაოკ-ს „ბრაგა“-„ტილბურგის“ დარი რომელიღაც გუნდი თუ არგუნა მეტოქედ წილისყრამ, ისევე დამარცხდებიან როგორც თავის დროზე ჩვენი დინამოელები ჰოლანდიელებთან.

ახლა ორიოდ სიტყვა სამწუხარო სტატისტიკაზეც: მეათე ეროვნულ ჩემპიონატში „ლოკომოტივმა“ თემურ მახარაძის ხელმძღვანელობით 30 კალენდარულ მატჩში სულ 14 ბურთი გაუშვა, მათგან პირველ წრეში — მხოლოდ 6. წაგებით სულ ორჯერ წააგეს, საშუალედო ფინიშამდე — არც ერთხელ. და ამას რა ჰქვია, ეგებ თქვენ მოუნახოთ სახელი — შინ გუნდი 0:7 რომ წააგებს? მეტოქის მეკარეს მატჩის განმავლობაში სულ სამ-ოთხჯერ რომ შეაწუხებს? ხეირიან კომბინაციას რომ ვერ გაითამაშებს? რა ჰქვია ამას? რეგრესი? არა, ბატონებო, ეს სხვა რამაა...

ასეთი სამარცხვინო წაგების უმთავრესი მიზეზი კი, ვფიქრობ, ოთხია: ერთი, რომ რკინიგზის დეპარტამენტისა და გუნდის უფროსობა შეცდა, როცა თემურ მახარაძე ევროტურნირების წინ დაითხოვა; მეორე — ახალი მწვრთნელის კვალიფიკაცია; მესამე — შემადგენლობის მნიშვნელოვნად გადახალისება და ბოლოს, არსებული კონტინგენტის უმრავლესობის უუნარობა.

არ შეიძლებოდა მწვრთნელის იმ დროს შეცვლა, როცა რკინიგზელებმა შეცვალეს. არ იყო გამართლებული მწვრთნელად ხურცილავას დანიშვნა და მახარაძისთვის ლოკომოტიველი ბავშვების ჩაბარება. არ იყო საჭირო კარს მომდგარი საერთაშორისო თამაშების წინ გუნდში 13 ახალი ფეხბურთელის მიყვანა. და კიდევ...

პაოკ-თან მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბატონმა ხურცილავამ ბრძანა, გუნდში უცოდინარი და არაპროფესიონალი ფეხბურთელები მყავსო. ალავერდიც მასთან, მურთაზ ხურცილავასთან — მაშ, რაღას იწვევდით გუნდში მათ, ვინც უცოდინარი და არაპროფესიონალია, რაღას ახარჯვინებდით რკინიგზის ხელმძღვანელობას რამდენიმე ათასს დოლარს? რით ახსნით ამას? კარგად დაფიქრდით, ბატონო მურთაზ, ეგებ თქვენი ავტორიტეტის მქონე კაცს, მუდამ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას რომ უჩივით და სამარცხვინო წაგებების უმთავრეს მიზეზად მუდამვე უფულობას ასახელებთ, სამწვრთნელო განათლება ცოტა ხომ არ დაეწუნება? თქვენ უდიდესი პატივისცემით სარგებლობთ, დიდი, კარგი სახელი გაქვთ დაგდებული ქვეყნად და ღირს კი ამ ყველაფრის ასე სამარცხვინოდ წაგებულ მატჩებზე გადაყოლება? მგონი, არა, ბატონო მურთაზ, აბა, ერთხელაც ჩაიხედეთ საკუთარ გულში.

პრესკონფერენციაზე მურთაზ ხურცილავამ ისიც თქვა, არაფერი გვეშველება, სანამ ნიჭიერი თაობა არ მოვაო. ერთსაც გკითხავთ, ბატონო მურთაზ, კი მაგრამ, თქვენ არ ხართ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი, რომელმაც ოთხიდან ოთხი ოფიციალური მატჩი წაუგებლად ჩაატარა? თქვენ არ ხართ იმ ნიჭიერი ბიჭების თავკაცი? თუ მეშლება და ვახტანგ კოპალეიშვილია? რომლის ნაკრების წევრთა აბსოლუტური უმრავლესობაც ახალგაზრდულ გუნდში გყავთ მიწვეული? მაშ, რა გამოვიდა? ნიჭიერი მობურთალი საქართველოში იმდენია, რომ ეძიოთ, პოვნა ნამდვილად არ გაგიჭირდებათ და რაღა მაინცდამაინც უნიჭოებს უხმეთ გუნდში?.

ბოლოსკენ იმ ვიდეოფირზე, რომელზეც თურმე პაოკ-ის თამაში ყოფილა ალბეჭდილი. ხურცილავასვე სიტყვებია, როცა ფირი ვნახე, მაშინვე დავრწმუნდი, ბერძნების დამმარცხებლები არ ვიყავით და ყოველივეს ფეხბურთელებზე ფსიქოლოგიურად რომ არ ემოქმედა, მათ კასეტა დავუმალე, სჯობდა, მის უნახავად ეთამაშათ მეტოქის წინააღმდეგო. მოდი ახლა და ნუ გაიკვირვებ. ძნელია, მოძებნო ისეთი პრეცედენტი, მწვრთნელმა შეგირდებს მეტოქის თამაში არ აჩვენოს და იმაზე იფიქროს, 0:7 არა და 0:2 წავაგოო. რა გამართლება აქვს ხურცილავას სიტყვებს?

ან კიდევ, რა შეძლო „ლოკომოტივმა“ ბელფასტში ისეთი, პაოკ-თან რომ არ გამოუვიდა? ანგარიშის გათანაბრება? გუშინწინდელი მატჩის მნახველი დამეთანხმება, პაოკ-თან ფრე გამორიცხული იყო. მაშინ სასწაული მოხდებოდა. სასწაული კი ყოველ წელს ვის უნახავს. შარშან „ბილბაოსთან“ არ ითამაშა თბილისის „დინამომ“ და კინაღამ ლიგაში გაძვრა?

ერთიც. უკვე მთლიანად „ლოკომოტივისა“ და ყველა ქართველი ქომაგის, პოლიციელის, სტადიონის თანამშრომლისთვის განა ლამაზი, სასიამოვნო იყო, ეროვნული სტადიონის იმ ადგილას, სადაც არენაზე გასასვლელი გვირაბი მთავრდება, წარწერა — „თბილისის „დინამო“ მავანს პაოკ-ის საკლუბო დროშით რომ გადაეფარა? ნუთუ ასეთი ათენში მოხდება? ჩვენს თავს, ჩვენს ჩემპიონს თავად თუ არ ვეცით პატივი და დავაფასეთ, აბა, პაოკელები დააფასებენ?

რეზიუმე კი ასეთია, გნებავთ, ზემოთ ნათქვამის მორალი. გავიმეორებთ — ბატონო მურთაზ, ნუ გადააყოლებთ წლების განმავლობაში მოპოვებულ თქვენს ავტორიტეტს გუშინწინდელის მსგავს უსახურ მატჩებს. ცუდი იქნება ეს.

ისე, ბატონო მურთაზ, თქვენ თავმდაბალი კაცი ბრძანდებით, თორემ... პრესკონფერენციაზე არც არი ჰაანის ძლიერ ფეხბურთელობაზე უნდა გეთქვათ. ჩემი აზრით, მურთაზ ხურცილავამდე, როგორც დიდ ფეხბურთელამდე, არი ჰაანსა და მისნაირებს ბევრი აკლდათ?..

**ჰოგა ინასარიძე**



ბადრი კოპალეიშვილის ფოტო

მრავლისმნახველი გიორგი ჩიხრაძე მარტოკა შებმია პაოკ-ელებს

# რკინიგზაში მსჯელობაა



სალონიკის პაოკ-თან გამანადგურებელმა მარცხმა კიდევ ერთხელ შელახა ქართული ფეხბურთის პრესტიჟი ევროპულ საკლუბო სარბიელზე. ამ მარცხით შეილახა თვით „ლოკომოტივის“ პრესტიჟი ქვეყნის შიგნით და რა გასაკვირია, ხალხი რკინიგზელთა მწვრთნელის და ფეხბურთელების კვალიფიკაციაზეც ალაპარაკდა. ქომაგი იმისთვისაა, ილაპარაკოს და ივარაუდოს, მაგრამ „ლოკომოტივის“ შემდგომ ბედზე იგი ვერაფერს იტყვის მკითხველისთვის საინტერესოს. ქომაგმა რა იცის...

აი, ვინც იცის, იმას კი დავუკავშირდით და საკმაოდ მნიშვნელოვანი შეხვედრის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდეს. საუბარია „ლოკომოტივის“ საშეფო რკინიგზის დეპარტამენტზე, საიდანაც გვაცნობეს, რომ გუშინ საღამოსთვის „ლოკომოტივის“ მამები უნდა შეხვედროდნენ გუნდის მთავარ მწვრთნელ მურთაზ ხურცილავას და გარკვეული დასკვნები გამოეტანათ პაოკ-თან მატჩის შედეგიდან გამომდინარე. კომენტარზე კი ბატონმა ტარიელ ლვაბერიძემ უარი არ გვითხრა, ეგ იყო, ბევრი არ უსაუბრია — რა უნდა ვთქვა, განადგურებულები ვართ ყველანიო.

გასაგებია რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის პოზიცია. ეს ხალხი ყველაფერს აკეთებს, რათა „ლოკომოტივი“ სტაბილური და სოლიდური გუნდი გახდეს, არც ფულს იშურებენ, არც ყურადღებას, მაგრამ შედეგი...

თუმცა შედეგიცაა და შედეგიც. სწორედ ამაზე ისაუბრებდნენ ალბათ, გუშინ საღამოს რკინიგზის დეპარტამენტში. დანარჩენი სამშაბათის „სარბიელში“ იყოს.

**ლუკა თალაკვაძე**

გიო ახვლედიანის



# ო'ბრაინი

აი, ირლანდიური ანეკდოტი:

ო'ნილი და ო'ბრაინი სანადიროდ წავიდნენ. მიდიან, მიდიან და ხედავენ ტოტზე შურთხი ზის. გადმოიღო ო'ბრაინმა თოფი და უმიზნებს.

— რას შვრები? — ეკითხება ო'ნილი — თოფი გატენილი არა გაქვს და უმიზნებ?

— სანამ ტყვიებს ჩავდებ, ჩიტი მაინც გაფრინდება, — უპასუხა ო'ბრაინმა და ჩახმახს გამოჰკრა.

ეს ანეკდოტი წამოწყებული ჩემპიონთა ლიგის მატჩების ცქერისას გამახსენდა. ევროპის სტადიონებზე გასულ მონადირეებს თოფებიც გატენილი აქვთ და სროლითაც საუცხოოდ ისვრიან.

ჩვენი ამბავი კი ასეა:

ყოველ გაზაფხულზე ატყდება ხოლმე ამბავი, აბა ახლოვდება ევროპული თამაშები, დავიწყოთ რაც წინა წლებში იყო, შევადგინოთ გუნდი და ვეცადოთ ელიტაში შეღწევასო. მაგრამ, გამოდის, რომ ამ ბრძოლებისთვის, ან ნადირობისთვის ო'ბრაინივით მივეშურებით. ო'ბრაინს რა ენაღვლება, ერთობა. ფეხბურთი კი კარგახანია აღარ არის მხოლოდ გართობა. გაუფრინდა ის ჩიტი ო'ბრაინს და ხვალაც ნახავს, ტყვიაც ექნება თოფში და ნადირობაც ყოველდღე შეიძლება. ჩვენებურმა ო'ბრაინმა კი მთელს წელიწადს უნდა იცადოს, სანამ მისი ერთდღიანი ნადირობის სეზონი დაიწყება. და თანაც, ჩვენი ო'ბრაინი კვლავ გაუტენელი თოფით წავა სანადიროდ.

და მაშინ რაღა ენადირება ჩვენებურ ო'ბრაინს?

რაღა ენადირება, როცა იმ ირლანდიელი ო'ბრაინისგან განსხვავებით, გაუტენელი თოფიც კი არ მიაქვს სანადიროდ?

ჩვენი ო'ბრაინი ისე მიდის ტყეში, თითქოს, იქ სასროლი არაფერი იყოს. მერე დახვდება დათვი და შეახრამუნებს.

მაგრამ რაღა შორეულ ირლანდიელ მონადირეებს მივაცივდით?

მონადირეებზე ჩვენებური ამბავიც არსებობს:

წავიდნენ ჩვენებური ო'ბრაინები სანადიროდ, დათვი უნდა მოვკლათო. მიადგნენ დათვის ბუნაგს და დაუმიზნეს თოფები. არ გამოვიდა დათვი. ჭკვიანიაო, ამბობენ. ერთმა ო'ბრაინმა უთხრა მეორეს: სოფელში გავარდი, მღვდელს სთხოვე, წამოვიდეს, ტკბილი სიტყვით და ლოცვით გამოგვაყვანინოს დათვი ბუნაგიდანო. მღვდელი დიახაც კეთილი იყო და წამოჰყვა. შეჰყო ბუნაგში თავი და დათვს ლაპარაკი დაუწყო. ელოდნენ კარგახანს და მოთმინება რომ დაელიათ ჩაავლეს ფეხებში ხელი და ბუნაგიდან გამოათრიეს. საბრალო მღვდლისთვის დათვს თავი მოეჭამა.

— ეს რა არისო, — ჰკითხა ერთმა ო'ბრაინმა მეორეს — თავი სად დაიკარგაო.

— ჰქონდა, რო საერთოდო?

— დაეჭვდა მეორე — წავიდეთ მღვდლის ცოლს ვკითხოთო.

დაბრუნდნენ სოფელში და მიადგნენ მღვდლის სახლს:

— ფოფოდიავ, თუ გახსოვს, შენს ქმარს ტყეში წამოსვლამდე თავი ჰქონდაო?

მღვდლის ცოლი დაფიქრდა და მიუგო:

— დილით ფაფას რომ სჭამდა წვერს აცმაცუნებდა, წვერი ნამდვილად ჰქონდა, თავისა კი არაფერი მახსოვსო.

აი, ასეა ჩვენი საფეხბურთო ნადირობის ამბავი. ო'ბრაინმა ისიც არ იცის, თავი აქვს თუ არა, ზოგჯერ გაუტენავ თოფს გამოჰკრავს და შექმნის ამბავს, შურთხის მოკვლა შემეძლოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 11 ჩემპიონატი

5 ტური

# უხორცოდ და უფულოდ

## ძმა ძმისთვისაო...

მაშ ასე, ქართულმა გუნდებმა ევროსარბიელისგან დაისვენეს. მომავალი წლის აგვისტომდე, იმედია, არც ჩვენ გვექნება სანერვიულო.

უეფას წეს-კანონებს რა გინდა, მოუხერხო, თორემ „ლოკომოტივისა“ და „ტორპედოს“ ნება რომ იყოს, საპასუხო მატჩებზე არც წავიდოდნენ. ტყუილი ხარჯია და იმიტომ.

ამიერიდან მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებია სატირალი. იტირებს ფედერაცია, იტირებენ კლუბები. მწვრთნელები და ფეხბურთელები, ზოგიერთის აზრით, თავსაყრელად რომ გვყავს, ხომ მუდამ ტირიან.

ჰო, მართლა, ჩვენს დაჩანაკებულ კლუბებს შეუძლიათ, ორიოდ ლარი დაზოგონ. ფეხბურთელებს ხორცი არ აჭამოთ. ხომ ხედავთ, საქართველოში ციმბირის წყლული მძვინვარებს. არც რძის ნაწარმს გირჩევდით, რა თქმა უნდა, ნატურალურს, „პარაშკოვი“ შეიძლება. ყველაფერს ის სჯობს, მოთამაშეები ბოსტნეულზე გადაატაროთ, დაზღვეულები იქნებით.

ამას რამდენიმე ფულიან გუნდს ვურჩევთ, თორემ გალეტილები ისედაც რა ხანია, უსმელ-უჭმელები ბურთაობენ.

სანამ ქართულ ფეხბურთს უბედურება უბედურებაზე ატყდება თავს და ათასგვარი ავადმყოფობა თუ ინფექცია ასიკვდილებს, აგერ მეხუთე ტურიც მოახლოებულა.

აბა, ეს ტური იქნება, თუ იქნება. ისეთი თამაშები გველის, ჩემპიონთა ლიგა მონაგონიაო — თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოში ოპტიმისტებიც დაიარებიან.

მეხუთე ტურს ორი ცენტრალური მატჩი თუ გამოარჩევს, ორივე „ა“ ზონაში. დანარჩენებზე კი რა ვთქვათ, არც ღვინო იქნება, არც წყალი. ისე, წყალი მაინც რომ იყოს ქართული ფეხბურთი, რა გვიჭირდა მაშინ. ადრე დიდებული, დალვინებული ფეხბურთი გვქონდა, რომელიც ისე იქცა თხლედ, რომ ძმარიც არ დაგვრჩენია.

თბილისის „დინამო“ თბილისისავე „ლოკომოტივს“ ხვდება. მასპინძელი უფულობაზე, დაურიგებელ ხელფასებზე ჩივის, ხოლო სტუმარს პაოკ-მა ისეთი საქმე დამართა, რომ კოშმარიდან ერთი თვე მაინც ვერ გამოვა.

არ გამორიცხოთ, ეროვნულზე გამართული ის მატჩი შეიძლება „ლოკომოტივში“ მურთაზ ხურცილავას გედის სიმღერად იქცეს. მისთვის ჯერ პაოკური ტრაგედია ვერ უპატიებიათ, ჩემპიონატში მორიგი მარცხი ხომ ცეცხლზე ნავთის დასხმის ტოლფასია.

ისე, არავის გაუკვირდეს, თუ ის მატჩი ფრედ დამთავრდა. არც „დინამოს“, მით უმეტეს, „ლოკომოტივს“, ახლა არ ეფეხბურთებათ. სულ სხვა პრობლემები აწუხებთ და იმიტომ.

ასევე ეროვნულზე ჩატარდება „თბილისი“ — „ვიტ ჯორჯია“. ვეტარინარებს „დინამოსთან“ საშინაო მარცხი დღესაც ახსოვთ, ამიტომ ჯავრის ამოყრას ჩემპიონების უმცროს „ძმებზე“ შეეცდებიან. კლუბის ხელმძღვანელობა მოგებას ითხოვს და არა გვგონია, მწვრთნელებმა წინა ტურის შეცდომები გაიმეორონ. ალბათ, „ვიტ ჯორჯია“ „თბილისის“ წინააღმდეგ სულ სხვა გუნდად წარსდგება.

თავის მხრივ, ახალგაზრდა დინამოელები ეცდებიან, უფროს „ძმებს“ კონკურენტები ჩამოაცილონ. „თბილისი“ იოლად არაფერს დათმობს, ის კი არა, სულაც გამარჯვებას აპირებენ. მათ ხომ ჩემპიონატში ჯერ არ უმარჯვიათ.

გათამაშებაში ჯერაც დაუმარცხებელი „ბათუმი“ წყალტუბოს „სამგურალს“ მოელის. რაც კარნევალემ ჩემპიონებს სძლია, მას შემდეგ მის გუნდს გამარჯვება არ უგემია და ახლა ეცდება ქულათა მარაგის შევსებას.

წყალტუბოელებმა ზედიზედ ორი საშინაო მატჩი მოიგეს და ახლა ბათუმიდან ქულის წაღებას ეცდებიან, თუმცა ამის გახერხება მეტად გაუჭირდებათ.

ვერ გეტყვით, რა მოხდება ბოლნისში, თუ „სიონმა“ ვერ მოიგო. არ არის გამორიცხული, ყველაფერი სკანდალითა და ფედერაციის „ქება-დიდებით“ დასრულდეს, ანაც წარუმატებლობას მწვრთნელი შეეწიროს.

ისე, „არსენალიც“ კარგი ჩიტია. ეს გუნდი იქ გაისვრის ხოლმე, სადაც არავინ ელოდება. არ გამიკვირდება, თუ თბილისელები ბოლნისელებს ქულებს გამორჩებიან.

„ბ“ ზონის ლიდერი ქუთაისის „ტორპედო“ ამ ტურში დაისვენებს. ფეხბურთის ფედერაციამ გაითვალისწინა თსუ-ს მესვეურთა თხოვნა და ის თამაში გაურკვეველი ვადით გადაიდო. სტუდენტებმა ვახტანგ კოპალეიშვილის ნაკრებში ოთხი ფეხბურთელი მიავლინეს, ეს კი დასაშვებზე მეტია და აბა, მასპინძელთა თხოვნას წინ რაღა დაუდგებოდა.

თვრამეტწლამდელთა ნაკრებში, თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ქუთაისელებიც არიან გამოძახებულნი. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ თსუ და „ტორპედო“ ქართულ ფეხბურთს ემსახურებიან.

არ ვიცი, რა დღე დაადგება გორში ხობის „კოლხეთს“. გასულ ტურში „დილამ“ საზიზღრად ითამაშა გასვლითი მატჩი რუსთავში. თუ არ ვცდებით, კლუბის ხელმძღვანელებს გუნდის წევრები გვარიანად შეუხურებიათ და ახლა გორელები მთელი ჯავრის ამოყრას ხობელებზე აპირებენო.

თავად „კოლხეთმა“ სათამაშოდ თუ მოიცალა, კარგს იზამს. როგორც ვიცით, ხობელებს შინააშლილობამ დარიათ ხელი. ახლადდანიშნული მწვრთნელი ერთს იძახის, განაწყენებული თანაშემწე კი მეორეს აკეთებინებს ფეხბურთელებსო.

ასეთ სიტუაციაში „კოლხეთი“ გორში ვერაფრით იხეირებს. ერთმანეთის ჯიბრზე და ბოღმით გაკეთებული საქმე რომ ვერაფრით დაგვირგვინდება, ფაქტია.

სამტრედიული „იბერია“ მაღაზე მოსულ „გორდას“ მასპინძლობს. გულმოცემული რუსთაველები იმუქრებიან, სამტრედიელები საკუთარ მინდორზე უნდა გავამწაროთო. „გორდას“ ვარლამ კილასონია მიუძღვება, კიტეიშვილი და ინასარიძე კი კარგ თამაშს და გოლების გატანას გვპირდებიან.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, აბა, სამტრედიელთა გულებში ჩაიხედეთ. სოსო ფრუიძის გუნდს ჯერ არ მოუგია და ამის გაკეთებას სწორედ რომ დღევანდელ თამაშში აპირებს. გამარჯვებისთვის ყველაფერს ვიღონებთო, ამბობენ სამტრედიელები.

„იბერიას“ უპირატესობად საკუთარ მოედანზე თამაში ეთვლება, თორემ „გორდა“ მოწინააღმდეგეს თუ ვერ სჯობს, არც არაფრით ჩამოუვარდება.

ბოლოსთვის „მერანი“ — „კოლხეთის“ ორთაბრძოლა დაგვრჩა. ამათ თავიანთი ანგარიშები აქეთ აქვთ გასასწორებელი. „სინათლის“ სტადიონზე ბურთაობა ყველა გუნდს უჭირს და გამონაკლისები ვერც ფოთელები იქნებიან. ისე, ერთ დროს „კოლხეთს“ ავჭალაშიც დაუმარცხებია მასპინძლები, მაგრამ მაშინ ფოთელებს გუნდი ჰყავდათ.

ახლა ვერ გეტყვით, რა იქნება. არც „მერანი“ უქნია ღმერთს და არც „კოლხეთი“. ყველაზე რეალური შედეგი, ალბათ, ისევ ფრე იქნება.

**მამუკა ქვანტალიანი**



რატი ალექსიძე (ბურთით) და გენადი კაციაშვილი:
არ არის გამორიცხული ისინი ხვალაც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 3 - ალექსიძე | დინამო |
| თოლორდავა | მერანი |
| გ. ქორიძე | ვიტ ჯორჯია |

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:1 | 3 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
| 2 | დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 3 |
| 3 | სამგურალი | 4 | 2 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 4 | ბათუმი | 4 | 1 | 3 | 0 | 2:1 | 1 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 5 | არსენალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 6 | ლოკომოტივი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 1 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 5 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 7 | სიონი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 8 | თბილისი | 4 | 0 | 3 | 1 | 6:7 | -1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | -1 | 2 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 4 | 3 | 1 | 0 | 10:3 | 7 | 10 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 4 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 |
| 2 | კოლხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 3 | გორდა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 1 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 4 | დილა | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 |
| 5 | ხობი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:7 | -2 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:6 | -2 | 3 |
| 6 | თსუ | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 0 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 0 | 3 |
| 7 | მერანი | 4 | 0 | 3 | 1 | 4:6 | -2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | -2 | 2 |
| 8 | იბერია | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | -4 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |

ბათუმი. „დინამო“. 18 სექტემბერი. 17 საათი.

### ბათუმი — სამგურალი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი); სფფ-ის დელეგატი: ა. დურსუნიში

თბილისი. „ეროვნული“. 18 სექტემბერი. 17 საათი

### თბილისი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. მეშკოვი; ვ. ჩოჩიშვილი (ორივე თბილისი), ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ხუციშვილი (დმანისი); სფფ-ის დელეგატი: გ. ფირცხალავა

ბოლნისი. „თემურ სტეფანია“. 18 სექტემბერი. 17 საათი

### სიონი — არსენალი

მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი); დ. სანაია (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); სფფ-ის დელეგატი: მ. მიმინოშვილი

გორი. „ცენტრალური“. 18 სექტემბერი. 17 საათი

### დილა — ხობი

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი), ზ.ჯვარიძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); სფფ-ის დელეგატი: ა. ბაჩუკაშვილი

სამტრედია. „ეროსი მანჯგალაძე“. 18 სექტემბერი. 17 საათი

### იბერია — გორდა

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი; ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის დელეგატი: გ. ძამუკაშვილი

თბილისი. „სინათლე“. 18 სექტემბერი. 17 საათი

### მერანი — კოლხეთი

მსაჯები: ს. კახიანი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ა. ორდინიძე (ონი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის დელეგატი: ა. მილჩენკო

თბილისი. „ეროვნული“ 19 სექტემბერი. 17 საათი

### დინამო — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. შილაკაძე; ა. კრიჭაშვილი, ზ. დოლიძე; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი); სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

# ჯარიმა: რვა ათასი



სარბიელის არქივიდან

„ნიუკასლ იუნაიტედის“ ყოფილი მწვრთნელი რუდ გულიტი და ალან შირერი

ჰოლანდიელი რუდ გულიტი, „სექსუალური ფეხბურთის“ ეგზოტიკური მქადაგებელი, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა ამაწინანდელი ლაყბობისთვის ხუთი ათასი გირვანქით, ანუ რვა ათასი დოლარით დააჯარიმა. „ნიუკასლ იუნაიტედის“ ყოფილმა მწვრთნელმა პრემიერლიგის ერთ-ერთ მატჩში, რომელიც მისმა გუნდმა, ცხადია, წააგო, მსაჯზე აუგი თქვა და ჯარიმაც ამიტომ დააკისრეს.

რამდენიმე ხნის წინ „ნიუკასლ იუნაიტედი“ ბირმინგემის „ასტონ ვილამ“ 1:0 დაამარცხა. ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ენას კბილი ვერ დააჭირა და მსაჯს, ურია რენოს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. გულიტი იმდენად წაგებამ არ განარისხა, რამდენადაც ნიუკასლელთა კაპიტანის, ალან შირერის გაძევებამ — ინგლისური ფეხბურთის უპირველესი მეგოლე შირერი იმ შეხვედრაში ორჯერ გააფრთხილეს და გააგდეს კიდეც. ეს გაძევება მის კარიერაში პირველი გახლდათ.

— რენი არაობიექტურად მოქმედებდა. ვერ ვიტყვი, მასპინძლებს ემხრობოდა-მეთქი, მაგრამ ხშირად ჩვენს საზარალოდ რომ ცდებოდა, ამას, ვფიქრობ, დიდი ფიცამტკიცი არ სჭირდება. შირერიც ტყუილუბრალოდ გააძევა და საერთოდ, მისი მოქმედება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს — თქვა გულიტმა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტში მწვრთნელყოფილის ახსნა-განმარტება აღარ აინტერესებთ — მან მსაჯი შეურაცხყო და ახლა ჯარიმასაც გადაიხდის.

სხვათა შორის, იმ მატჩში არბიტრის მოქმედებით არა მარტო ნიუკასლელთა მწვრთნელი დარჩა უკმაყოფილო — გულიტის დარად ბირმინგემელთა თავკაცი ჯონ გრეგორისაც მოუწევს ჯარიმის გადახდა, ოღონდ შედარებით ნაკლების, მხოლოდ და მხოლოდ ორი ათასი გირვანქის.

ჩვენის მხრივ შეგახსენებთ, რომ რუდ გულიტი „ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელის თანამდებობიდან 28 აგვისტოს გადადგა, მას შემდეგ, რაც ხუთი მატჩიდან ოთხი წააგო და ერთხელ ფრედ ითამაშა.

ირაკლი ილაშვილი

# დაუნახავი გადარეულები

თასების მფლობელთა თასის უკანასკნელი გათამაშების გამარჯვებული რომის „ლაციოს“ პრეზიდენტი სერჯიო კრანიოტი აცხადებს, რომ კლუბის გადარეულ გულშემატკივრებთან ბილწსიტყვაობის გამო იგი გუნდის საშინაო მატჩებს რომის ოლიმპიურ სტადიონზე აღარ დაესწრება.

— სულაც არ ვაპირებ უკან დახევას. ქომაგები უმადურები ყოფილან და მეც ვეცდები, მათთან შეხვედრას თავი ავარიდო. სანამ არ დასრულდება ეს სამარცხვინო თავდასხმები ჩემზე და ჩემს ოჯახზე, მანამ „ლაციოს“ საშინაო მატჩებს არ დავესწრები — განუცხადა კრანიოტიმ რომში გამომავალ ყოველდღიურ გაზეთ „კორიერო დელო სპორტს“.

გულშემატკივრებმა საყვარელი კლუბის პრეზიდენტზე გული იმიტომ აიცრუეს, რომ კრანიოტიმ ერთ-ერთ სპონსორთან, ტურისტულ ფირმასთან ქომაგთათვის მიუღებელი ხელშეკრულება გააფორმა და თან სამწლიანი!

ჯორჯო კოლვერტინი, „ლაციოს“ გულშემატკივართა ერთ-ერთი კლუბის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ახალმა ხელშეკრულებამ ისინი ცუდ დღეში ჩააგდო, თანაც ამით გუნდმაც იზარალა. საქმე ისაა, რომ ახალი სპონსორი „ლაციოს“ საგარეო მატჩებზე დასასწრებად ადრინდელზე თითქმის ორჯერ მეტ თანხას ითხოვს, ეს ცვლილება კი ქომაგებს, ცხადია, არ აწყობთ.

— ჩვენ „ლაციოს“ მხარდაჭერა გვსურს, მაგრამ ამის საშუალებას არ გვაძლევენ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ კლუბის ხელმძღვანელობას არ სურს, „ლაციოს“ გულშემატკივრები ყველგან ჰყავდეს — ეს სიტყვები იმავე კოლვერტინის ეკუთვნის.

„ლაციოს“ ქომაგები კიდევ ერთ ფაქტს გაუნაწყენებია .— ახლა კლუბის საგარეო მატჩები რომ ნახონ, უფრო მეტი საჭირო აპარატურის შეძენა უხდებათ.

რომის კლუბის გიჟმაჟი მხარდამჭერნი იქამდეც მივიდნენ, რომ „კალიარისთან“ საშინაო მატჩისას დროშებზე ფაშისტური სიმბოლიკები გამოსახეს, რასაც, ცხადია, კრანიოტის კრიტიკა მოჰყვა:

— ჩვენი სტადიონი სულაც არაა პოლიტიკოსთა არენა. აქ მხოლოდ ფეხბურთი უნდა ზეიმობდეს და სხვა არაფერი!

პრეზიდენტისავე თქმით, იგი ძალიან გულდაწყვეტილია იმის გამო, რომ ქომაგები მის სასიკეთო საქმეებს ვერ ხედავენ და ეთიკის ყოველგვარ ზღვარს სცილდებიან. ამას წინათ მავანმა გულშემატკივრებმა კრანიოტის ქალიშვილის, „ლაციოს“ ადმინისტრატორის, ელიზაბეტა კრანიოტის მისამართით შეურაცხმყოფელი განცხადებები გააკეთეს.

რაც კრანიოტი „ლაციოს“ პრეზიდენტი გახდა, კლუბის საქმეები სულ უფრო წინ მიდის — ბოლო ორი წლის განმავლობაში „ლაციომ“ იტალიის თასი, იტალიის სუპერთასი, თასების მფლობელთა თასი და ევროპის სუპერთასი მოიგო, გარდა ამისა, ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი გახდა და უეფას თასის ფინალშიც ითამაშა.

კოტე ვაიტაძე

# ლიდსი „ნაიკით“ შეიმოსება...

ინგლისურმა „ლიდს იუნაიტედმა“ ოფიციალურად გააფორმა კონტრაქტი ამერიკულ სპორტულ ფირმა „ნაიკთან“ პარტნიორობის შესახებ. მართალია, ხელშეკრულების პირობები ოფიციალურად არ გაცხადებულა, მაგრამ ინგლისური გაზეთები იუწყებიან, რომ 2000 წლიდან კლუბი დაახლოებით 12 მილიონ გირვანქას მიიღებს.

„ლიდსის“ კომერციული დირექტორი ადამ პირსონი მხოლოდ იმას აცხადებს, რომ ახალი ხელშეკრულება ბევრად სჯობს მიმდინარე კონტრაქტს, რომელიც კლუბს გერმანულ სპორტულ ფირმა „პუმასთან“ აკავშირებს. მისი აზრით, ეს წინადადება გუნდისთვის ძალიან ხელსაყრელია, ახლა „ლიდსს“ გაცილებით მეტის მიღწევა შეუძლია როგორც პრემიერლიგის ასევე ევროპული ფეხბურთის მასშტაბით. გასაკვირი არაა, რომ არც „ნაიკი“ ამხელს წმინდა კომერციულ საიდუმლოს. ეს ფირმა ინგლისურ ფეხბურთთან პირველად არ პარტნიორობს. იგი პრემიერლიგის კიდევ ერთი კლუბის — ლონდონის „არსენალის“ ფინანსური შემწეა.

# დარჩით ჩვენთან



სარბიელის არქივიდან

იან რაიტს „ნოტინგემ ფორესტში“ სურს დარჩენა

ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი იან რაიტი, რომელიც პრემიერლიგის გუნდმა „ვესტ ჰემ იუნაიტედმა“ დროებით მეორე ინგლისურ კლუბ „ნოტინგემ ფორესტში“ გაანათხოვრა, აცხადებს, რომ მოხარული იქნება, თუ ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი კლუბის ღირსებას კიდევ რამდენიმე თვით დაიცავს. შეგახსენებთ, რომ „ნოტინგემ ფორესტმა“ 1979 და 1980 წლებში ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო თასის გათამაშება მოიგო.

— ლონდონში დაბრუნებას მირჩევნია, ჯერაც აქ დავრჩე. „ვესტ ჰემში“ თამაშის საშუალება იშვიათად მეძლევა, აქ კი ხშირად მიწევს მოედანზე გასვლა. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთს მალე გამოვეთხოვები, მინდა, საყვარელ თამაშს აქტიური ფეხბურთელის სტატუსით შევეშვა — თქვა 35 წლის შავკანიანმა თავდამსხმელმა. რამდენიმე ხნის წინ, ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთმა საუკეთესო მეგოლემ განაცხადა, რომ პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერას ამ სეზონის მიწურულს დაამთავრებს.

იან რაიტი უკვე ერთი თვეა, რაც „ნოტინგემ ფორესტის“ მაისურათი თამაშობს. ახალმა კლუბმა მას ოთხჯერ მისცა თამაშის საშუალება და ექსარსენალელმაც ორი გოლი გაიტანა. ნოტინგემელთა გენერალური დირექტორი ჯეისონ ლომდოლმი თავდამსხმელით აღფრთოვანებულია:

— მისი დარი ფეხბურთელები ჩვენს კლუბს აუცილებლად სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ იან რაიტი ასაკოვანი მოთამაშეა, მან დაამტკიცა, რომ სხვებზე ნაკლები არაფრითაა. მას ახლაც ძალუძს გაცილებით უმცროს ფორვარდებზე მეტი გოლის გატანა.

ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობა თანახმაა, რაიტმა „ნოტინგემ ფორესტში“ თამაში განაგრძოს, თუმცაღა აცხადებს, რომ უფლებას იტოვებს, თავდამსხმელი საჭიროების შემთხვევაში უმალ თავისთან გამოიძახოს.

ორიოდ წლის წინ იან რაიტი ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში სამუდამოდ დამკვიდრდა — იგი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბის, „არსენალის“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

რაიტს ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში თბილისშიც უთამაშია საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ. ეს 1996 წლის ნოემბერში იყო.

ირაკლი ილაშვილი

# სანამ ჰუსაინოვი ამბავს ახსნიდეს...

გუშინდელ „სარბიელში“ გაცნობეთ, რომ „ჰაპოელი“ — „ბრიუგეს“ უეფას თასის პირველი ეტაპის მატჩის სამსაჯოდ თელ ავივში ჩასულმა მთვრალმა რუსმა მსაჯებმა ალთქმულ მიწაზე ზომაზე მეტად მოილხინეს და ამის გამო მათ მაგიერ თამაში სასწრაფოდ გამოძახებულმა რუმინელმა „შავოსნებმა“ იმსაჯეს. რუსულენოვანი ებრაული გაზეთის — „ვესტის“ მიმომხილველის მარკ ზაიჩიკის თქმით, მთვრალი მსაჯები აეროპორტში მესაზღვრე ქალებსა და რესტორანში ოფიციანტ ქალებს რომ არ გალაბუცებოდნენ, სკანდალი, შესაძლოა, ჩაეფარცხათ კიდეც, მაგრამ...

ოთხშაბათ საღამოს მთვრალი მსაჯები (სერგეი ჰუსაინოვი, სერგეი მარტინოვი, პაველ გინზბურგი და ფეიზუდინ ერზიმანოვი) ჰაიფას სასტუმროში მიიყვანეს. ოთხეული ნომერში გამოიკეტა და მიუხედავად მათზე მიმაგრებული ტოვი მალახის არაერთგზის თხოვნისა, იქიდან არაფრით გამოდიოდნენ. ამით შეშფოთებულმა მალახმა ყველაფერი ისრაელის ფეხბურთის ფედერაციას აცნობა და რუმინელთა გამოძახების საკითხიც მაშინ გადაწყდა.

ოთხეული მოსკოვში გუშინ საღამოს უნდა დაბრუნებულიყო. რუსეთის საფეხბურთეო კავშირის გენერალური დირექტორის, ალექსანდრ ტუკმანოვის თქმით, პარასკევს უეფამ დაადასტურა რუსი მსაჯების უმსგავსო საქციელის ამბავი, ამიტომ მათ მიმართ „უმკაცრეს ზომებს“ მიიღებენ. ჯერჯერობით ალბათ რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მსაჯობას აუკრძალავენ. საბოლოო გადაწყვეტილებას კი საფეხბურთო კავშირში სერგეი ჰუსაინოვის ახსნა-განმარტების შემდეგ მიიღებენ.

# მომგებიანი ხელშეკრულება

ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „ჩარლტონ ატლეტიკის“ ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მათ მილანის „ინტერთან“ ხელსაყრელ შეთანხმებას მიაღწიეს, რომლის თანახმადაც ინგლისელებს იტალიური გუნდის ფეხბურთელების თავისთან მიწვევა შეეძლებათ.

„ჩარლტონ ატლეტიკის“ წარმომადგენელთა თქმით, ვინაიდან იტალიაში სათადარიგო შემადგენლობების პირველობები არ ტარდება, მათ უფლება ექნებათ მილანელთაგან ის ფეხბურთელები ითხოვონ, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან, ანაც ტრავმამოშუშებულებს საკონტროლო შეხვედრები სჭირდებათ.

ხელშეკრულებაში ნათლადაა ნათქვამი, რომ გრძელვადიანი განათხოვრება გამორიცხულია და ფეხბურთელთა გაცვლა მოკლევადიანი იქნება. შეთანხმება, ცხადია, ორმხრივია. იგი ახალგაზრდა ჩარლტონელი და მილანელი მოთამაშეების გაცვლასაც ითვალისწინებს.

— გონივრული ხელშეკრულებაა. ჩვენნაირი პატარა კლუბისთვის მსოფლიოს ფეხბურთის გრანდთან, მილანის „ინტერთან“ თანამშრომლობა მხოლოდ და მხოლოდ მომგებიანი თუ იქნება — თქვა „ჩარლტონის“ თავჯდომარემ რიჩარდ მიურეიმ და დასძინა, ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია „ჩარლტონ ატლეტიკის“ გასაძლიერებლადო.

„ინტერის“ პრეზიდენტმა, მულტიმილიონერმა ნავთობმაგნატმა მასიმო მორატიმ განაცხადა: „კმაყოფილი ვარ. მიმაჩნია, რომ ხელშეკრულება ორმხრივად სასარგებლოა. ვფიქრობ, ჩვენ შევძლებთ „ჩარლტონ ატლეტიკის“ დახმარებას, ისინი კი „ინტერისთვის“ სარგებლის მოტანას“.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ „ჩარლტონ ატლეტიკი“ ინგლისის პრემიერლიგიდან გასულ სეზონში გავარდა.

ირაკლი ილაშვილი

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

*ერთი ხნის წინ „სარბიელმა“ გადმოაქართულა ლონდონის „ჩელსის“ ცნობილი იტალიელი ვარსკვლავის ჯანფრანკო ძოლას ინტერვიუ, რომელშიც იგი ძირითადად თავის ურუგვაელ თანაგუნდელს, გუსტავო პოიეტს აქებდა. დღეს სიტყვა პოიეტს ეთმობა*

# უამრავი ვარიაცია და ფანტაზია

**— პირდაპირ გვითხარით, შეუძლია „ჩელსის“ ამ სეზონში პრემიერ-ლიგის ჩემპიონობა?**

— იმედი მაქვს რომ შეუძლია. იმისათვის, რომ „მანჩესტერ ტუნაიტედის“ კონკურენტუნარიან გუნდად ჩამოვყალიბებულიყავით, ძალიან ბევრი ვიმუშავეთ. გასულმა სეზონმა გული გვატკინა, მაგრამ გვაჩვენა, რომ ჩემპიონობისთვის მხოლოდ კარგ ფორმაში ყოფნა საკმარისი არ არის. წარმოიდგინეთ სამად სამი თამაში წავაგეთ, მაგრამ „იუნაიტედსა“ და „არსენალზე“ დაბლა აღმოვჩნდით. მწამს, რომ გასაუმჯობესებელი ძალიან ცოტა რამაა და თუ ეს შევძელით ტიტულის მოპოვების დიდებული შანსი მოგვეცემა.

**— მითუფრო თუ თქვენ მოედნის სიღრმიდან გოლების გატანას კვლავ განაგრძობთ.**

— გოლები ყოველთვის გამქონდა. თანაც ყოველთვის ბევრს ვმუშაობდი ტექნიკის სრულყოფაზე და ვაკვირდებოდი იმ მოთამაშეებს, რომელთაგან სწავლა შეიძლებოდა. ამ მხრივ „ჩელსიში“ თავს ბედნიერად ვგრძნობ. აქ ძალიან ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელია და მათთან ერთად თამაში გოლების გატანას მიადვილებს. შეხვედრა ისე არ გავა თანაგუნდელებმა მრავალი საგოლე მომენტი რომ არ შექმნან, მე კი ზუსტი დარტყმაღა მრჩება შესასრულებელი. მოედნის შუაში დიდ სამუშაოს ვასრულებთ, ხოლო ჯანლუკა ვიალი შეტევაში ჩართვისკენ მაქეზებს. მან იცის ჩემი შესაძლებლობები. გუნდს ჩემი ძლიერი თვისებების გათვალისწინებით ათამაშებს.

**— „მანჩესტერ იუნაიტედი“ ის გუნდია, რომლის დამარცხებაც ყველას სწადია.**

— „იუნაიტედი“ ჩემზე მეტ შთაბეჭდილებას ახდენს ვიდრე ყველა სხვა გუნდი. მიუხედავად მისი ფეხბურთელების ინდივიდუალური ოსტატობისა, იგი ძლიერ ერთეულადაა ჩამოყალიბებული. მაშინაც კი, როდესაც მატჩი თითქოსდა წაგებულია, „იუნაიტედი“ იმარჯვებს, ხოლო სიძლიერის ნიშანი სწორედ ეს გახლავთ, ფაქტია, რომ მანჩესტერელებს იღბალიც წყალობთ, მაგრამ ზოგადად ყველა საკუთარ იღბალს ჭედავს. „ერთ სეზონში სამი დიდი ჯილდოს მოგება დაუჯერებელი იყო და მაინც, მათ მეტი უნდათ. „მანჩესტერ იუნაიტედის“ უპირატესობა რაოდენობაცაა. იქ ბევრი ისეთი მოთამაშე ზის სათადარიგოთა სკამზე, ნებისმიერი სხვა გუნდის ძირითად შემადგენლობაში რომ ითამაშებდა. ეს გუნდი ძლიერი მეტოქე და ნამდვილი ჩემპიონია.

**— ლუკა როგორი მწვრთნელია?**

— ძალიან ემოციური და თავგადაკლული. იგი წარმატების მისაღწევად ძალიან ბევრს მუშაობს და საქმეში მთლიანად იხარჯება, ფეხბურთელებს იგი მოსწონთ და პატივს სცემენ, მან კი იცის სირთულეებს თავი როგორ გაართვას. მე საქმისათვის მისეული თავგანწირვა მომწონს. როგორც ჯანფრანკო ძოლას მასაც მაისურა გულის ქვეშ აცვია, არასდროს არაფერს გიმალავს და ერთადერთი მიზანი აქვს — გუნდის გაძლიერება.

**— ესპანური ფეხბურთიდან ინგლისურში რატომ წამოხვედით?**

— პრემიერლიგაში მსურდა თამაში. ინგლისურ ფეხბურთს ყოველთვის ვეთაყვანებოდი და ერთ მშვენიერ დღეს აქ ჩამოსვლა იმთავითვე მეწადა. შესაძლებლობაც ჩინებულ დროს მომეცა და ვიგრძენი, რომ თავის გამოჩენის მომენტი დამიდგა. წარსულისკენ არასდროს ვიყურები, მიყვარს „ჩელსი“, ფანების მგზნებარე მხარდაჭერა და აქაური ფეხბურთის რიტმი. თან ყოველი სეზონი გასულზე უკეთესია. ყოველი თამაში წინასგან განსხვავდება, უამრავი ვარიაცია და სიამოვნებაა.

**— მაგრამ თქვენგან ძალიან ბევრ მატჩში მონაწილეობას ხომ არ ითხოვენ?**

— ერთი კაცისთვის მართლაც ძალიან ბევრი თამაში გროვდება. აქ უამრავი ძლიერი გუნდია, რომელთაც უამრავი ფეხბურთელი ჰყავთ. მოთამაშე, რომელიც სათადარიგოთა სკამზე ზის, ხშირად რთულ მდგომარეობაში ვარდება, მაგრამ ყველამ იცის, რომ უშანსოდ არ დარჩება, აქ საქმე მხოლოდ 11 ფეხბურთელზე არ დგას, თამაში თამაშს ძალიან მალე ცვლის და რაც უფრო წარმატებული ხარ მით უფრო ხშირად გიწევს მოედანზე გასვლა, მგონი ინგლისისთვის არდადეგები მისწრება იქნებოდა, მაგრამ ვაი, რომ პირი არ უჩანს.

**365-დან თარგმნა**
**ბაბუნა ძიდიამ**



გუსტავო პოიეტი



დაშავებულმა მარკ ბოსნიჩმა მეუღლე სარა ჯერიტისთვის სრულფასოვნად მოიცალა

# ძალიან დიდი სისულელე

ინგლისელმა ჟურნალისტებმა ხმა გაავრცელეს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ავსტრალიელი მეკარე მარკ ბოსნიჩი „ოლდ ტრეფორდის“ დატოვებას და ესპანეთში გადაბარგებას აპირებსო. მანჩესტერელთა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ყოველივე უარყო, ხმები მავანი სენსაციის მოყვარული ჟურნალისტის ფანტაზიას მიაწერა და ხალხის გასაგებად თქვა:

— სისულელეა. ბოსნიჩი არსადაც არ მიდის.

რამ ააგორა ჭორები?

მოგეხსენებათ, რამდენიმე ხნის წინ ბოსნიჩი დაშავდა და მანჩესტერელებიც მუდამ სათადარიგო მეკარის რაიმონდ ვან დერ გოუს ამარა დარჩნენ. ეტყობა, ფერგიუსონს ჰოლანდიელი ვან დერ გოუ ძირითადი შემადგენლობისთვის არ ემეტება და მანაც იტალიელი მასიმო ტაიბი შეიძინა. აპენინელმაც ბოძებული შანსი სათანადოდ გამოიყენა, არც ერთ მატჩში თავი არ შეურცხვენია და ძირითად მეკარეობაზე საფუძვლიანი პრეტენზიები განაცხადა.

— როდესაც ასეთი შესაძლებლობა გეძლევა, უნდა გამოიყენო. ვეცდები, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძირითად შემადგენლობაში მყარად მოვიკიდო ფეხი. ძლიერი გუნდია, შესანიშნავი ატმოსფეროა, ფეხბურთელისთვის კი ასეთ გარემოს არაფერი სჯობს — აცხადებს ტაიბი. აქვე დავძენთ, რომ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ტაიბის სანაცვლოდ 4,5 მილიონი გირვანქა, ანუ 7,2 მილიონი დოლარი გაიღო.

ალექს ფერგიუსონის აზრი ტაიბ-ბოსნიჩის შესახებ ჯერჯერობით უცნობია. იტალიელი კვლავაც იცავს „იუნაიტედის“ კარს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბოსნიჩი ძირითად მეკარეობას გამოეთხოვა. ავსტრალიელი ახლა მკურნალობს და უახლოეს მომავალში ათამაშდება კიდეც.

— ხმები, თითქოსდა კლუბში ჩემსა და მასიმო ტაიბის შორის დაძაბული ურთიერთობაა, ჭორია. რაიმე შესაძლო კონფლიქტზე საუბარიც უსაფუძვლოა. დღესდღეობით მე დაშავებული ვარ, თამაში არ შემიძლია და ტაიბიც ამიტომ დგას „მანჩესტერის“ კარში. გამოვჯანმრთელდები და მერე ვეცდები, მას ღირსეული კონკურენცია გავუწიო — აცხადებს ბოსნიჩი.

რაც შეეხება ექსასტონვილელი ბოსნიჩის ესპანეთში შესაძლო გადაბარგებას, გაჟონა ინფორმაციამ, თითქოსდა მისით პრიმერა დივიზიონის კლუბი, თასების მფლობელთა თასის 1995 წლის გამარჯვებული „სარაგოსა“ იყო დაინტერესებული და ოლდტრეფორდელებს გვარიან თანხასაც სთავაზობდა.

ფერგიუსონმა ყოველივეს სისულელე უწოდა.

**კოტე მაიტაძე**

# ჩვენი ოქრო ჩვენთან!

ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელის ფრენკ ფარინას განცხადებით, ნოემბერში, როდესაც მისი გუნდი ორ ამხანაგურ მატჩში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ბრაზილიას უმასპინძლებს, იგი უძლიერეს შემადგენლობას მოუყრის თავს.

ამხანაგური მატჩი მწვანე კონტინენტის ორ უდიდეს ქალაქშია დანიშნული — 14 ნოემბერს ბრაზილიელებს სიდნეი უმასპინძლებს, 17 ნოემბერს კი მელბურნი.

— დღეისათვის მიღწეულია შეთანხმება, რომ ის წამყვანი ევროპული კლუბები, რომლებშიც ჩვენი მოთამაშეები თამაშობენ, თანახმანი არიან, ფეხბურთელები გაუშვან. ბრაზილიელებთან თამაშს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და აქედან გამომდინარე, გვსურს, უძლიერესი შემადგენლობა შევკრიბოთ — აცხადებს ფარინა.

ავსტრალიელთა თავკაცი და მისი თანაშემწე გრემ არნოლდი ამ დღეებში ბრიტანეთში გაფრინდებიან, სადაც ქვეყნის პირველი გუნდის რჩეულ ფეხბურთელებს შეხვდებიან და საერთო სამომავლო გეგმებს განიხილავენ. ავსტრალიის ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა სწორედ ინგლისში თამაშობს.

ფარინას განცხადებით, ქვეყნის ფეხბურთში სასიკეთო ძვრები შეინიშნება, მოდის ნიჭიერ ფეხბურთელთა თაობა და ამ ძლვენს გამოყენება სჭირდება. მისი აზრით, ავსტრალიის ნაკრებს შესწევს უნარი, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდეს.

— მწამს, ჩვენ შევძლებთ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებას. თუ ამ მიზნის მიღწევა გვსურს, თავდაუზოგავად უნდა ვიშრომოთ. სხვანაირად არაფერი გამოგვივა — ამბობს ფარინა.

მწვრთნელის განცხადებით, ავსტრალიის ნაკრების ბირთვს მარკ ბოზნიჩი, ჰარი კიუელი, მარკ ვიდუკა, პოლ ოკონი და ზედ ზელიჩი შეადგენენ. ფარინას მიაჩნია, რომ მწვანე კონტინენტის ყველა დროის საუკეთესო ნაკრები სწორედ ამ ფეხბურთელებზე დაყრდნობით უნდა დაკომპლექტდეს.

**ირაკლი ილაშვილი**

## კითხვა-პასუხი

***— ვახ, ჩემი, ვენაცვალე „რომასა“.***

— შუქი არ გქონდა სახლში?

***— რატომ?***

— აბა, „რომას“ მეტი ვერაფერი ნახე?

***— შვიდით ნოლი მოიგო და...***

— შვიდით ნოლი „პაოკმაც“ მოიგო.

***— საერთოდ, არ უნდა გაეუქმებინათ ეს თასების თასი.***

— რატომ, „სეტუბალს“ და „ლოკომოტივს“ რომ არ წაეგოთ?

***— არა, ლამაზი თასი იყო.***

— შენ სხვა იდარდე.

***— დროებითია ყველაფერი.***

— მე მგონი, ტრაპატონის იტალიური დაავიწყდა და თავის ფეხბურთელებს მიუნხენში ნასწავლი გერმანულით ელაპარაკება. ბატისტუტამ კი გერმანული არ იცის...

***— რაც ტრაპატონის მოეგია, ვენგერს არც დაესიზმრება.***

— და მაინც, რატომ გამწარდა ენრიკო კიეზა?

***— ბექემზე უფრო არ გამწარებულა.***

— შენ მაგათი ნუ გედარდება.

***— ინგლისელებმა საერთოდ ვერ გაიტანეს გოლი სამ თამაშში.***

— იტალიელებმა ხო ამოავსეს კარები.

***— მიხაილოვიჩმა...***

— აღარ დაიღალე ამ მიხაილოვიჩის ჯარიმების თვლით?

***— მე დავიღალე „ჩელსის“ ხაიებით.***

— შენ „მილანი“ „ფიორენტინა“ ხომ არ გგონია?

***— შევჩენკო ჯობია ბატისტუტას?***

— ვაჰ, რა კომუნისტურად გაქვს მოწყობილი ტვინი.

***— მე მგონია, რომ ფინალში ისევ „ბაიერნი“ გავა.***

— რახან იმან ქუსლი მოარტყა?

***— შენი ვერ გავიგე. აბა, ვინ მოგეწონა?***

— ჯოვანი.

***— ჰმ.***

— ეგ უთხარი ხუან სებასტიან ვერონს, რო შეცვალეს სამარცხვინოდ...

***— კიდევ ვინ მოგეწონა?***

— ვიეირა.

***— მიხაილოვიჩის გარდა ყველა მოგწონებია.***

— დიახაც.

***— და გაზა?***

— გაზა რაში გაგახსენდა?

***— გაზა არ მოგეწონა?***

— გაზას იქ რა უნდოდა?

***— აბა მაშ, სად არის გაზას ადგილი.***

— ყოველ შემთხვევაში, იქ არა, სადაც ეგენი შეკრებილან.

***— უფრო დაბლა?***

— აბა, ამას ელაპარაკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი. პირველი ეტაპი
### პირველი წრე. 14-16 სექტემბერი

UEFA CUP

**პარტიზანი (იუგოსლავია) 1:3 ლიდსი (ინგლისი)**
1:0 ტომიჩი (20), 1:1 ბოიერი (26), 1:2 რადებე (39), 1:3 ბოიერი (82)
**ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:1 მონპელიე (საფრანგეთი)**
0:1 ლოკო (6)
**ვოლფსბურგი (გერმანია) 2:0 დებრეცენი (უნგრეთი)**
1:0 აკონორი (61), 2:0 იუსკოვიაკი (87)
**უდინეზე (იტალია) 1:0 ოლბორგი (დანია)**
1:0 სოტილი (9)
**სტაბეკი (ნორვეგია) 1:0 დეპორტივო (ესპანეთი)**
1:0 ფინსტადი (57)
**სტიაუა (რუმინეთი) 2:0 ლინცერი (ავსტრია)**
1:0 კიოჩიუ (64), 2:0 დანჩიულესკუ (82)
**ჰიკ (ფინეთი) 0:1 ლიონი (საფრანგეთი)**
0:1 ვაირლე (16)
**პარმა (იტალია) 3:2 კრივბასი (უკრაინა)**
0:1 პალიანცია (5), 1:1, 2:1 დი ვაიო (12, 20), 3:1 დ. ბაჯო (67), 3:2 მონარიოუ (74)
**ვიკინგი (ნორვეგია) 3:0 სპორტინგი (პორტუგალია)**
1:0 სვენსონი (57), 2:0 ბერე (70), 3:0 ესპევოლი (78)
**ბენფიკა (პორტუგალია) 0:1 დინამო (რუმინეთი)**
0:1 ნასტასე (30)
**მტკ (უნგრეთი) 0:0 ფენერბაჰჩე (თურქეთი)**
**მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 2:2 ლანსი (საფრანგეთი)**
0:1 საკო (32), 1:1 კუბიკა (43), 1:2 ჟობი (54), 2:2 ბენ დეიანი (84)
**ტეპლიცე (ჩეხეთი) 3:1 ფერენცვაროში (უნგრეთი)**
0:1 კოვაჩი (16), 1:1 ფრიბეკი (32), 2:1 კოლომაჟნიკი (53), 3:1 რიჟეკი (71)
**ბოდიო გლიმტი (ნორვეგია) 0:5 ვერდერი (გერმანია)**
0:1 პეზარო (12), 0:2, 0:3 ბოგდანოვიჩი (43, 54), 0:4 მაქსიმოვი (59), 0:5 პეზარო (76)
**ზენიტი (რუსეთი) 0:3 ბოლონია (იტალია)**
0:1 ვენტოლა (39), 0:2, 0:3 სინიორი (65, 90)
**სკონტო (ლატვია) 1:0 ვიძევი (პოლონეთი)**
1:0 ასტაფიევსი (32)
**ცსკა (ბულგარეთი) 0:2 ნიუკასლი (ინგლისი)**
0:1 სოლანო (51), 0:2 ქეცბაია (77)
ნიუკასლი: ჰარპერი, ბარტონი, გომა, დაბიზასი, დომი, სოლანო (ჰამილტონი 84), სპიდი, დაიერი, ლი, შირერი, ფერგიუსონი (ქეცბაია 17)
**რომა (იტალია) 7:0 სეტუბალი (პორტუგალია)**
1:0 ალდაირი (12), 2:0 მონტელა (13), 3:0 ალენიჩევი (16), 4:0 ასუნსაო (40), 5:0 ალენიჩევი (56), 6:0 დელვეკიო (73), 7:0 ალენიჩევი (78)
**მონაკო (საფრანგეთი) 3:0 სენტ ჯონსტონი (შოტლანდია)**
1:0 სიმონე (69), 2:0 ტრეზეგე (72), 3:0 სიმონე (90)
**ანორთოსისი (კვიპროსი) 1:0 ლეგია (პოლონეთი)**
1:0 ენგომიტისი (84)
**ინტერი (სლოვაკეთი) 1:0 რაპიდი (ავსტრია)**
1:0 ლალიკი (40)
**გორიცა (სლოვენია) 0:1 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)**
0:1 ლიბეროპულოსი (14)
**ვოივოდინა (იუგოსლავია) 0:0 სლავია (ჩეხეთი)**
**სიგმა (ჩეხეთი) 1:3 მალიორკა (ესპანეთი)**
0:1 ენგონგა (12), 0:2 ტრისტანი (53), 1:2 კობილიკი (63), 1:3 ი. სტანკოვიჩი (76)
**ჰაიდუკი (ხორვატია) 0:0 ლევსკი (ბულგარეთი)**
**როდა (ჰოლანდია) 2:0 შახტარი (უკრაინა)**
1:0 დომერნიკი (15), 2:0 ზაფარინი (26)
**ლიუნგბიუ (დანია) 1:2 ლოკომოტივი (რუსეთი)**
0:1 ჩუგაინოვი (30), 0:2 ბუზიკინი (38), 1:2 ბიდსტრუპი (69)
**ლეხი (პოლონეთი) 1:2 გიოტებორგი (შვედეთი)**
0:1 ანდერსონი (34), 1:1 ზურავსკი (45პ), 1:2 მილდი (82)
**ჰელსინგბორგი (შვედეთი) 1:1 კარპატი (უკრაინა)**
0:1 გეცკო (27), 1:1 ჯონსონი (86)
**სელტიკი (შოტლანდია) 2:0 ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)**
1:0, 2:0 ლარსონი (24, 50პ)
**ვესტ ჰემი (ინგლისი) 3:0 ოსიეკი (ხორვატია)**
1:0 ვანჩოპე (41), 2:0 დი კანიო (48), 3:0 ლამპარდი (58)
**ტოტენჰემი (ინგლისი) 3:0 ზიმბრუ (მოლდოვა)**
1:0 ლეონარდსენი (2), 2:0 პერი (31), 3:0 შერვუდი (55)
**ანდერლეხტი (ბელგია) 3:1 ოლიმპია (სლოვენია)**
1:0 ბაირექტარევიჩი (20ს.კ.), 2:0 რაძინსკი (35), 2:1 ეკმეჩიჩი (53), 3:1 რაძინსკი (67)
**ციურიხი (შვეიცარია) 1:0 ლიერსი (ბელგია)**
1:0 ჯამარაული (29)
ციურიხი: პასკოლო, სანტანა, შტოკლასა, ჯორჯევიჩი (ანდრეოლი 69), კუენტინი, შასო (აკალე 77), ეიდელი, ფრიკი, ჯამარაული, ბარტლეტი, ყაველაშვილი (დელ სინორი 64)
ლიერსი: დემანი, შეყილაძე, ჰოეფკენსი, ვან მეირი, დაემსი, სნოეკსი, ლეენი, ზდებელი, სომერსი, კავენსი (მუისეგემსი 69), ვან დე ვეიერი (მუისამანსი 79)
**ლოზანა (შვეიცარია) 3:2 სელტა (ესპანეთი)**
1:0 კუცბა (19), 2:0, 3:0 მაცონი (21, 53), 3:1 რევივო (61), 3:2 კარპინი (66პ)
**ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) 3:1 ბრიუგე (ბელგია)**
1:0, 2:0 ტურჯიმანი (20, 33), 3:0 სილვიო (45), 3:1 ინკაუსკასი (65)
**ბეირა მარი (პორტუგალია) 1:2 ვიტესი (ჰოლანდია)**
1:0 ფარი (40), 1:1 ვან ჰოიდონკი (53), 1:2 გროზდიჩი (80)
**იონიკოსი (საბერძნეთი) 1:3 ნანტი (საფრანგეთი)**
0:1 ლიევრე (56), 0:2, 0:3 მონტერბიო (60, 80), 1:3 დიმიტრიადისი (90)
**ბრაცერი (ავსტრია) 3:0 სპარტაკი (სლოვაკეთი)**
1:0 აკუეგბუ (10), 2:0 ტუტო (34), 3:0 აკუეგბუ (58)
**აკადემისკი (დანია) 0:2 გრასჰოპერი (შვეიცარია)**
0:1 იაკინი (50), 0:2 ეკოკუ (81)
**აიაქსი (ჰოლანდია) 6:1 დუკლა (სლოვაკეთი)**
0:1 ვერლაატი (14ს.კ.), 1:1 ვერლაატი (25), 2:1 როიზერი (26), 3:1 კნოპერი (47), 4:1, 5:1 მახლასი (49, 64), 6:1 ვამბერტო (72)
**კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 3:0 კილმარნოკი (შოტლანდია)**
1:0 კოხი (29), 2:0 ჯორკაეფი (36), მარშალი (39)
**ომონია (კვიპროსი) 2:5 იუვენტუსი (იტალია)**
0:1, 0:2 ინძაგი (2, 17), 0:3 კოვაჩევიჩი (22), 0:4 ესნაიდერი (24), 1:4 კონდოლეფტეროსი (75), 1:5 დელ პიერო (82), 2:5 კონდოლეფტეროსი (86)
**ამიცა (პოლონეთი) 2:0 ბრონდბიუ (დანია)**
1:0 დავიდოვსკი (19), 2:0 ბოისაჩკი (71)
**არისი (საბერძნეთი) 1:1 სერვეტი (შვეიცარია)**
1:0 მანციოსი (13პ), 1:1 პეტროვი (87)
**ატლეტიკო (ესპანეთი) 3:0 ანკარაგიუჯიუ (თურქეთი)**
1:0 გამარა (42), 2:0 პასელბაინკი (45), 3:0 პაუნოვიჩი (57)




ციურიხი — ლიერსი 1:0. მიხეილ ყაველაშვილს (მარჯვნივ) ბელგიელთა კარში გოლის გატანა შეეძლო

# აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის

UEFA CUP

## უეფას თასი. პირველი ეტაპი. პირველი წრე

ველარც ვბრაზდებით. ერთადერთი, რაც პარასკევს დილით მაინტერესებდა ხალხის რეაქცია იყო. ნაცნობ-უცნობს ვაკვირდებოდი და დავრწმუნდი: წინა დღით ორი ქართული გუნდის წაგებამ არავისზე იმოქმედა. თან წაგებასაც ხომ გააჩნია — თბილისის „ლოკომოტივმა“ 0:7 იწვნია და მის ფონზე ქუთაისის „ტორპედოს“ 0:1 უეფას თასის ალებად ჩანდა. თქვენც არ მომიკვდეთ, 0:7 კი არა 0:15 რომ წაეგოთ, კაციშვილი წარბს არ შეიხრიდა. მოსახლეობას, რომელსაც საფეხბურთო ენაზე გულშემატკივარი ჰქვია ხელი აქვს ჩაქნეული. ის ერთი კილო ბადრიჯნის ფასზე საუბრისას გაცილებით მეტ ემოციას გამოხატავს, ვიდრე ქართული გუნდების მორიგი და ტრადიციული მარცხის გამო, ხოლო ვისაც ფეხბურთი დამცირებისთვის კი არა, სიამოვნებისთვის უნდა ტელევიზორთანაა მიმჯდარი, რადგან მზერა საზღვარგარეთისთვის მიუბჯენია. ამიტომაც მოგვიმრავლდა „ინტერის“, „რეალისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივარი. და მადლობა განგებას რომ...

### ქეცბაიამ სოფიაში გოლი გაიტანა

„ნიუკასლ იუნაიტედი“ ახალი ცნობილი მწვრთნელის, ბობი რობსონის ხელმძღვანელობით სოფიაში ჩავიდა — ეს რობსონის ხელში გუნდის მეორე თამაში გახლდათ — და 2:0 მოიგო. ბოლო 15 შეხვედრაში პირველი გამარჯვება „კაჭკაჭებს“ (ასე ეძახიან ინგლისში „ნიუკასლს“) ნოლბერტო სოლანოსა და თემურ ქეცბაიას გოლებმა მოაპოვებინა. რობსონის ხელში გუნდი მაღალ პროფესიულ დონეზე ათამაშდა — ყოველ შემთხვევაში ბულგარულ ცსკას ეყო.

ბობი რობსონმა თავისი ფეხბურთელების გამარჯვება ასე შეაფასა: „სოფიაში გამარჯვება ბიჭებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამიერიდან გაცილებით თავდაჯერებულნი ვითამაშებთ. დახეთ სურათს: ჩემს მოსვლამდე „ნიუკასლს“ პრემიერლიგის ექვს შეხვედრაში 18 გოლი ჰქონდა გაშვებული, ჩემი ხელმძღვანელობით კი ორი სტუმრობიდან ერთი უკვე მოვიგეთ, ხოლო გაშვებით მხოლოდ ერთი გავუშვით. ვგონებ ეს მდგომარეობის გამოსწორებაზე მიუთითებს. ვიცოდით, რომ ჩვენთან ორმატჩიან პაექრობაში ბულგარელებს ერთადერთი შანსი დღეს ჰქონდათ. ეს მათი საშინაო მატჩი გახლდათ და ცხადი იყო ამ უპირატესობის გამოყენებას შეეცდებოდნენ, ამიტომაც პირველი 20 წუთისთვის საგანგებოდ მოვემზადეთ. დაცვაში ვაჟკაცურად უნდა გვეთამაშა და აკი ვითამაშეთ კიდეც. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფეხბურთელებმა ყურადღების მოკრება შეძლეს. განსაკუთრებით მინდა ჩვენი კაპიტნის, ალან შირერის თამაში გამოვყო. მან მეტოქეს დიდი სირთულეები შეუქმნა, მუდმივი ზეწოლის ქვეშ ჰყავდა. ერთხელაც დაამტკიცა, რომ ნამდვილი ლიდერია“.

ცსკას მწვრთნელმა, არანაკლებ სახელგანთქმულმა დიმიტარ პენევმა კი ბრძანა: „ჩვენ კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „ნიუკასლის“ დაცვა ძალიან ძლიერად მოქმედებდა. სწორედ მეტოქემ არ მოგვცა ჩვეული სულისკვეთებით თამაშის საშუალება, ხოლო ინგლისელების გუნდური დაჟინება ჩვენსას აღემატებოდა“.

თამაშის დაწყებიდან 17 წუთი იყო გასული, როდესაც დანკან ფერგიუსონი დაშავდა და მის ნაცვლად რობსონმა მოედანზე თემურ ქეცბაია შეუშვა. როგორც გაირკვა ეს იძულებითი ცვლილება არათუ უარესობას, უკეთესობას მოასწავებდა. შესვენების შემდეგ, 51-ე წუთზე, ჯერ სოლანომ ჯარიმიდან, ხოლო შემდეგ, 77-ზე, ქეცბაიამ გაუტანეს მასპინძელთა მეკარეს, ლუკიჩს და მეორე ეტაპზე გასვლა, ფაქტობრივად, პირველ შეხვედრაშივე გაინაღდეს.

### ჯამარაულმა „ლიერსი“ დაამარცხა

ციურიხში კი გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის გუნდმა გელა შეყილაძის ბელგიურ „ლიერსს“ 1:0 მოუგო. ერთადერთი გოლი სწორედ ჯამარაულმა გაიტანა.

ჯამარაული ამ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. შვეიცარიული პრესა აღნიშნავს, რომ ციურიხელთა თამაშს იგი წარმართავდა, პასებს ანაწილებდა, სტუმრებს მრავალი ხიფათი შეუქმნა, გოლი ხომ გაიტანა და ყვითელი ბარათიც მიიღო, რაც ამ შემთხვევაში მის მონდომებაზე მეტყველებს და არა უხეშობაზე.

მასპინძლებს ფიშერი, ოპანგო, კასტილიო, იოდიჩე და მაყურებელი აკლდათ. ტრიბუნაზე მხოლოდ 4 200 ქომაგი იჯდა, რაც, როგორც ამბობენ, ბოლოდროინდელი წარუმატებლობის შედეგია.

ჯამარაულმა პირველ ტაიმში გაიტანა: 29-ე წუთზე დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერად დაარტყა და ბელგიელთა მეკარის, დემანის თავგანწირული ნახტომის მიუხედავად ბურთი ლიერსელთა კარის ბადეში შეაგდო.

„ციურიხი“ მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ მთავარი, გოლის გატანა მხოლოდ ერთხელ შეძლო. არადა, ყაველაშვილსა და შასოს ანგარიშის გაზრდის კარგი შესაძლებლობები ჰქონდათ.

„სამწუხაროა მეორე გოლის გატანის ხელსაყრელი შესაძლებლობანი რომ გავუშვით ხელიდან. ლიერსში ძალიან ძნელი მატჩი გველის. თამაშს, ალბათ, კონტრშეტევაზე ავაგებთ... სიმართლე უნდა ითქვას, მეტოქემ ფიზიკურად გვაჯობა“ — განაცხადა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე შვეიცარიელთა მწვრთნელმა, რაიმონდო პონტემ.

### ზოგადად კი...

თბილისის „ლოკომოტივს“ თავი დაჩაგრულად და ევროპის აუტსაიდერთა აუტსაიდერად რომ არ ეგრძნო, პორტუგალიის გუნდმა, „ვიტორია სეტუბალმა“ რომში, „რომასთან“ იმავე ანგარიშით, 0:7 წააგო. მართალია სეტუბალელები სალონიკის პაოკს კი არა, ფაბიო კაპელოს „რომას“ შემოეკვნიტა, თან იტალიის დედაქალაქში, მაგრამ ვინაიდან 0:7 0:7-ია, დანარჩენზე სრული უფლება გვაქვს თვალი დავხუჭოთ და ვიამაყოთ, რომ არც მთლად ისეა საქმე ზოგს რომ ჰგონია...

ისე, სრულიადპორტუგალიელთა შედეგებს თუ გადავხედავთ, ზოგადქართული თავმოყვარეობაც დაგვიკმაყოფილდება: ოდესღაც დიდმა „ბენფიკამ“, 1961 და 1962 წლების ჩემპიონთა თასის მფლობელმა, ქუთაისელების წაბაძვით შინ, ბუქარესტის „დინამოსთან“ წააგო 0:1.

მეტიც, „ბეირა მარი“ შინ ჰოლანდიურ „ვიტესთან“ დამარცხდა 1:2, ხოლო ლისაბონის „სპორტინგი“ ნორვეგიაში „ვიკინგმა“ დაჯაბნა 0:3.

მოკლედ, ევროპა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან პორტუგალიურმა და ქართულმა კლუბებმა მჭიდროდ შეკრეს — ერთმანეთთან გვიჯობენ გაგვაჯიბრონ — ხოლო შუაში:

სალონიკის „არისის“ „სერვეტთან“ (1:1) თამაშსა და მისთანებს დიდი ადგილი რომ არ დავუთმოთ (თან 0:7 არავის წაუგია, ყველამ მეტ-ნაკლებად ადამიანური ანგარიშით ითამაშა) ჯობს გრანდებზე ვთქვათ: „იუვენტუსმა“ კვიპროსზე „ომონიას“ 5:2 მოუგო.

„პირველმა ორმოცდახუთმა წუთმა აბსოლუტურად დამაკმაყოფილა“ — თქვა ტურინელთა თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ — „განსაკუთრებით ესნაიდერი მინდა შევაქო, რომელსაც რამდენიმე თვეა არ უთამაშია, მაგრამ მიუხედავად ამისა თავდამსხმელთა დამხმარე მოთამაშის ფუნქციას ჩინებულად გაართვა თავი“.

ამსტერდამის „აიაქსმა“ სლოვაკურ „დუკლა ბანსკას“ საქართველოსკენ მიუთითა — 6:1. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში ანგარიში სლოვაკებმა გახსნეს (ფრანკ ვერლაატმა საკუთარ კარში შეაგდო) და უპირატესობა მე-14-დან 25-ე წუთამდე შეინარჩუნეს კიდეც.

„პარმამ“ კრივოი როგის „კრივბასთან“ იწვალა და 3:2 მოიგო, რაც იმას ნიშნავს, რომ საპასუხო თამაშის წინ სტუმრად ორი გოლის გამტან უკრაინელებს მალული თუ აშკარა ოპტიმიზმის სრული საფუძველი აქვთ.

მეტიც, „ტარდინის“ სტადიონზე კრივოი როგელები არ ნებდებოდნენ და ბოლო წუთებშიც კი ორი ისეთი დაარტყეს, მასპინძელთა გოლკიპერს, ჯანლუიჯი ბუფონს სისხარტისა და კლასის გამოვლენა რომ დასჭირდა.

შოტლანდიური „სელტიკი“ თელავივის „ჰაპოელს“ მასპინძლობდა და ჰენრიკ ლარსონის ორი გოლის წყალობით 2:0 გაიმარჯვა, ხოლო ბელგიურ „ანდერლეხტს“ 1984 წლის ამბების გამო მისჯილი ერთწლიანი დისკვალიფიკაცია გაუვიდა, ევროსარბიელს ლუბლიანის „ოლიმპიასთან“ შეხვედრით დაუბრუნდა და 3:1 მოუგო. საინტერესო ის გახლავთ, რომ მასპინძელთა ორი გოლი მანამდე, გავიდა, სანამ მეტოქეები თერთმეტი თერთმეტის წინააღმდეგ თამაშობდნენ, ხოლო მას მერე, რაც სლოვენებს ორი ფეხბურთელი გაუძევეს, ბრიუსელელებმა ერთის მეტი ვერაფერი გააწყვეს.

„ტოტენჰემი“ კონტინენტზე შვიდი წლის დავიწყებული ჰყავდათ, მაგრამ ლონდონელებმა საზოგადოებრიობას თავი შთამბეჭდავად შეახსენეს: მათ კიშინიოვის „ზიმბრუს“ სამი უპასუხო გოლით განუმარტეს, რომ იქ სადაც ძლიერები და მეტ-ნაკლებად ძლიერები იწყებენ, მან უნდა დაამთავროს ანუ მისი მოსაგები ამქვეყნად მხოლოდ — ვთქვათ პორტუგალიაში — არიან.

**ბაბუნა ბედია**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. V ტური

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 046 | აინტრახტი — ბაიერნი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 047 | ჰერტა — ლევერკუზენი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 048 | შალკე — უნტერჰახინგი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 049 | ულმი — არმინია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 050 | შტუტგარტი — დუისბურგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

19 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 051 | კაიზერსლაუტერნი — ჰამბურგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 052 | ვოლფსბურგი — ვერდერი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. V ტური

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 056 | ხემნიცი — მაინცი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

19 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 057 | ალემანია — ვალდჰოფი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 058 | კოტბუსი — ნიურნბერგი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 059 | ფიურტი — კიკერსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 060 | ჰანოვერი — ფორტუნა | 1,6 | 3,2 | 5,0 |

20 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 061 | კიოლნი — ბერლინი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. VIII ტური

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 062 | ასტონ ვილა — ბრედფორდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 063 | დერბი — სანდერლენდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 064 | ლესტერი — ლივერპული | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 065 | მანჩესტერი — უიმბლდონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 066 | საუთჰემპტონი — არსენალი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 067 | უოტფორდი — ჩელსი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

19 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 068 | ევერტონი — ვესტ ჰემი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 069 | ლიდსი — მიდლსბრო | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 070 | ნიუკასლი — უენსდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 071 | ტოტენჰემი — ქოვენთრი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |

### ინგლისი. I დივიზიონი. VIII ტური

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 072 | ბოლტონი — ბარნსლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 073 | ქრიუ — სვინდონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 074 | კრისტალ პალასი — გრიმსბი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 075 | ფულემი — ქუინზ პარკი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 076 | ჰადერსფილდი — ნორვიჩი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 077 | იფსვიჩი — ბირმინგემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 078 | შეფილდი — ჩარლტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 079 | სტოკპორტი — პორტ ვეილი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 080 | ტრანმერი — პორტსმუთი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 081 | უოლსოლი — მანჩესტერ სიტი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 082 | ვესტ ბრომვიჩი — ბლექბერნი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

19 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 083 | ნოტინგემი — ვულვერჰემპტონი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### ინგლისი. II დივიზიონი. VIII ტური

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 084 | ბლეკპული — ბორნმუთი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 085 | ბრენტფორდი — ლუტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 086 | როვერსი — ოლდემი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 087 | ბარნლი — კოლჩესტერი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 088 | ბერი — უიკომბი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 089 | კარდიფი — ნოტსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 090 | ჯილინგემი — პრესტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 091 | მილუოლი — კემბრიჯი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 092 | რედინგი — ჩესტერფილდი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 093 | სკანთორპი — ბრისტოლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 094 | სტოკი — უიგანი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 095 | რექსემი — ოქსფორდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ინგლისი. III დივიზიონი. VIII ტური

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 096 | ბარნეტი — ნორთჰემპტონი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 097 | ბრაიტონი — ჩესტერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 098 | დარლინგტონი — მენსფილდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 099 | ექსეტერი — იორკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 100 | ჰარტლპული — პლიმუთი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 101 | ჰალი — სუონსი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 102 | ლეიტონი — ტორკი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 103 | ლინკოლნი — მაკლსფილდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 104 | პიტერბრო — ჩელტენემი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 105 | როტერჰემი — როჩდეილი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 106 | შრიუსბერი — კარლაისლი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 107 | საუთენდი — ჰალიფაქსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. VII ტური

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 108 | ბორდო — ლიონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 109 | ოსერი — სენტ ეტიენი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

19 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 110 | ნანსი — მონპელიე | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 111 | სედანი — ბასტია | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 112 | ლე ავრი — ლანსი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 113 | სტრასბური — პსჟ | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 114 | მონაკო — მეცი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,3 |
| 115 | ნანტი — რენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 116 | მარსელი — ტრუა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. X ტური

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 117 | გენგამი — ვასკეალი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 118 | ლავალი — ტულუზი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 119 | ნიმი — ლუანი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 120 | ნიცა — შატორუ | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 121 | აიაჩო — კრეტეი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 122 | ლორიანი — ვალანსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 123 | გენიონი — კანი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 124 | სოშო — კაენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 125 | ლილი — ლე მანი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 126 | ამიენი — ნიორი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### იტალია. სერია A. III ტური

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 127 | ბარი — მილანი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 128 | პერუჯა — კალიარი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

19 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 129 | იუვენტუსი — უდინეზე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 130 | ბოლონია — რეჯინა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 131 | ფიორენტინა — ვერონა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 132 | ინტერი — პარმა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 133 | ლაციო — ტორინო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 134 | პიაჩენცა — ლეჩე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 135 | ვენეცია — რომა | 2,7 | 2,8 | 2,4 |

### იტალია. სერია B. IV ტური

19 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 136 | ჩეზენა — ჯენოა | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 137 | კიევო — ტერნანა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 138 | ფერმანა — ბრეშა | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| 139 | მონცა — ემპოლი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 140 | პესკარა — კოზენცა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 141 | სალერნიტანა — პისტოიეზე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 142 | სამპდორია — რავენა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 143 | სავოია — ტრევიზო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 144 | ვიჩენცა — ალძანო | 1,5 | 3,2 | 6,5 |

20 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 145 | ატალანტა — ნაპოლი | 1,8 | 2,8 | 4,4 |

### იტალია. სერია C1/A. III ტური

19 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 146 | კარარეზე — ლეკო | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 147 | ჩიტადელა — ბრეშელო | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 148 | კომო — მოდენა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 149 | ლივორნო — ალბინოლეფე | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 150 | ლუმეცანე — ლუკეზე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 151 | მონტევარკი — კრემონეზე | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 152 | რეჯანა — პიზა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 153 | სპალ — სანდონა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 154 | ვარეზე — სიენა | 1,9 | 2,7 | 4,0 |

### იტალია. სერია C1/B. III ტური

19 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 155 | ანკონა — არეცო | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 156 | აველინო — მარსალა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 157 | დი სანგრო — ატლეტიკო | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 158 | კატანია — ბენევენტო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 159 | კროტონე — ლოდიჯანი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 160 | გუალდო — ასკოლი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 161 | სტაბია — ნოჩერინა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 162 | პალერმო — ჯულიანოვა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 163 | ვიტერბეზე — ფ. ანდრია | 2,5 | 2,8 | 2,6 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. IV ტური

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 164 | ესპანიოლი — ოვიედო | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 165 | ბეტისი — ვალენსია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 166 | ვალიადოლიდი — მალაგა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 167 | რეალი — დეპორტივო | 1,5 | 3,1 | 7,0 |

19 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 168 | სოსიედადი — მალიორკა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 169 | სელტა — რაიო ვალეკანო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 170 | სარაგოსა — ატლეტიკო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 171 | რასინგი — სევილია | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 172 | ალავესი — .ბარსელონა | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| 173 | ნუმანსია — ბილბაო | 2,7 | 2,8 | 2,4 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. V ტური

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 174 | ეიბარი — ელჩე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 175 | ალბასეტე — ტენერიფე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 176 | სალამანკა — სპორტინგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 177 | ლეიდა — უელვა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 178 | ლას პალმასი — მერიდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 179 | კომპოსტელა — ლეგანესი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

19 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 180 | ხეტაფე — ვილიარეალი (14[30]) | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| 181 | ესტრემადურა — ოსასუნა (15[00]) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 182 | ბადახოსი — ლევანტე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 183 | ლოგრონიესი — ტოლედო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 184 | კორდობა — ატლეტიკო | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### პორტუგალია. IV ტური

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 186 | პორტუ — რიუ ავე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 187 | ლეირია — ბოავიშტა | 4,2 | 2,9 | 1,8 |

19 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 188 | ბელენენსეში — ალვერკა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 189 | მარიტიმუ — ფარენსე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 190 | სალგეირუში — სანტა კლარა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 191 | გიმარაეში — ჟილ ვისენტე | 1,8 | 2,9 | 4,2 |

20 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 192 | ბენფიკა — სეტუბალი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 193 | სპორტინგი — ამადორა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### ჰოლანდია. VI ტური

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 195 | დენ ბოსხი — მაასტრიხტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 196 | ფეიენოორდი — სიტარდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 197 | ნაიმეგენი — პსვ | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| 198 | ტილბურგი — ალკმარი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

19 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 199 | ვალვაიკი — აიაქსი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 200 | როდა — ჰერენვენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 201 | უტრეხტი — გრააფსხაპი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 202 | ვიტესი — სპარტა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ბელგია. VI ტური

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 204 | გენტი — ბევერენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 205 | გენკი — მუსკრონი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 206 | ბეერსხოტი — გეელი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 207 | მეხელენი — ლომელი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

19 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 208 | ანდერლეხტი — სენტ ტრუიდენი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 209 | ვესტერლო — ლიერსი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 210 | აალსტი — ლოკერენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 211 | ჰარელბეკე — ბრიუგე | 5,0 | 3,2 | 1,6 |

### საბერძნეთი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 სექტემბერი | | | |
| 212 | კალამატა — ოფი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 213 | პაოკ — აეკ | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 214 | ქსანთი — არისი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 215 | პანაჰაიკი — იონიკოსი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 216 | ეთნიკოსი — კავალა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 217 | პროდეფტიკი — ოლიმპიაკოსი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 218 | ირაკლისი — აპოლონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 219 | პანიონიოსი — პანილიაკოსი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 220 | პანათინაიკოსი — ტრიკალა | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 0:1 | 1,3 | 4:0 | 5,0 |

### ჩეხეთი. VII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 სექტემბერი | | | |
| 222 | ბანიკი — იაბლონეცი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 223 | ბრნო — სპარტა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 19 სექტემბერი | | | |
| 224 | ბუდეიოვიცე — დუკლა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 225 | ჰ. კრალოვე — ოპავა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 226 | ბლშანი — დრნოვიცე | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 227 | ბოჰემიანსი — ტეპლიცე | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 228 | სლავია — სიგმა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### პოლონეთი. IX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 სექტემბერი | | | |
| 233 | პოგონი — ზაგლებე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 234 | ჰალექსი — გურნიკი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 235 | პოლონია — ლკს | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 236 | რუხი — ვისლა (17⁰⁰) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 19 სექტემბერი | | | |
| 229 | პლოცკი — ლეხი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 230 | ვიძევი — ოდრა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 231 | რაძიონკოვი — ლეგია | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 232 | გროცლინი — ამიცა | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### თურქეთი. IV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 სექტემბერი | | | |
| 238 | ტრაბზონი — ბურსა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 239 | გენჩლერბირლიგი — ქოჯაელი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | 19 სექტემბერი | | | |
| 240 | ისთანბული — ფენერბაჰჩე | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 241 | ვანი — ბეშიქთაში | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 242 | გაზიანთეფი — გიოზთეფე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 243 | ალთაი — ერზურუმი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 244 | დენიზლი — სამსუნი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 245 | ანკარაგიუჯიუ — ანთალია | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### შოტლანდია. VII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 სექტემბერი | | | |
| 246 | აბერდინი — დანდი იუნაიტედი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 19 სექტემბერი | | | |
| 247 | დანდი — სენტ ჯონსტონი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 248 | ჰიბერნიანი — კილმარნოკი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 249 | მოზერუელი — ჰართსი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ავსტრია. XII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 სექტემბერი | | | |
| 251 | ტიროლი — შტურმი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 252 | ლინცერი — ლუსტენაუ | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 19 სექტემბერი | | | |
| 253 | გრაცერი — რიდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 254 | ბრეგენცი — რაპიდი | 5,0 | 3,2 | 1,6 |

### შვეიცარია. XII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 სექტემბერი | | | |
| 255 | არაუ — ქსამაქსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 256 | ბაზელი — ლუგანო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 19 სექტემბერი | | | |
| 257 | ლუცერნი — სენტ გალენი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 258 | სერვეტი — დელემონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 259 | ციურიხი — ივერდონი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 260 | ლოზანა — გრასჰოპერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### დანია. VIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 სექტემბერი | | | |
| 261 | ვაილე — ოლბორგი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 262 | ესბიერგი — ვიბორგი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 263 | აკადემისკი — ჰერფიოლგე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 264 | ლიუნგბიუ — ორჰუსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 265 | სილკებორგი — ოდენსე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 266 | ბრიონდბიუ — კოპენჰაგენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### რუსეთი. XXIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 სექტემბერი | | | |
| 267 | ჟემჩუჟინა — შინიკი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 268 | ნ. ნოვგოროდი — სპარტაკი | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| 269 | ტორპედო — ცსკა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 270 | როსტსელმაში — როტორი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 271 | დინამო — ალანია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 272 | კრილია — ჩერნომორეცი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 19 სექტემბერი | | | |
| 273 | სატურნი — ზენიტი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 274 | ლოკომოტივი — ურალანი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### შვედეთი. XXI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 სექტემბერი | | | |
| 275 | აიკ — ჰამარბი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 19 სექტემბერი | | | |
| 276 | ტრელებორგი — იურგარდენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 277 | ფრიოლუნდა — კალმარი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 278 | ჰალმსტადი — მალმიო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 20 სექტემბერი | | | |
| 279 | ჰელსინგბორგი — ნორჩიოპინგი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 280 | ელფსბორგი — გიოტებორგი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 281 | იორგრიტე — იორებრო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### ნორვეგია. XXIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 სექტემბერი | | | |
| 282 | სტაბეკი — მოლდე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 283 | ვიკინგი — ბრანი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 19 სექტემბერი | | | |
| 284 | ლილესტრიომი — ბოდიო გლიმტი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 285 | მოსი — ვოლერენგა | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 286 | ოდ გრენლანდი — სტრიომსგოდსეტი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| 287 | სკეიდი — რუსენბორგი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 288 | ტრომსიო — კონგსვინგერი | 1,5 | 3,6 | 5,0 |

**შესავსები ქვითრის მარცხენა სვეტში არჩეული წყვილის შესაბამისი ნომრის მითითება აუცილებელია** (ნომრისა და წყვილის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტულად ჩაწერილი წყვილი ჩაითვლება)

**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

**თბილისში** — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.

**ბათუმში** — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა 67, მეორე სართული.

**რუსთავში** — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.

**გორში** — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.

**თელავში** — კოსტავას ქუჩა 23

**ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე**

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს [illegible] მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთისძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# გაყრა ორმოცი წლის შემდეგ

## მოსეშვილის ნაცვლად დინამოს მხეიძე გაწვრთნის



ლევან მოსეშვილი

მართლაც რომ ყველაფერს აქვს დასასრული. ადრე თუ გვიან, ალბათ, ასეც უნდა მომხდარიყო და სულ ცოტა ხნის წინ ძნელად დასაჯერებელი ახლა უკვე უტყუარ ფაქტად იქცა. ამ ერთი კვირის წინ თბილისის „დინამოსა“ და ათეული წლების მანძილზე მისი თავკაცის, ლევან მოსეშვილის გზები გაიყარა. თუმც ეს არ ნიშნავს, რომ საბოლოოდ...

მოსეშვილი დაკავებული თანამდებობიდან საკუთარი ნებით წავიდა, მის ადგილზე კი წინა სეზონში „მაკაბის“ მწვრთნელი, ვაჟა მხეიძე დაამტკიცეს, რომლისთვისაც „დინამო“ უცხო არ არის. მხეიძე დიდხანს მუშაობდა ამ კლუბში და სწორედ რომ მოსეშვილის მხარდამხარ. არცთუ შორეულ წარსულში იგი „დინამოს“ მეორე მწვრთნელი გახლდათ.

თავად მოსეშვილის შესახებ ამ ზაფხულს ერთი მითქმა-მოთქმა ატყდა. იმასაც გაიგონებდით, მას მოსკოვის ცსკა-ს მთავარ მწვრთნელობას სთავაზობენო. ასეთ შემთხვევაში მოსეშვილი თავის თავად გამოეთხოვებოდა „დინამოს“, მაგრამ რაკი ცსკა-ს ვარიანტი გამოირიცხა, მისი მომავალი სამწვრთნელო კარიერა ბურუსმა მოიცვა. სულ ახლახან კულუარებში იმაზეც ალაპარაკდნენ, რომ „დინამოდან“ წასულმა მოსეშვილმა სდასუ-ს მიაშურა და ახალ ჩემპიონატში ამ სტუდენტურ კლუბს გაუძღვებაო.

ყოველივე ამის დასაზუსტებლად პირადად ლევან მოსეშვილს დავუკავშირდით, რითაც მეტ-ნაკლებად ნათელი მოეფინა ამ საკითხს:

— „რახან „დინამოდან“ წამოვედი, ეს არ ნიშნავს, რომ სხვაგან მივდივარ. არსად გადასვლას და მწვრთნელობას არ ვაპირებ, მით უფრო საქართველოს მასშტაბით. უბრალოდ, ძალიან გადავიღალე და მინდა, ცოტა დავისვენო, თუმცა არც ის ვიცი, ეს რამდენ ხანს გაგრძელდება.

ძირითადად ოჯახში ვარ. არსად არ ვსაქმიანობ, ეს არის და ეს. მეც ასე, ყურმოკვრით ვიგებ ხოლმე ჩემზე მოარულ ჭორებს. რაც უნდათ, ის ილაპარაკონ, ეს მე სრულიად არ მაღელვებს“.

ახლა „დინამოზეც“. მიგრაცია მხოლოდ მთვარი მწვრთნელის წასვლით არ შემოიფარგლა. გუნდი წამყვანმა კალათბურთელებმა, ვალერი კილაძემ და ირაკლი მაისურაძემაც დატოვეს, რომლებიც ახალი სეზონისთვის ბათუმურ კლუბთან ერთად ემზადებიან. ირაკლი ხოშტარია ჯერჯერობით „აზოტს“ ეხმარება კორაჩის თასზე და მომავალში რას იზამს, არავინ იცის. თუმცა ის კი ნაღდია, რომ კვლავაც „დინამოში“ თამაშის პერსპექტივა მას საერთოდ არ ხიბლავს. გაურკვეველია, კიდევ ერთი ირაკლის, შანიძის ბედიც. შარშან „აზოტიდან“ გადმობირებული ლევან წიკლაურიც მშობლიურ რუსთავს დაუბრუნდა.

ამგვარ სიტუაციაში ჩავარდნილ ახალდანიშნულ მწვრთნელს ვაჟა მხეიძეს, ბუნებრივია, საფიქრალ-საწუხარიც ბერვი დაუგროვდებოდა, თუმცა მომავალს იმედის თვალით შეჰყურებს და პირველივე დღიდან ისედაც ახალგაზრდული „დინამოს“ კიდევ უფრო გაახალგაზრდავებას მიჰყო ხელი.



ვაჟა მხეიძე

„ბიჭები პირველად ერთი კვირის წინ შევკრიბეთ და მეცხრე ჩემპიონატისთვის აქვე, დიღმის საკალათბურთო ბაზაზე შევუდექით მზადებას. მართალია, რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დაგვტოვა, მაგრამ ვფიქრობ, „დინამო“ ასეც ანგარიშგასაწევი გუნდი იქნება. კალათბურთელთა უმეტესობა მეტისმეტად ახალგაზრდაა, მაგრამ მათ საკმაო პრაქტიკა აქვთ მიღებული საქართველოს სხვადასხვა ასაკის ნაკრებში თამაშით. ახლანდელი „დინამო“ მომავლის გუნდია და თუ ეს მოთამაშეები შევინარჩუნეთ, თავის სიტყვას იტყვის ეროვნულ ჩემპიონატში. თუმცა ამას ჯერ დრო სჭირდება“ — გვითხრა გუშინ ვაჟა მხეიძემ.

და კიდევ. მხეიძის „დინამოში“ წასვლის შემდეგ უმწვრთნელოდ დარჩა „მაკაბი“. ახლახან ამ გუნდის მთავარ მწვრთნელად დავით რიბაშვილი დაინიშნა, რომელიც წლების განმავლობაში აქვე თამაშობდა, სულ ბოლოს კი „მაკაბის“ მოთამაშე-მწვრთნელიც გახლდათ.

**გიორგი ბიკაშვილი**

## თავისუფალი აგენტების ბაზარი

16 სექტემბერი

***ჩიკაგო ბულზი:*** შეინარჩუნა ფორვარდი დიკი სიმპკინსი; უარი თქვა უკანახაზელ რონ ჰარპერზე

***მაიამი ჰითი:*** შეინარჩუნა უკანახაზელი რექს ულტერსი

***ფილადელფია 76:*** აიყვანა „ბოსტონის“ ყოფილი ფორვარდი ბრიუს ბოუენი

***ვანკუვერ გრიზლიზი:*** აიყვანა „ატლანტას“ ყოფილი ფორვარდი გრანტ ლონგი

***კლივლენდ კავალიერზი:*** შეინარჩუნა ფორვარდი რაიან სტეკი

***სიეტლ სუპერსონიქსი:*** აიყვანა უგუნდო ფორვარდი ლასარო ბორელი (ორწლიანი კონტრაქტი)

# პირველი ქართველი და პირველი კუბელი სიეტლში შეიყარნენ

კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში პირველი ქართველი მოთამაშის ვლადიმერ სტეფანიას გუნდი „სიეტლ სუპერსონიქსი“ სეზონთაშორის პერიოდს უქმად არ ატარებს და განუწყვეტლივ უშვებს და იმატებს მოთამაშეებს. კლუბის ხელმძღვანელობამ 1999 წლის სეზონის ჩავარდნის შემდეგ შემადგენლობის გაახალგაზრდავება განიზრახა და გუნდიდან გაშვებულ გამოცდილ, მრავლისმნახველ ვეტერანთა ლამის მთელ ლეგიონს ის ახალგაზრდა კალათბურთელები შეცვლიან, რომელთა სახელები ბევრს არაფერს ამბობს, თუმცა კლუბის ბოსებს ახალწვეულების ეიმედებათ და აღებულ კურსს არ ღალატობენ. „სიეტლი“ დიდი ხანია, ეძებდა დეტლეფ შრემპფის შემცვლელს, რადგან ამ გამოცდილი გერმანელი ფრთის ამპლუაში გუნდში არავინ მოიძებნებოდა. რამდენიმე კვირის წინ „სონიქსს“ შეუერთდა ახალგაზრდა რუბენ პატერსონი, ვისაც სულ ერთი, ისიც უხეირო სეზონი გაუტარებია „ლოს ანჯელეს ლეიკერსში“. და იქ თურმე, როგორც თვითონ თქვა, ჯერ კობი ბრაიანტის, შემდეგ კი გლენ რაისის ჩრდილში მყოფი იჩაგრებოდა. „სიეტლში“ მისვლით პატერსონი სიხარულს ვერ მალავდა, რადგან აქ სასტარტო ხუთეულში თამაშს გეგმავდა, მაგრამ აი, დიდებაზე მეოცნებე უსახელო კალათბურთელს კონკურენტი გამოუჩნდა. მისი სახელი ლასარო ბორელი გახლავთ, სწორედ ის კუბელი ლასარო ბორელი, რომელიც კუბაში გამეფებულ ფიდელ კასტროს სოციალისტურ დიქტატურას ამერიკაში გაექცა და ამ დიდ ქვეყანას თავშესაფარი სთხოვა. ამერიკამ, კონკრეტულად კი „სიეტლ სუპერსონიქსმა“ შეიფარა იგი — 16 სექტემბერს ორწლიანი კონტრაქტი დაუდო. მანამდე კუბელი ისინჯებოდა „ჰიუსტონში“, ხოლო „მაიამისთან“, „ნიუ ჯერსისთან“ და „პორტლენდთან“ მოლაპარაკებას აწარმოებდა. და აი, ორიოდ დღის წინ, ემიგრანტმა ნავსაყუდელი იქ ჰპოვა, სადაც ერთი წლის წინ ვოვა სტეფანიამ.

პატერსონზე ბევრად ცნობილი არც ბორელია. უფრო მეტიც, მას საერთოდ არ უთამაშია ნბა-ში (ლიგის პირველი კუბელია), იგი არგენტინაში ბურთაობდა და, როგორც ჩანს, არცთუ ურიგოდ, რადგან თამაშში საშუალოდ 20,8 ქულა მოჰქონდა თავისი გუნდისთვის. ამ ერთი თვის წინ კუბელმა ამერიკაში გაქცევა გადაწყვიტა, პუერტო რიკოში მიმდინარე სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირზე. იქ მან ურიგო შთაბეჭდილება არ დატოვა (სამ შეხვედრაში საშუალოდ 21,3 ქულა და 10,3 მოხსნა გააკეთა) და იმედი მიეცა, რომ ამერიკელები მისი თამაშის შემხედვარი თავიანთ ყურადღებას მიპყრობდნენ. როგორც ხედავთ, მან აისრულა ოცნება, საბოლოოდ მოსწყდა კუბას და ერთადერთი, რისი დატოვებაც გაუჭირდა,



ლასარო ბორელი

ეს მისი ოჯახია. პრესკონფერენციაზე, სადაც თარჯიმანის დახმარებით ლაპარაკობდა, ბორელი ამბობდა, რომ მშობლებისგან და სამი დედმამიშვილისგან ასე შორს მყოფისთვის კონტრაქტზე ხელის მოწერა სევდიანიც იყო და ამავე დროს ამაღელვებელი.

პატერსონისა არ იყოს, ბორელიც სავსებით შესაფერის გუნდად თვლის სიეტლს, რადგან: „მე მჭირდება მეტი თავისუფლება, რათა გამოვავლინო ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი“ — ამბობს სიეტლის ახალწვეული. აქ ლასაროს საქმეში ნახვის შემდეგ მასზე ურიგო აზრი არ შეექმნათ და მზად არიან, მას თვითგამოვლენის შანსი მისცენ. გუნდის პრეზიდენტი ვალი უოლკერი ამბობს: „ლასარო კარგად კითხულობს თამაშს, ის თავს მშვენივრად გრძნობს როგორც ბურთით, ასევე უბურთოდ, კარგი მსროლელია, იცის პასის მიცემა. ახლა მისი ამოცანაა, ფიზიკურად მომძლავრდეს და ისწავლოს ინგლისური ენა“. როგორც ჩანს, ბორელს კლუბში დამკვიდრებას დიდი შანსი აქვს. 203-სანტიმეტრიან და 26 წლის კაცს მოქნილობის და სისწრაფის წყალობით შეუძლია ფრთის გარდა მსროლელს პოზიციაზეც ითამაშოს. გაჭირვების შემთხვევაში მას სულაც გამთამაშებლობაც ძალუძს. უოლკერის თქმით, მიუხედავად უზარმაზარი ენობრივი ბარიერისა, ბორელს თოთხმეტკაციან განაცხადში მოხვედრის პრობლემა წესით არ უნდა შეექმნას.

**ირაკლი ფირაშვილი**

# სამგზის ჩემპიონი საჭირო აღარ ყოფილა

ჩავარდნილი სეზონის შემდეგ მდგომარეობის გამოსწორებას „ჩიკაგო ბულზი“ შემადგენლობის გაახალგაზრდავებით ცდილობს და თვალი, რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდებისკენ უჭირავს. ამ ერთი კვირის წინ კლუბის ხელმძღვანელობის დღის წესრიგში დადგა ორი თავისუფალი აგენტის — უკანახაზელი რონ ჰარპერისა და თავდამსხმელი დიკი სიმპკინსის საქმე. კლუბი ამჟამად ცდილობს, მოთამაშეთა ხელფასებიდან გარკვეული რაოდენობის თანხა შემოინახოს, რათა შემდეგ წლებში ახალგაზრდა თავისუფალ აგენტთა ბაზარზე სასურველ ვარსკვლავს სხვაზე მეტი შეაძლიოს. და აი, ასეთი საკადრო პოლიტიკის მიმდევარმა 90-იანი წლების უძლიერესმა გუნდმა კონტრაქტი მხოლოდ დიკი სიმპკინსს გაუფორმა, რონ ჰარპერს კი ოთხივ მხრივ გზა დაულოცა. ეს მაშინ, როცა ჰარპერი ბოლო ხუთი წელია, „ბულზის“ ხუთეულის წევრია და სამჯერ „ჩიკაგოს“ ჩემპიონობაში შეუტანია წვლილი. ერთგვარად უნივერსალური მოთამაშე ჰარპერი რამდენიმე წელიწადი მაიკლ ჯორდანთან ერთად „ხარების“ უკანა ხაზს ქმნიდა და კალათბურთის მეფეს საქმეს უიოლებდა. ახლა კი 35 წლის რონი, ვინც ნბა-ში 13 სეზონი გაატარა და სიბერემაც ვერცთუ დიდად დაატყო ხელი, კლუბის უმადური ხელმძღვანელობის „რაღაც პოლიტიკის“ გამო იძულებულია, დატოვოს გუნდი, რომელმაც მას ამდენი ბედნიერება მოუტანა. „მინდა, ყველაფერი საუკეთესო ვუსურვო ჰარპს, რადგან იგი მთლიანად დაიხარჯა გუნდისთვის, მაგრამ დროს თავისი მიაქვს... უნდა განვაახლოთ გუნდის უკანა ხაზი“ — ამბობს კლუბის გენერალური მენეჯერი ჯერი კრაუზე. საინტერესოა, რას ფიქრობდა ეს კაცი, რომელიც ერთი წლის წინ მზად იყო, თვით სკოტი პიპენი თვალის დაუხამხამებლად გაეშვა გუნდიდან როცა ახალგაზრდა ბრენტ ბერის ბებერ ჰერსი ჰოკინსში უცვლიდა „სიეტლ სუპერსონიქს“, თან ამბობდა, ჩვენ დიდად წაგვადგება მისი გამოცდილებაო. სხვათა შორის, ჰოკინსი და ჰარპერი ერთი და იგივე ამპლუის მოთამაშეები არიან და თუ გამოცდილებაზე მიდგა საქმე, მეორეს პირველზე მეტი თუ არა, ნაკლები არა აქვს.



რონ ჰარპერი

# უილიამსი საოპერაციოა

„ნიუ ჯერსი ნეთსს“ ნამდვილად არა სწყალობს ბედი. გუნდს ამ ბოლო წლებში ჰყავს საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა იმისთვის, რომ რაიმე ხეირიანი შედეგი აჩვენოს, მაგრამ „ბადეებს“ დიდი უბედურება დასტყდომიათ თავს. ტრავმები, აი, რა უშლის ხელს ამ პოტენციურად საკმაოდ ძლიერ გუნდს, თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს უწიოს.

14 სექტემბერს გუნდის ქომაგებმა კიდევ ერთი ცუდი ამბავი შეიტყვეს — „ნეთსს“ სავარაუდოდ 1 იანვრამდე დააკლდება ძირითადი ცენტრი, 1998 წლის „ოლ სტარის“ მონაწილე ჯეისონ უილიამსი, ვისაც შარშანდელ სეზონშიც ბევრი გაუცდა ტრავმიანობის გამო და ახლაც 2000 წლამდე ვერაფრით შეეშველება თავისიანებს. მისი არყოფნის მიზეზი კი ახლახან გადატანილი მუხლის მძიმე ოპერაციაა, რომელიც მან ნიუ იორკის სპეციალურ ქირურგიულ კლინიკაში გაიკეთა. უილიამსს ერთსაათიანი ოპერაციის დროს მუხლიდან ძვლოვანი გამონაზარდი ამოსჭრეს. ასე რომ, მისი თამაში სულ მცირე, სამი თვე მაინც გამორიცხულია. საამისოდ დათქმული ვადა, 1 იანვარიც პირობითი თარიღია. ყველაფერი დამოკიდებული იქნება თვითონ უილიამსის ორგანიზმზე — რამდენად სწრაფად მისცემს იგი კალათბურთელს მოედანზე გასვლის საშუალებას. და ეს მოხდა მაშინ, როცა უილიამსის შემცვლელი, ახალბედა ევან ეშმეიერიც დაახლოებით ოთხ თვეს ვერ ითამაშებს მხრის კუნთის მძიმე ტრავმის გამო.

## კორაჩის თასი

| შესარჩევი ეტაპი. I მატჩი. 16 სექტემბერი | |
|---|---|
| 27 | ბერტრანჟი (ლუქსემბურგი) — მეხელენი (ბელგია) 57:96 |


**ბავშვთა კალათბურთის აკადემია აცხადებს**

1990, 1991 და 1992 წლებში დაბადებულ მოზარდთა მიღებას

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 49ა

ფიზიკური კალათბურთისა და სპორტის აკადემიის შენობაში

☎ 23 20 05

კორაჩის თასზე რუსთავის „აზოტის“ წინააღმდეგ საასპარეზოდ ჩამოსული „ბკ კიევის“ დელეგაციაში კალათბურთის სტაჟიანი გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ გუნდის მფლობელს, სეულის ოლიმპიადის ჩემპიონს, ამჟამად უკრაინის სპორტის მინისტრს ალექსანდრ ვოლკოვს.

სამწუხაროდ, მინისტრმა თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხა, მაგრამ უკრაინელთა დელეგაციაში ვიხილეთ არანაკლები წარსულის მქონე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი და მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული ალექსანდრ სალნიკოვი.

სამოცდაათიანი წლებისა და ოთხმოციანი წლების დასაწყისის საბჭოთა კალათბურთის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი, მოსკოვის ცსკა-ს, კიევის „სტროიტელისა“ და ასკ-ის შესანიშნავი მსროლელი, მეტად თავაზიანი და კარგი მოსაუბრეც გამოდგა.



საბჭოთა კალათბურთის ორი ვარსკვლავი:
ვლადიმერ უგრეხელიძე (მარცხნივ) და ალექსანდრ სალნიკოვი

# ალექსანდრ სალნიკოვს ყველა უყვარს და ვერავის არჩევს

**— რატომ არ არის დელეგაციაში ალექსანდრ ვოლკოვი?**

— „ბკ კიევი“ უკვე ჩამოყალიბებული გვქონდა, როდესაც საშას უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ კუჩმამ ქვეყნის სპორტის მინისტრობა შესთავაზა. მინისტრად გახდომის შემდეგ ვოლკოვი ძალიან მოუცლელია და საქართველოში ჩამოსვლაც ამიტომ ვერ მოახერხა.

**— თქვენ რა ფუნქციები გავალიათ?**

— ვარ კლუბის გენერალური მენეჯერი.

**— ვისი იდეა იყო კიევში ახალი საკალათბურთო კლუბის ჩამოყალიბება?**

— ჩემი და ვოლკოვის. მე და საშა წლეულს, შვებულების დროს შევხვდით ერთმანეთს კიევში. დიდი ხანი იყო, ერთმანეთი არ გვენახა. გავიხსენეთ წარსული, გადავხედეთ უკრაინის კალათბურთის დღევანდელ მდგომარეობას, რომელიც აშკარად ჩამორჩება ყოფილი საბჭოთა კავშირის დროინდელ დონეს. მართალია, გვყავს პერსპექტიული კალათბურთელები, მაგრამ რაც უკრაინა დამოუკიდებელი გახდა, ქვეყნის ყველა კუთხეში დაძრწიან ამერიკელი, ესპანელი, იტალიელი აგენტები, აგროვებენ პერსპექტიულ სპორტსმენებს, მიჰყავთ უცხოეთში და უკან თითქმის აღარავინ ბრუნდება. რას იღებს უკრაინის კალათბურთი? არაფერს. ორმოცდაათმილიონიანი ქვეყანა მხოლოდ ერთხელ გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე და მეცამეტე ადგილს დასჯერდა. სწორი მუშაობით კი უკრაინას აშკარად მეტის გაკეთება შეუძლია.

საშას ვუთხარი, მომწყინდა პოლონელების და არაბების წვრთნა, მოდი ჩვენს, უკრაინულ კალათბურთს მივხედოთ-მეთქი. ლიტვიდან მოვიწვიეთ ახალგაზრდა, პერსპექტიული უკრაინელი კალათბურთელი სტანისლავ მედვედენკო. სამშობლოში დავაბრუნეთ „ავტოდორში“ მოთამაშე გრიგორი ხიჟნიაკი და დენის ჟურავლიოვი ჩვენთან დავიტოვეთ რამდენიმე პერსპექტიული სპორტსმენი, რომლებიც უცხოეთში წასვლას აპირებდნენ.

**— პირიქით, უცხოელი აქეთ დაიმატეთ...**

— მხოლოდ ერთი, უკანა ხაზის მოთამაშე ამერიკელი კურტის მაკენტსი. იგი ფლორიდაშია დაბადებული და ცხოვრობს ნიუ იორკში. ბოლოს თელ ავივის „ჰაპოელში“ თამაშობდა. გამთამაშებლის პრობლემა გვქონდა და გუნდს მაკენტსი ჰაერივით სჭირდებოდა.

**— სხვა ამპლუაში თუ გაქვთ პრობლემები?**

— გუნდი ძირითადად ახალგაზრდულია და ყველგან გვყავს პერსპექტიული კალათბურთელები. განსაკუთრებით დიდ იმედებს ვამყარებთ. სტანისლავ მედვედენკოსა და სტანისლავ ბალაშოვზე.

**— გენერალური სპონსორი გყავთ?**

— გუნდი ძირითადად დამოკიდებულია ალექსანდრე ვოლკოვის ფონდზე. აგრეთვე გვეხმარება ერთი ფირმა და კიევის მერია, რომელმაც სათამაშო და სავარჯიშო დარბაზები გამოგვიყო.

**— შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური პრობლემები არ გაწუხებთ?**

— არ გვაწუხებს, მაგრამ არც თავს გადაგვდის. სწორედ ფინანსური პრობლემების გამო ვერ შევძელით უცხოურ კლუბებში მოთამაშე რამდენიმე ჩვენი თანამემამულის დაბრუნება.

**— სეზონისწინა მომზადების პროცესით თუ დარჩით კმაყოფილი?**

— ვოლკოვის დახმარებით პირველი შეკრება მოვაწყვეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში და მონაწილეობა მივიღეთ ენ-ბი-ეის ერთ-ერთ საზაფხულო ლიგაში. შევხვდით აშშ-ს ნაკრებს, რომელიც პანამერიკული თამაშებისთვის ემზადებოდა. სულ ჩავატარეთ ექვსი შეხვედრა და სამი გამარჯვება მოვიპოვეთ. ჩვენი მეტოქეები, თუ არ ჩავთვლით აშშ ნაკრებს, ძირითადად ახალგაზრდა კალათბურთელები იყვნენ, რომლებიც თავს აწონებდნენ საკალათბურთო აგენტებს, რათა სარფიანი კონტრაქტები გაეფორმებინათ. ჩვენებიდან ამერიკელები დაინტერესდნენ მედვედენკოთი და ბალაშოვით. ვნახეთ თქვენი თანამემამულე ვლადიმერ სტეფანია, რომელსაც მხოლოდ ფიზიკური მომზადება აკლია, თორემ ყველა მონაცემები აქვს, გახდეს დიდი კალათბურთელი.

ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ ათდღიანი შეკრება გავიარეთ ესპანეთის მაღალმთიანეთში, სადაც ძირითადად ფიზმომზადებით ვიყავით დაკავებული. მოვუგეთ ადგილობრივ გუნდს და დავმარცხდით მადრიდის „რეალთან“.

ერთი კვირის წინ კი მონაწილეობა მივიღეთ იტალიის საერთაშორისო ტურნირში, სადაც ჩვენთან ერთად იტალიის ორი გუნდი და ხორვატიის „ზადარი“ თამაშობდა. პირველი შეხვედრა გვქონდა „ზადართან“, რომლის რიგებში დინო რაჯაც ასპარეზობდა. დაძაბული ორთაბრძოლა ბოლო წამებზე დავთმეთ ორი ქულის სხვაობით. მესამე ადგილისთვის მატჩი კი წავაგეთ იტალიელებთან.

**— უკრაინის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიგიღიათ, კორაჩის თასზე როგორღა მოხვდით?**

— ფიბა-ს რეიტინგით უკრაინას უფლება ჰქონდა, კორაჩის თასზე ოთხი გუნდი გამოეყვანა. ამის სურვილი კი მხოლოდ კიევის ცსკა-მ გამოთქვა. ჩვენ ვისარგებლეთ ამ შემთხვევით და ამიტომაც მოვხვდით კორაჩის თასზე. რაც შეეხება უკრაინის სუპერლიგაში მონაწილეობას, ეს საკითხი უკრაინის კალათბურთის ფედერაციას 15 სექტემბერს უნდა განეხილა.

**— უკრაინის კალათბურთის ფედერაცია წინააღმდეგია, რომ „ბკ კიევმა“ ეროვნულ ჩემპიონატში ითამაშოს?**

— უკრაინაში არის სამი ლიგა, პირველი, უმაღლესი და სუპერლიგა. წესით, როგორც ახლადშექმნილმა გუნდმა, ჩვენ უნდა დავიწყოთ პირველი ლიგიდან და ყველა ეტაპის გავლის შემდეგ შეგვიძლია სუპერლიგაში მოხვედრა. რადგან „ბკ კიევი“ პერსპექტიული კალათბურთელებით და ეროვნული ნაკრების რამდენიმე წევრით დაკომპლექტებული გუნდია, მე მგონი, დაუშვებენ გამონაკლისს და მოგვცემენ სუპერლიგაში თამაშის უფლებას.

**— უკრაინის თითოეულ ლიგაში რამდენი გუნდი თამაშობს?**

— სუპერლიგაში ათი, ხოლო უმაღლეს და პირველ ლიგაში — თორმეტი. მართალია, მთლიანობაში ოცდაათ გუნდზე მეტი გამოდის, მაგრამ ისინი სათამაშო კლასით ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან.

**— ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების საკალათბურთო ლიგის შესახებ რას გვეტყვით?**

— ლიგის დამფუძნებელი და ორგანიზატორია ცნობილი ლიტველი კალათბურთელი შარუნას მარჩულიონისი. ბალტიისპირელებთან ერთად ლიგაში მონაწილეობს ჩრდილოეთი ევროპის რამდენიმე ქვეყანა, რომელთაც დაემატნენ რუსეთი და უკრაინა. წლეულს დაგეგმილია 12 გუნდის მონაწილეობა. შეიძლება ითქვას, რომ ლიგაში თამაში უფასოა. გუნდი არ იხდის მონაწილეობისათვის შესატანს, მგზავრობის, მსაჯების, სასტუმროს და სხვადასხვა წვრილმანის ფულს. ლიგის შემოსავალია ტელერეპორტაჟების დ რეკლამებიდან შემოსული თანხა.

**— თქვენ რით დააინტერესეთ ლიგის ორგანიზატორები?**

— ჩვენს თამაშებს გადასცემს უკრაინის პირველი ეროვნული არხი, რომელსაც ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი, ორმოცდაათმილიონიანი აუდიტორია ჰყავს.

**— თუ გავითვალისწინებთ, რომ სტუმრად „აზოტი“ საკმაოდ დამაჯერებელი ანგარიშით დაამარცხეთ, მომდევნო ეტაპზე გასვლა, ანუ ჯგუფურ ტურნირში მოხვედრა არ უნდა გაგიჭირდეთ. სულ რამდენ ფრონტზე მოუწევს ბრძოლა წლეულს თქვენს გუნდს?**

— სამ ფრონტზე. ეს არის უკრაინის ჩემპიონატი, კორაჩის თასი და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების საკალათბურთო ლიგა.

**— დებიუტანტის კვალობაზე, მიზანი გამოცდილების მიღებაა, თუ...**

— მიმაჩნია, რომ უაზრობაა რომელიმე ტურნირში მონაწილეობის მიღება, თუ იქ წარმატების იმედი არ გაქვს. პირადად მე, საერთაშორისო ტურნირებიდან პრიზის გარეშე არასოდეს დავბრუნებულვარ. ჩვენი კალათბურთელებისგანაც იგივეს მოვითხოვ, რადგან წარუმატებლობას ჩვეული არ ვარ. ამიტომაც, უკრაინის პირველობაზე და კორაჩის თასზე პირველები გვინდა ვიყოთ. რაც შეეხება ჩრდილოეთის ლიგას, იქ კაუნასის „ჟალგირისის“ და მოსკოვის ცსკა-ს სახით ძლიერი მეტოქეები გვეყოლება. აღნიშნულიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ ოთხეულში მოხვედრისთვის ვიბრძოლოთ.

**— თუ შეიძლება, მოკლედ გვიამბეთ თქვენი საკალათბურთო მოღვაწეობის შესახებ?**

— დავიბადე 1949 წლის 3 ივლისს. 1974 წელს გავხდი მსოფლიო ჩემპიონი და დამასახელეს ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ. მონრეალსა და მოსკოვში მოვიპოვე ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლები. 1978 წელს მსოფლიო პირველობაზე — ვერცხლი. ვარ ევროპის ორგზის ჩემპიონი და ამდენჯერვე ვიცე-ჩემპიონი. ნაკრებში ვთამაშობდი 1973 წლიდან 1981 წლის ჩათვლით. დამთავრებული მაქვს კრასნოდარის სამედიცინო ინსტიტუტი. მერე დავამთავრე ფიზკულტურის ინსტიტუტი კალათბურთის განხრით.

კალათბურთში ვარჯიში დავიწყე კრასნოდარში, სადაც 1972 წლამდე ვთამაშობდი პირველ ლიგაში. 1972 წელს ამიყვანეს რუსეთის ნაკრებში და იმავე წელს გომელსკი ცსკა-ში მეპატიჟებოდა, კონდრაშინი — ლენინგრადის „სპარტაკში“, ხოლო შაბლინსკი — კიევის „სტროიტელში“, ანუ დღევანდელ „ბუდიველნიკში“. მართალია, მამით რუსი ვარ, მაგრამ დედა მყავს უკრაინელი. დღემდე ძალიან მიყვარს კიევი და „სტროიტელში“ თამაში ვამჯობინე. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გომელსკიმ ცსკა-ში წამიყვანა, სადაც მხოლოდ ერთი წელი დავრჩი და კვლავ „სტროიტელს“ დავუბრუნდი. 1978-1989 წლებში კი კიევის ასკ-ში ვითამაშე, შემდეგ კი მწვრთნელობა დავიწყე და პოლონეთში წავედი სამუშაოდ. სამი წლის შემდეგ უკრაინაში დავბრუნდი და ერთი წელი ნაკრებში ვიმუშავე. ბოლო ხუთი წელი კი ლიბანში გავატარე. ამჟამად, „ბკ კიევის“ გენერალურ მენეჯერობასთან ერთად, უკრაინის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელის მოვალეობასაც ვასრულებ.

**— ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს ქვეყნის ყველა საუკეთესო კალათბურთელს აუცილებლად ცსკა-ში უნდა ეთამაშა. თქვენი მონაცემების მქონე სპორტსმენმა კი მოსკოვში მარტო ერთი სეზონი გაატარეთ და ძირითადად კიევის ასკ-ს უერთგულეთ, რომელიც მაშინდელ გრანდებს აშკარად ჩამოუვარდებოდა...**

— მოსკოვში თამაშის დროს სამხედრო ჩინი მომცეს და მომავალშიც სამხედროდ დავრჩი. როგორც უკვე გითხარით, კიევი ძალიან მიყვარს და არმიელების გუნდი კი ასკ იყო. ფინანსურადაც თავს კარგად ვგრძნობდი. არც პარტნიორები მყავდა ურიგო — პანკრაშკინი, გობოროვი, ბერეჟნოი, მელეშკინი...

**— ნაკრებში ვინ გიწევდათ საუკეთესო პარტნიორობას?**

— სტანისლავ ერიომინი და ივან ედეშკო.

**— თუ იცით, რას საქმიანობენ თქვენი თაობის უკრაინელი კალათბურთელები, რომლებიც სსრკ-ს ნაკრების ღირსებასაც იცავდნენ?**

— ვოლკოვი ყველაზე დიდი კაცი გახდა და უკრაინის სპორტის მინისტრად მუშაობს. ტკაჩენკო მოსკოვში ცხოვრობს და მცირე ბიზნესით ირჩენს თავს. ბელოსტენი ბოლოს გერმანიაში თამაშობდა, შემდეგ იქ დარჩა საცხოვრებლად და რუსულ-უკრაინული რესტორანი გახსნა. ბერეჟნოი, რომელიც 1961 წელს არის დაბადებული, კვლავ თამაშობს და ამჟამად თურქეთში იმყოფება. ნახევრად თქვენებური და ნახევრად ჩვენებური სერგეი კოვალენკო კი ჩვენთან, კიევში ცხოვრობს.

**— დიდი ხანია, რაც თბილისში არ ყოფილხართ?**

— ბოლოს ვიყავი 1989 წლის აპრილში, როდესაც მნიშვნელოვანი მოვლენები ხდებოდა რუსთაველის პროსპექტზე. მიხეილ ქორქიამ დამპატიჟა პირად საქმეზე და მხოლოდ ორი დღე დავყავი თბილისში.

**— ქართველებიდან თუ გქონდათ რომელიმე კალათბურთელთან გამორჩევით კარგი ურთიერთობა?**

— ყველას დიდ პატივს ვცემ და გამორჩევით ვერავის გამოვარჩევ. ძალიან მეწყინა, რომ უდროოდ გარდაიცვალა ლევან ჩხიკვაძე. აუცილებლად უნდა მოვინახულო გიორგი ავალიშვილი, რომელიც, თურმე, ავადმყოფობს. ვერ წარმოიდგენთ, რამდენად დიდი სიამოვნება იყო ჩემთვის, როდესაც კვლავ შევაბიჯე თბილისის სპორტის სასახლეში. აქ მე პირველად გავხდი საბჭოთა კავშირის პრიზიორი, მაშინ „სტროიტელში“ თამაშის დროს ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ. საქართველოსთან და განსაკუთრებით თბილისის სპორტის სასახლესთან მე ძალიან, ძალიან კარგი მოგონებები მაკავშირებს.

**— „აზოტი“ - „ბკ კიევის“ მატჩიდან გამომდინარე, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ქართულ კალათბურთზე?**

— ქართული კალათბურთი ყოველთვის იყო სწრაფი და ტექნიკაზე აგებული. სამწუხაროდ, „აზოტს“ არ ჰყავს ისეთი ლიდერი, როგორიც, ვთქვათ, სტეფანიაა, ჩვენს გუნდში კი ამ ფუნქციებით გამოირჩეოდა მედვედენკო. მთლიანობაში „აზოტმა“ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ეტყობა, გამოცდილება აკლიათ კალათბურთელებს და დროთა განმავლობაში ამასაც შეიძენენ.

**როლანდ ლაგუჩიძე**



ალექსანდრ სალნიკოვი „ბკ კიევის“ ამერიკელ კურტის მაკენტსს არიგებს

# გარი თურქია:
# ბევრ ფულზე ფიქრმა თავის ტკივილი იცის




გარი თურქიას მეურვენი მუდამ ფხიზლად დარაჯობენ

...ქართველთა წინა ხაზი გააფთრებით ასკდება მოწინააღმდეგის დაცვას, მაგრამ გზამოჭრილი ისევ უკან იხევს. ზუსტად ისე, როგორც ნაპირს შეხეთქებული ტალღა. მეტოქეც ფხიზლობს. ცდილობს, არ დაერღვეს დაცვის ხაზი, რათა ვინმე მეკარესთან პირისპირ არ გაექცეს, თან მჭიდროდ ეთამაშება თითოეულ ჩვენგანს. ყველა ელის, რომ რომელიმე ქართველი სატყორცნელად შეიმართება ჰაერში. მთელი ყურადღებაც სწორედ „ზედა სართულისკენაა“ მიპყრობილი. ამ დროს გარი თურქია ოდნავ უკან იხევს, თანაგუნდელთა სიღრმეში. ერთი შეხედვით, სათამაშო სქემიდანაც კი ვარდება, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. მერე კი ყველაფერი წამებში ხდება — მკვეთრად მოქნეული ხელი, მცველებში ელვასავით გასხლეტილი დაბალი ბურთი, მეკარის აშკარად დაგვიანებული, ინსტინქტური რეაქცია (თუ საერთოდ გააკეთა) და მძლავრად შერხეული ბადე... ეს ტყორცნა გამორჩეულია ხელბურთში, მისი ავტორი კი საქართველოს ნაკრებში. ის მეკარისთვის უძნელესი დარტყმაა, მაყურებლისთვის — სიამოვნების წამი.

გარი თურქიას ნაკრების ძირითადში თამაშის საკმაო სტაჟი დაუგროვდა ამ კაცს. იგი და ნაკრები განუყოფელია. მანაც საკუთარი მხრებით ატარა ის ტვირთი, ნაკრების ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფამდე მიყვანა რომ ჰქვია.

დღეს თურქია და მისი თანაგუნდელები პლეი ოფის საპასუხო მატჩში დანიაში იქაურებს ხვდებიან. გარის იქ წასვლის წინა დღეს, ვარჯიშზე შევხვდი. უცნაური ვარჯიში იყო. გულმოდგინე, მაგრამ მაინც უცეცხლო, უნიათო, უაზარტო. მწვრთნელის ემოციური შენიშვნები და შეძახილები სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებდა. ეს ნერვული ატმოსფერო, ბუნებრივია, პირველ შეხვედრაში შვიდბურთიანმა წაგებამ და დღევანდელი თამაშის უპერსპექტივობამ შექმნა. მომეჩვენა, ბიჭებს (ნაწილს მაინც) კიდეც გაუხარდათ ვარჯიშის დამთავრება. ვარჯიშის მერე თურქია აღმოჩნდა ის ერთადერთი მოთამაშე, რომელიც დარბაზში დარჩა და ინდივიდუალურად გააგრძელა წვრთნა. ვარჯიშზეც ხომ ერთი შენიშვნა არ მიუღია მწვრთნელისგან. არ მინდოდა, მისთვის ხელი შემეშალა და იქვე ჩამოვჯექი. მაგრამ როგორც კი უთხრეს, გელიანო, ჩემი მძაფრი პროტესტის მიუხედავად, ვარჯიშს მაშინვე შეეშვა და საუბარიც გავაბით. მე უფრო მისი ახალი კლუბი მაინტერესებდა.

— ესაა მაკედონიის ქალაქ ტრილევის თუთუნის ქარხნის გუნდი. იგი ამ ქარხნის ბაზაზეა ჩამოყალიბებული, იქვე ვარჯიშობს და ჩემპიონატშიც ამ სახელით ასპარეზობს. შარშანდელ სეზონში კლუბი მეხუთე ადგილზე გავიდა, წლეულს კი მიზნად ჩემპიონობა დაისახა. საკმაოდ კარგი გუნდია, უკვე მზადებასაც შეუდგა. ვნახოთ, შევხედოთ...

**— ძველი გუნდიდან რატომ წამოხვედით?**

— როცა სპორტში პოლიტიკა და ფინანსები ერევა, ძალიან ცუდია. ასე მოხდა იქაც, ქალაქ ნიგოდინოს გუნდში, სადაც შარშან ვითამაშე.

**— რას გულისხმობთ, პოლიტიკურ არასტაბილურობას იმ რეგიონში?**

— არა, ეს არაფერ შუაშია. მაკედონიაში სიმშვიდეა, იქ იუგოსლავიაში მიმდინარე ომი არც იგრძნობა. მხოლოდ ეგაა, ბევრი ალბანელი ლტოლვილია კოსოვოდან. აქ, უბრალოდ, ყველაფერი ფულმა გადაწყვიტა. ტრილევში ეს პრობლემა არაა, იქ კარგი გუნდია. თანაც, ნიგოდინო პატარა ქალაქია, 17 ათასი მცხოვრებით. ტრილევში კი 80 ათასი კაცი ცხოვრობს. ესაა მაკედონიის მეხუთე ქალაქი, დედაქალაქ სკოპიედან 160 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ნიგოდინოს ბევრად სჯობს.

**— ამ კლუბს თავად დაუკავშირდით?**

— ჩემი მენეჯერის მეშვეობით. ისინი მიცნობდნენ და მას მიმართეს. უკვე ხელშეკრულებაც გავაფორმე.

**— რა პირობებით?**

— კონტრაქტი ერთწლიანია, რადგან უფრო ხანგრძლივი არ მინდოდა. გუნდმა ქალაქის ცენტრში ოროთახიანი ბინა გამომიყო. დანიიდან რომ დავბრუნდები, მაკედონიაში ცოლშვილსაც წავიყვან. მანქანა არ მოუციათ, მაგრამ დამიქირავეს ტაქსი, რომელსაც ვარჯიშზე და მერე შინ დავყავარ. ანაზღაურება მაღალი არაა, მაგრამ ნორმალურია. მე დიდ ფულზე არასოდეს მიოცნებია. როცა ამაზე ფიქრობ, თავი გტკივა კაცს. ყველაფერთან ერთად გუნდიც კარგია.

**— ეს რაში გამოიხატება?**

— ესაა კლუბი ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ავიღოთ თუნდაც ვარჯიში. აქ სულ სხვა კვალიფიკაციის მწვრთნელია. მან თუ რამე დაგავალა, ესე იგი, შეგიძლია. კონტრაქტზე ხელის მომწერი მოთამაშე ვალდებულია, მისვლისთანავე ივარჯიშოს, იმუშაოს... ნიგოდინოში ასე არ იყო. ტრილევში მწვრთნელი ადგილობრივია, ადრე მეკადონიის ნაკრებშიც უთამაშია. ის არაა ზოგიერთივით სახელოვანი, მაგრამ მკაცრი, მომთხოვნი და დისციპლინის მოყვარული კაცია.

**— გუნდს ჩემპიონობა კი განუზრახავს, მაგრამ როგორ გგონიათ, შეძლებთ ამას? ან ლეგიონერები თუ არიან კლუბში, თქვენ თუ თამაშობთ ძირითადში?**

— ლეგიონერი მხოლოდ მე ვარ და ძირითადშიც მაყენებენ. გუნდში მაკედონიის ნაკრების სამი წევრიცაა. ჩემპიონობისა კი ჯერ რა მოგახსენოთ. ხომ გითხარით, კარგი გუნდია-მეთქი. ვნახოთ...

**— თუ კარგი გუნდია, უფრო ხანგრძლივი კონტრაქტი რატომ არ გაუფორმეთ?**

— მინდა ხელბურთი, კიდევ 3-4 წელი ვითამაშო, ოღონდ არა მაკედონიაში. მსურს, უფრო ძლიერ სახელბურთო ქვეყანაში გავაგრძელო თამაში. ოღონდ ახლა ზუსტად არ შემიძლია გითხრათ, სად ვისურვებდი წასვლას.

**— ბოლოს დანიასთან თამაშებზეც მინდა გკითხოთ, ჩატარებულზეც და გასამართზეც.**

— ჩატარებული თამაშის პირველ ტაიმში მეტოქე „დავიჭირეთ“, რაც მეორეში ვერ მოვახერხეთ. მეც არ ვიცი, რატომ მოხდა ასე. ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენ ამ დონის გუნდთან ჯერ არ გვითამაშია და ვღელავდით. რაც შეეხება მომავალ თამაშს, როგორც ამბობენ, იმედი ბოლოს კვდება. ვნახოთ, ჯერ ყველაფერი დაკარგული არაა. ისე კი, დანია ძლიერი, კარგი გუნდია.

**ირაკლი თავაძე**


# დაასახელეთ თქვენი რჩეული

ქართული სპორტის ისტორიას მრავალი გამოჩენილი სპორტსმენის სახელი ამშვენებს, მაგრამ ვინ იყო საუკეთესო საუკეთესოთა შორის, ვინ არის გულშემატკივრის რჩეული?

ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს სპორტის მოყვარულთა სატელეფონო გამოკითხვა, რომელსაც ***საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია*** აწყობს ***კომპანია „მეგაკომთან“*** ერთად.

ჩვენი ტელეფონებია: 99-94-09, 97-36-60, 97-36-61, 97-36-62.

დარეკეთ სამუშაო დღეებში, 11-დან 15 საათამდე.

**დარეკეთ და დაასახელეთ თქვენი რჩეული!**

გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდება 19 ოქტომბერს, სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

*ამონაწერი რეფერენდუმის დებულებიდან: „საგანგებო ნომინაციაში ლაურეატი (ერთი სპორტსმენი) ვლინდება სპორტის გულშემატკივართა გამოკითხვით. გამარჯვებულად ცხადდება სპორტსმენი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. ლაურეატს ენიჭება ტიტული — „გულშემატკივრის რჩეული“.*

სარეფერენდუმო კომიტეტი,
საქართველოს სპორტულ
ჟურნალისტთა ასოციაცია

სსჟა

მეგაკომი


## რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

### თამაზ იმნაიშვილი

#### სასტენდო სროლა

დაიბადა 1954 წლის 28 ივლისს თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი პირად და გუნდურ ჩათვლაში, ევროპის შვიდგზის (1977, 1978, 1980, 1981, 1984, 1985, 1987) ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, მრავალგზის პრიზიორი პირად ჩათვლაში, მსოფლიოს ჩემპიონი (1981), ვიცე-ჩემპიონი (1993) და ორგზის ბრინჯაოსმედალოსანი (1979, 1990) პირად ჩათვლაში, მსოფლიოს ჩემპიონატის (1981) ბრინჯაოსმედალოსანი გუნდურ ჩათვლაში, სამი ოლიმპიადის მონაწილე



1. ყველაზე სასიამოვნო ის იყო, 1981 წელს მსოფლიოს ჩემპიონი რომ გავხდი პირად პირველობაში. სამწუხარო ისაა, რომ ვერც ერთ ოლიმპიადაზე მედალი ვერ მოვიპოვე. ახლაც სალიცენზიო ტურნირიდან ჩამოვედი, სადაც ლიცენზიამდე ერთი ქულა დამაკლდა. ამით სიდნეიში სპორტსმენად წასვლის იმედი გადამეწურა, არადა, ეს ჩემი მეოთხე ოლიმპიადა იქნებოდა.

2. სამწუხაროდ, სპორტი მართლაც კრიზისშია და თანდათან უკან-უკან მიდის. გამოსავალს მხოლოდ ერთში ვხედავ — სპორტისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა უნდა შეიცვალოს. ხაზინამ სპორტს უფრო მეტი ფული უნდა გამოუყოს და მერე ისიც უპრობლემოდ მისცეს. როგორ შეიძლება, სპორტსმენი უმაღლესი რანგის ტურნირზე ვერ მიდიოდეს მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფო ვერ აფინანსებს. საცოდაობაა, კაცი ოთხი წელიწადი ემზადება ოლიმპიადისთვის და სალიცენზიო ტურნირს აკლდება. არადა, შეიძლება ოლიმპიადაზე გამოსვლის შანსი ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ მოგეცეს. თუ ქვეყნის აღმშენებლობა გვინდა, ამ პროცესში ფიზიკურმა კულტურამ და სპორტმა წამყვანი ადგილი უნდა დაიკავოს.

3. ვიქტორ სანეევი, ლევან თედიაშვილი, ზურაბ საკანდელიძე
ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე, ნინო დუმბაძე



# აშშ — რუსეთი

## გამარჯვებული წინასწარ ცნობილია

ამ უქმეებზე კალიფორნიაში ჩოგბურთში ქალთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ფედერაციის თასის ფინალი გაიმართება. ერთ დროს მსოფლიოში ბატონობისთვის მებრძოლ „დერჟავთა“ ძალები ამჟამად აქაც მეტად არათანაბარია.

თუმცა ჯობს თავად განსაჯოთ: ამერიკელებს შემადგენლობაში მსოფლიოს მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ჩოგნები ჰყავთ, ამასთან შინ და თანაც საყვარელ საფარზე — ჰარდზე ითამაშებენ; სტუმრებს კი საუკეთესოთა ორმოცდაათეულში ერთადერთი წარმომადგენელი ეგულებათ.

რუსებს გარკვეული შანსები შეიძლება მაშინ გასჩენოდათ, მამაკაცი თანამემამულეების ანდრე აგასისა და პიტ სამპრასის მსგავსად, ბოლოლა ამერიკელ დიაცებსაც უარი რომ ეთქვათ ქვეყნის სახელით ასპარეზობაზე, თუმცა ისინი გაცილებით პატრიოტულად განწყობილები გამოდგნენ და ფინალში თამაშის სურვილიც ერთხმად გამოთქვეს.

ასე რომ, სტენფორდის უნივერსიტეტის კორტებზე აშშ-ის ჰიმნის აჟღერებისას გულზე ხელს მიიდებენ: ლინდსი დევენპორტი, მონიკა სელეში, სერენა და ვინუს უილიამსები, შემადგენლობა, რომელიც ნებისმიერ მეტოქეს დაუბნელებს თვალებს.

„ძალიან ნასიამოვნები ვარ ჩემი გუნდით, უკეთესი არ იქნება. ის ფაქტი, რომ ქვეყნის ოთხივე საუკეთესო მოთამაშე მზადაა ფედერაციის თასზე საასპარეზოდ, აშშ-ში ქალთა ჩოგბურთის ამჟამინდელ აღმავლობაზე მეტყველებს“ — მიაჩნია გუნდის კაპიტანს, ლეგენდარულ ბილი ჯინ კინგს.

კინგს ახლა ერთადერთი თავსატეხი აქვს — მთლად ვარსკვლავებით დაკომპლექტებული ნაკრებიდან ერთეულებში რომელი ათამაშოს. თუ იგი არჩევანს კლასიფიკაციის მიხედვით გააკეთებს, ახლახან დასრულებული „ოუფენის“ ჩემპიონსა და არაჩვეულებრივ ფორმაში მყოფ სერენა უილიამსს მხოლოდ წყვილებში მოუხდება ასპარეზობა; თუ სერენას ამჯობინებს, მაშინ მსოფლიოს მეორე-მესამე ჩოგნებიდან ერთს, ლინდსი დევენპორტს ან ვინუს უილიამსს მოიმდურებს.



ბილი ჯინ კინგი ვინუს უილიამსს არიგებს

### განწირულები

რუსების კაპიტან კონსტანტინ ბაგაროდეცკის შედარებით უფრო კონკურენტუნარიანი ნაკრების დაკომპლექტებაც შეეძლო, მაგრამ ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელის, ანა კურნიკოვას მოწვევას პრინციპულობის გამოჩენა არჩია.

საქმე ის არის, რომ კურნიკოვამ გუნდში თამაშზე მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში უარი თქვა, თუმცა მოგვიანებით განაცხადა, თუ ფინალისთვის მიმიწვევენ, უეჭველად დავთანხმდებიო.

ამჯერად უარზე უკვე ბაგაროდეცკი დადგა: „ის გოგონები, რომლებმაც ფინალამდე მოგვიყვანეს, იმსახურებენ მასში თამაშს. ახლა რომელიმე მათგანის კურნიკოვათი შეცვლა სრული უსამართლობა იქნებოდა“.

ასე რომ, რუსეთის ნაკრების შემადგენლობა უცვლელი დარჩა: მასში კლასიფიკაციით მე-17 ელენა ლიხოვცევას ტატიანა პანოვა და თბილისელთათვის ნაცნობი ორი ელენა — დემენტიევა და მაკაროვა შეეშველებიან.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსებმა მსგავს წარმატებას პირველად მიაღწია, ბაგაროდეცკის თქმით, ქვეყნის სპორტული ხელმძღვანელობა მისი გუნდის მიმართ სრულ გულგრილობას იჩენს.

„შეთანხმებული ვიყავით, რომ „ოუფენის“ შემდეგ აშშ-ში დავრჩებოდით ერთკვირიან შეკრებაზე, რათა ჩვენს გოგონებს ნიუ იორკიდან შინ და მერე უკან, კალიფორნიაში გადაფრენა არ დასჭირვებოდათ, მაგრამ გვითხრეს, ამისთვის ფული არ გვაქვსო. როგორც ჩანს, მათ წინასწარ ჩაიქნიეს ხელი ჩვენზე, ჰგონიათ, რომ ამერიკელების დამარცხების შანსი არ გვაქვს“.

მუდმივმა ფინანსურმა პრობლემებმა, ეტყობა, ბაგაროდეცკის მოთმინების ფიალაც აავსო — იგი გაისიდან თურქეთის ჩოგბურთის ფედერაციასთან აპირებს კონტრაქტის დადებას.

# კორიდა უტორეადოროდ

ტაშკენტი. უზბეკეთი. „პრეზიდენტის თასი“.
დარბაზი, ჰარდი.
საპრიზო 500 ათასი $

მეოთხედფინალი: **ნიკოლას კიფერი** (3, გერმანია) — სესილ მემიტი (აშშ) 6:1, 7:5; **დანიელ ვაცეკი** (ჩეხეთი) — პარადორნ სრიჩაპანი (ტაილანდი) 7:5, 7:6 (9:7); **პეტერ ვესელსი** (ჰოლანდია) — აქსელ პრეჩი (გერმანია) 7:6 (10:8), 6:0; **გეორგ ბასტლი** (შვეიცარია) — ანტონი დუპუი (საფრანგეთი) 6:2, 6:4.

ტაშკენტში მიმდინარე „პრეზიდენტის თასი“ ATP ტურზე მიღებულ ტურნირთა განრიგს რატომღაც ერთი დღით უსწრებს. სად და რატომ ეჩქარებათ უზბეკებს, ძნელი სათქმელია, მარამ კვირის ნაცვლად მათი პირველობა, ეტყობა, შაბათს დასრულდება.



ნიკოლას კიფერი

რაკიღა მასპინძლების გარდა ტაშკენტიდან აზარგებას აქ ჩამოსული ვარსკვლავები — ევგენი კაფელნიკოვი, გრეგ რუზეცკი, კაროლ კუჩერა, სედრიკ პიოლინიც ჩქარობდნენ, ტურნირს ნახევარფინალში ერთადერთი სახელიანი ჩოგბურთელი, მესამედ განთესილი ნიკოლას კიფერი შემორჩა.

„ამჟამად ტურზე ნებისმიერს შეუძლია საუკეთესო ათეულელის დამარცხება თუ არა, მასთან ღირსეულად შებრძოლება მაინც, მაგრამ მაინც გაკვირვებული ვარ ამდენი განთესილის ადრეულად გავარდნით“ — განაცხადა 22 წლის გერმანელმა, რომელსაც სეზონის მესამე ტიტულის მოპოვებაში ჩეხი დანიელ ვაცეკი თუ შეუშლის ხელს.

ტაშკენტში გამარჯვების შემთხვევაში კი კიფერს გერმანიის პირველ ჩოგნობაში მოცილის, ტომი ჰაასის კლასიფიკაციაში გადასწრება და, კარიერაში პირველად, საუკეთესოთა ათეულში შეღწევა ელის.

„მალიორკას ღია პირველობა“. ესპანეთი. თიხნარი.
საპრიზო 500 ათასი $

ხმელთაშუა ზღვაში მდებარე კუნძულ მალიორკაზე მასპინძლებმა წლეულსაც მსოფლიოს ყველაზე ეგზოტიკური — ხარების საბრძოლო არენაზე მოწყობილი კორტი დაახვედრეს ჩოგბურთელებს.

თუმცა თავის მთავარ ტორეადორს ტურნირი უკვე პირველ წრეში გამოეთხოვა — ამ პატარა კუნძულზე დაბადებული და გაზრდილი კარლოს მოია, რომლის საპატივცემულოდაც გასულ წელს პირველობა მარბელადან მალიორკაზე გადმოიტანეს, უკვე პირველ წრეში გავარდა.

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა აშშ-ის ღია პირველობაზე მიღებული მხრის ტრავმა ბოლომდე ვერ მოირჩინა და უცნობ თანამემამულე ხუან ბალსელსთან 6:4, 3:6, 3:6 წააგო.

„თავიდან თავს მშვენივრად ვგრძნობდი, მაგრამ ტკივილმა სულ უფრო მიმატა და ბოლოს უკვე აუტანელი შეიქნა. აქ მხოლოდ იმიტომ ვითამაშე, რომ ჩემი მშობლიური ქალაქია, თორემ კიდევ ერთი-ორი კვირა უნდა მემკურნალა“ — თავი იმართლა მოიამ.

მეორე წრე: **ალექს კორეტხა** (2, ესპანეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:1, 6:2; **დომინიკ ჰრბატი** (4, სლოვაკეთი) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 7:6 (7:5), 6:3; **ფრანსისკო კლავეტი** (5, ესპანეთი) — იენს კნიპშილდი (გერმანია) 6:7 (3:7), 6:4, 6:4; **ხუან ანტონიო მარინი** (კოსტა რიკა) — რაინერ შუტლერი (7, გერმანია) 6:3, 6:1; **ერნან გუმი** (არგენტინა) — ფრანკო სკილარი (8, არგენტინა) 7:6 (7:4), 6:3.

**ავთანდილ სვანიძე**



# ოტის აუხდენელი ოცნება

იამაიკელი მძლეოსანი ქალის, მერლინ ოტის ნანდროლონზე განმეორებითი ექსპერტიზაც დადებითი გამოდგა. ეს ცნობა კინგსტონში გაავრცელა იამაიკის მძლეოსნობის ფედერაციამ იააფ-ის ინფორმაციაზე დაყრდნობით. 39 წლის სპორტსმენს ორგანიზმში მასტიმულირებელი ნივთიერება 5 ივლისს, შვეიცარიის ქალაქ ლუცერნში გამართული ტურნირის დროს აღმოუჩინეს.

სხვადასხვა შეჯიბრებაში 34 მედლის მომპოვებელმა ოტიმ, რომელიც 1993 და 1995 წლებში მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა 200-მეტრიან დისტანციაზე, ამის გამო აგვისტოში სევილიაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა ვერ მოახერხა. არადა, მას სურდა, ესპანური ტურნირი 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის უკეთ მოსამზადებლად გამოეყენებინა. მძლეოსნობის ვეტერანს გადაწყვეტილი ჰქონდა, ავსტრალიაში დაესრულებინა თავისი სპორტული კარიერა და იქ ოქროს მედლის მოსაგებად იყო განწყობილი. მის კოლექციას ხომ მხოლოდ ოლიმპიური ოქრო აკლია. ოთხ ოლიმპიადაგამოვლილ ოტის ჩემპიონობამდე ყოველთვის მცირედი აკლდებოდა. მაგალითად, 1996 წელს ატლანტაში 100 და 200 მეტრზე ვერცხლის მედლებს დასჯერდა — სპრინტში ამერიკელ გეილ დივერსთან, 200 მეტრზე კი ფრანგ მარი-ჟო პერექთან დამარცხდა. ოტის პირველი ოლიმპიური წარმატებისთვის (მესამე ადგილი 200 მეტრზე) 1980 წელს მიუღწევია მოსკოვის ოლიმპიადაზე.

ახლა კი მისი ოცნება, გახდეს ოლიმპიური ჩემპიონი, შესაძლოა, საპნის ბუშტივით გასკდეს, რადგან იამაიკელ მძლეოსანს დიდი საქმის გარჩევა ელოდება ჯერ თავის ქვეყნის, შემდეგ კი საერთაშორისო ფედერაციასთან და თუ მისი გამართლება გაისად სექტემბრამდე არ მოხერხდა, სიდნეის ოლიმპიური თამაშები უმისოდ ჩაივლის.

# კუბა სოტომაიორს არავის დააჩაგვრინებს

კუბის მძლეოსნობის ფედერაციამ ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი იააფ-ის მოთხოვნას არად ჩააგდებს და ხავიერ სოტომაიორს ტურნირებში ასპარეზობას არ აუკრძალავს. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სიმაღლეზე მხტომელის დისკვალიფიკაცია იააფ-მა მას შემდეგ მოითხოვა, რაც სოტომაიორმა კანადაში გამართულ პან-ამერიკულ თამაშებზე დოპინგ-კონტროლი ჩააფლავა. მაშინ მას ორგანიზმში კოკაინის კვალი აღმოუჩინეს და უკვე მოგებული ოქროს მედალიც ჩამოართვეს.



ხავიერ სოტომაიორი

„ჩვენი ფედერაცია ერთხმად თვლის, რომ ხავიერ სოტომაიორი სრულიად უდანაშაულოა. მის სპორტისგან მოკვეთას არ დავუშვებთ, რადგან ჩვენი აზრით, მისი საწინააღმდეგო არგუმენტები არ არსებობს“ — განაცხადეს კუბის მძლეოსნობის ჩინოსნებმა თავიანთი პრეზიდენტის ალბერტო ხუანტორენას მეშვეობით.

კუბის ფედერაციას საერთაშორისოში მთელი დოსიე გაუგზავნია, რომელიც სოტომაიორის უბრალოებას ამტკიცებს. „იააფ-მა გადაწყვეტილების მიღებისას იჩქარა. ჩვენ კი საქმე კარგად გამოვიკვლიეთ და იურიდიული თვალსაზრისით შეუვალი მტკიცებებიც მოვიძიეთ ხავიერის უდანაშაულობისა. გვთხოვენ, რომ მას ორწლიანი დისკვალიფიკაცია მივცეთ, მაგრამ ტყუილად ხომ არ დავსჯით?“ — გაკვირვებულმა იკითხა ალბერტო ხუანტორენამ.

ამ განცხადებამდე რამდენიმე ხნით ადრე 31 წლის სპორტსმენს, რომელსაც მსოფლიო რეკორდი (2,45 მ) ეკუთვნის, მხარი კუბის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმაც დაუჭირა. „სოტომაიორი ისეთი პიროვნებაა, დარწმუნებული ვარ, ამას არ ჩაიდენდა“ — განუცხადა ჟურნალისტებს კეოკ-ის პრეზიდენტმა ხოსე რამონ ფერნანდესმა.

# ძარს გატანებული 100 ათასი

მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციები სულ უფრო და უფრო ეურჩებიან იააფ-ს მათი რომელიმე სპორტსმენის დოპინგზე გამოჭერის შემთხვევაში. ეს კი, რაღა თქმა უნდა, სასტიკად არ მოსწონს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას და კონტრზომების მიღებასაც ეცდება. სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ იააფ-ის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, რომელმაც ანონიმურობის შენახვა ისურვა, ფრანს-პრესის სააგენტოსთან საუბარში განაცხადა, რომ მათ უკვე ყელში ამოუვიდათ ეროვნული ფედერაციების უპასუხისმგებლობა დოპინგის საქმეში — სპორტსმენებთან საქმეების სასამართლოში რჩევას ურჩევნიათ მათ დისკვალიფიკაციები არ მისცენ.

„უამრავი მაგალითი არსებობს იმისა, რომ ეროვნული ფედერაციები დოპინგის გამოყენების აღმოჩენის შემთხვევაში ამჯობინებენ, ამ საქმისგან ხელი დაიბანონ — ისინი მძლეოსანს უდანაშაულოდ ცნობენ და საბოლოო გადაწყვეტილების პასუხისმგებლობას ჩვენ გადმოგვილოცავენ ხოლმე. ასე მუშაობა არ შეიძლება. მათ გამო ყოველწლიურად დაახლოებით 100 000 აშშ დოლარს ვხარჯავთ. ამ თანხის გამოყენება კი უკეთესი მიზნებისთვისაც შეიძლებოდა“ — თქვა უცნობმა იააფელმა.

ამ სიტყვების დასტურად უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ჯერ იყო და ტესტოსტერონის გამოყენებაზე ჩავარდნილი ამერიკელი დენის მიჩელი გაამართლეს თავის სამშობლოში, მერე კი ბრიტანელი დუგ უოლკერიც.

ახლა კიდევ ორი ახალი მაგალითიც შეიძლება დავასახელოთ. დორტმუნდის ტურნირზე დოპინგ-კონტროლის ჩამფლავებელი ბრიტანელი ლინფორდ კრისტი, რომლის უდანაშაულობის მტკიცებაც მისი ანალიზის გაცნობის შემდეგ უბრალოდ სასაცილოა. თუმცა ბრიტანეთის მძლეოსნობის ფედერაციას, თავისი მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, საქმე სასაცილოდ სულ არ ეჩვენებოდა. გასულ წელს მან ფინანსური კრახი განიცადა, როცა დოპინგის მიღებაში არასწორად მხილებულმა 800 მეტრზე მორბენალმა ქალმა დაიან მოდალმა სასამართლოს გზით ნახევარი მილიონი გირვანქა გადაახდევინა. ასე რომ, ბრიტანელებმა ფულის დაკარგვის შიშით კრისტი გაამართლეს. მეორე მაგალითი კი კუბელი ხავიერ სოტომაიორია.

იააფ-ი კი ორივე ამ ათლეტის დასჯას ითხოვდა და ახლა ამის გაკეთება, ალბათ, თვითონვე მოუწევს. „ჯერჯერობით კრისტისა და სოტომაიორის საქმეების გადაწყვეტა არ შეგვიძლია. ეს კიდევ ბევრ დროს წაიღებს“ — განაცხადა იააფ-ის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ჯორჯიო რაინერიმ.

ძნელი სათქმელია, რით დამთავრდება ეს საქმე, ისე კი ერთი რამ ნათელია — სპორტში დოპინგის გამოყენებას ყველა უნდა ებრძოლოს, თორემ მარტო ამ სენის დამარცხებას ვერავინ შეძლებს.

**გაიოზ თალაკვაძე**

# კულჰარდი დაიჩაგრება

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

როგორც ეტყობა, ფორმულა 1-ის შოტლანდიელი მრბოლის დევიდ კულჰარდის გაჩემპიონების ოცნებას ასრულება არც წლეულს უწერია — მას დარჩენილ სამ რბოლაში თანაგუნდელ ჰაკინენის დახმარება მოუწევს.



დევიდ კულჰარდს ხასიათი წაუხდა

„მაკლარენის“ ბოსი რონ დენისი აქამდე წინააღმდეგი იყო, მის პილოტებს არათანაბარი უფლებები ჰქონოდათ, მაგრამ ბოლო ეტაპზე ჰაკინენის უხეშმა შეცდომამ ჩემპიონატში მდგომარეობა მეტად გაამწვავა: ახლა ფინელსაც და მის მთავარ კონკურენტ, ფერარელ ედი ირვინსაც 60-60 ქულა აქვთ, „ჯორდანში“ მოასპარეზე ჰაინც-ჰარალდ ფრენცენს — 50, კულჰარდს კი — 48.

ჰაკინენი იტალიაში, მონცას ტრასაზე დამაჯერებლად ლიდერობდა, როდესაც მეორე სიჩქარის ნაცვლად პირველი გამოიყენა, მანქანა ველარ დაიმორჩილა და ტრასიდან გავარდა. თავის მხრივ კულჰარდმა თანაგუნდელის შეცდომით ვერ ისარგებლა და მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავიდა.

ასე რომ, „მაკლარენი“ არჩევნის წინაშე დადგა: თუ კულჰარდს ისევ დართავს ნებას, ჰაკინენს რბოლისას გაასწროს და ჰაერივით საჭირო ქულები დააკლოს, შეიძლება ორი კურდღლის მადევარივით ერთიც არ შერჩეს და ამ გაწამაწიაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც ირლანდიელ ირვინს დარჩეს.

„ჩვენ პილოტებს ყოველთვის ერთნაირად ვეპყრობოდით, რათა ორივეს ჩემპიონობის თანაბარი შანსი ჰქონოდა. მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა — ვცდილობთ, მეტოქე გუნდის კონკურენცია დავძლიოთ, ასეთ შემთხვევაში კი ლოგიკურია, იმ მრბოლს (ე.ი. ჰაკინენს) დაეხმაროთ, რომელსაც გამარჯვების მეტი მათემატიკური შანსი აქვს“ — განაცხადა დენისმა გაზეთ „გარდიანისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

„მაკლარენის“ ტაქტიკა აქამდე მართლაც განსხვავდებოდა „ფერარისაგან“, სადაც პირველი და მეორე პილოტების — ჯერ მიხაელ შუმახერისა და ირვინის, „შუმის“ დაშავების შემდეგ კი ირვინისა და მიკა სალოს უფლებები წინასწარ გახლავთ განსაზღვრული და ამ უკანასკნელთ უბრალო დამხმარის როლს ანიჭებს.

თუმც კულჰარდს ფინელი თანაგუნდელისთვის გზის დათმობა პირველად როდი მოუწევს. 1997 წელს ევროპის დიდ პრიზზე, 1998-ის დასაწყისში კი ავსტრალიაში შოტლანდიელმა ჰაკინენი ფაქტობრივად მოგებულ ეტაპებზე გაატარა წინ.

ძნელი სათქმელია, ამბიციური კულჰარდი გუნდის ამ ბრძანებას როგორ შეურიგდება, მით უმეტეს, რომ სეზონის დასაწყისში თავად ელოდა ჰაკინენისგან დახმარებას — მას უკვე საკმარისად ვემსახურეო.

არადა, ფინელი მსოფლიოს ჩემპიონის უკვე მეორე უხეში შეცდომა და სეზონის დასაწყისში კულჰარდის ბოლიდის მწყობრიდან ხშირი გამოსვლა რომ არა, „მაკლარენს“ კონსტრუქტორთა პირველობა კარგა ხნის მოგებული უნდა ჰქონდეს და „ფერარისაც“ მხოლოდ ექვსი ქულით ნამდვილად არ უნდა უსწრებდეს.

სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში „ჯორდანის“ თავკაც ედი ჯორდანს, როცა მონცაზე განაცხადა, დენისის ადგილზე თავს საზიზღრად ვიგრძნობდიო.

ბაჩა არჯევანიძე



# სიე ჟუნმა ჟუჟას მისწერა, ვითამაშოთო

სექტემბერში კიშინიოვს ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის ახალი ციკლის ფინალისთვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ ჭადრაკის მოყვარულები მასობრივი ინფომაციის საშუალებებში დღემდე ამაოდ ეძებენ ცნობებს მოლდოვეთიდან. ჩემპიონატი გაურკვეველი ვადით გადაიდო და მისი გამართვის თარიღთან დაკავშირებით ფიდედან ჯერჯერობით ჩამიჩუმიც არ ისმის. არც არის გასაკვირი: ჯერ ამჟამინდელი ჩემპიონის ვინაობა არ დადგენილა ხეირიანად და რა დროს . ხვალინდელია. თუმცა ფიდემ ოფიციალურ ჩემიონად ჩინელი სიე ჟუნი აღიარა, რომელმაც, ალბათ გახსოვთ, რუსი ალისა გალიამოვა დაამარცხა — 8,5:6,5, მაგრამ ჩინელს დე ფაქტო ჩემპიონთან, უნგრელ ჟუჟა პოლგართან რომ არ უთამაშია? ფიდესგან პოლგარის გარიყვის მიზეზების დასახელება უწინდებურად უნგრელის აღშფოთებას იწვევს და ისიც საერთაშორისო სამართალდამცავ ინსტანციებში ეძებს სამართალს. ამასობაში თავისი პოზიცია დააფიქსირა სიე ჟუნმაც, რომელმაც პოლგარს ღია წერილი მისწერა და ჩინური ზრდილობის დაცვით მიუთითა უნგრელს მისგან ეთიკის ნორმების რიგ დარღვევებზე, რაც ამ უკანასკნელს სიე ჟუნთან მიმართებაში დაუშვია. რაც მთავარია, სიე ჟუნმა პოლგარს მატჩზე თანხმობა განუცხადა და დაამატა, რომ გამართვის ადგილთან და საპრიზო ფონდთან დაკავშირებით პრეტენზიები არ ექნება. ერთადერთი, რაც პოლგარს ჩინელის ნათქვამში აშკარად არ მოეწონება, გახლავთ ის, რომ სავარაუდო მატჩში სიე ჟუნი ჩემპიონის რანგში თამაშს აპირებს, ხოლო უნგრელს პრეტენდენტად აღიქვამს. პოლგარის რეაქცია ღია წერილზე ჯერჯერობით უცნობია.

ახლა მამაკაცთა ჭადრაკზე გადავერთოთ, სადაც სიტუაცია უფრო ჩახლართულია ერთდროულად სამი ჩემპიონის არსებობის გამო. ლას ვეგასის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი ის მოხდა, რომ კასპაროვ-ანანდის ოქტომბერ-ნოემბერში დაგეგმილი სუპერმატჩი მომავალი წლისთვის გადაიდო. განცხადება ამის შესახებ ანანდის მენეჯერმა, კურუვილ აბრაამმა ინდოეთის პრესისთვის გამოქვეყნებულ პრესრელიზში გააკეთა. აი, მიზეზიც: მატჩის ოფიციალურმა სპონსორმა, სუპერკომპიუტერების მწარმოებელმა ფირმა „სილიკონმა“ ვერ მოიწონა კასპაროვისგან თავის უპირველეს კონკურენტთან, „მაიკროსოფტთან“ კავშირის დამყარება (კასპაროვ-მსოფლიოს გახმაურებულ ინტერნეტ-პარტიას ვგულისხმობთ) და მატჩის დაფინანსებაზე უარი თქვა. ახალი სპონსორის მოძებნას დრო სჭირდება და სანამ პრომოუტერი სერჟ გრიმო ისეთ ვინმეს იპოვიდეს, ვისაც „სილიკონის“ ნაცვლად 3 მილიონ დოლარს წაღლიტავს, ეს წელიც გავა. მანამდე კი კასპაროვის მომხრეები თავიანთი ბელადის მხარდამხარ ფიდესთან ურთიერთობებს არკვევენ და უნდა ვაღიაროთ, რომ ინტერნეტის მასშტაბებით მაინც უდავო უპირატესობას ფლობენ, თუმცა ამაზე სხვა დროს...

დავით გულუა



# ახალი სკანდალი: ატლანტა 96 სოკ-ში სადისტებიც ჰყოლიათ

2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქ სოლტ ლეიკ სიტისთან დაკავშირებული კორუფციული სკანდალი ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ახალი თავსატეხი გაუჩნდა. აშშ-ის ერთ-ერთმა გაზეთმა, კერძოდ კი „ატლანტა ჯორნელ-კონსთითიუშენმა“ გამოაქვეყნა წერილი, რომლის მიხედვითაც 1996 წლის ოლიმპიური თამაშების ხელში ჩასაგდებად ჯორჯიის დედაქალაქი სოკ-ის წევრებს ქრთამავდა.

ატლანტას ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის არქივში ჟურნალისტებს უამრავი „საიდუმლო დოსიესთვის“ მიუგნიათ, რომლებიც ამ კომიტეტის ხელმძღვანელების შავბნელ ქმედებებს ააშკარავებს. მათ სოკ-ის მრავალი წევრისთვის „გაუკეთებიათ სიკეთე“, რათა მათ კენჭისყრაზე ატლანტის კანდიდატურისთვის დაეჭირათ მხარი. ჯორჯიელები ძირითადად ლოზანელი ჩინოვნიკების შვილების მეშვეობით მოქმედებდნენ, სტიპენდიებს, სამუშაოებს, საჩუქრებს სთავაზობდნენ იმ იმედით, რომ მათ მშობლებს თავი დავალებულად ეგრძნოთ და სამაგიეროც გადაეხადათ.

ატლანტელი ჟურნალისტების მიერ აღმოჩენილ დოსიეებში სოკ-ის თითქმის ყველა წევრის გემოვნებასა და ჩვევებზე იყო ინფორმაცია. მაგალითად, ერთ-ერთ მათგანს საჩუქრები და გოგოები ჰყვარებია, მეორის ყიდვა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა, მესამეს სადისტური გადახრები ჰქონია...

სოკ-ის წევრ რემ რუჰეს ვაჟიშვილი 1990 წელს ჯორჯიის უნივერსიტეტში ჩარიცხულა. საორგანიზაციო კომიტეტის დახმარებით კი მშვენიერი ბინა ჩალის ფასად უქირავებია. იმავე წელს აწ უკვე სოკ-იდან გაძევებული ლამინ კეიტას თავისი ქალიშვილისთვის სტიპენდია მოუთხოვია, ისევე, როგორც 1996 წლის დასაწყისში უნგრელ პალ შმიტს. ეს ის შმიტია, წლეულს თბილისში ყოფნისას ბატონ ხუან ანტონიო სამარანჩს რომ ახლდა და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში დიდი გავლენითაც სარგებლობს.

რუს ვიტალი სმირნოვს კი 8500 აშშ დოლარი „ქეშით“ აუღია და თან მისი ვაჟისთვის ატლანტელებს კოლორადოს ერთ-ერთ სამთო კურორტზე სამუშაოც გამოუძებნიათ. ჯორჯიელებს სამარანჩის მოთაფვლაც მოუნდომებიათ და მისი მეუღლის მაღაზიებში თანხლება და საჩუქრების ყიდვა დაუგეგმავთ, მაგრამ ქალბატონი სამარანჩი ანკესზე არ წამოეგო და თავისი ქმრის რეპუტაცია არ შელახა.

ამ საქმით უკვე აშშ-ის კონგრესმენი ფრედ აპტონიც დაინტერესდა. ბატონი აპტონი სოლტ ლეიკ სიტის სკანდალის გამოძიებით იყო დაკავებული და ახლა სამუშაო გვარიანად მიემატება. „ყველაფერი საუკეთესოდ იყო გათვლილი სოკ-ის წევრთა ხმების საყიდლად. ეს ახალი სკანდალია“ — განაცხადა ფრედ აპტონმა ხუთშაბათს.

ისე, დოსიეთა ასლები აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტიდან ხუან ანტონიო სამარანჩსაც გამოუთხოვია და მის შესწავლას ისიც ეშურება. საკითხავი კი ერთიღაა, კიდევ რამდენ ხანს გაძლებს ბოლო დროს სკანდალებით გაწამებული კატალონიელი სოკ-ის სათავეში?

გაიოზ თალაქვაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტაისონი და ნორისი ჯერ სიტყვით შეიბნენ

ლას ვეგასის „ემჯიემ გრანდ ჰოტელში“ პირველი პრესკონფერენცია გაუმართავთ რინგზე კიდევ ერთხელ დაბრუნებულ მაიკ ტაისონს და მის მორიგ მოწინააღმდეგეს, ორლინ ნორისს. ბრძოლა აქავე გაიმართება 23 ნოემბერს. ტაისონს ცხრა თვეა, არ უჩხუბია, რახანღა მერილენდის შტატის ციხეში იყო ჩაყუდებული. ახლა კი გამოუჩხრიკავთ რაღაც შეთითხნილი ტიტული საბჭოს (ვბკ) საერთაშორისო ჩემპიონისა და იმისთვის უნდა ერკინოს ნორისს.

# დე ლა ჰოია ტრინიდადის წინააღმდეგ

ამაღამ, ლას ვეგასში დიდი ბრძოლაა. ველთერის 147 გირვანქა) წონის ორი ყველაზე განთქმული ჩემპიონი, ოსკარ დე ლა ჰოია და ფელიქს ტრინიდადი ლოს ანჯელესის გარეუბანში აღზრდილი დე ლა ჰოია საბჭოს (ვბკ) ქამარსა ფლობს, პუერტორიკოელი ტრინიდადი ფედერაციისას (იბფ). ორივე დაუმარცხებელია — დე ლა ჰოიას 31 ბრძოლა მოუგია, ტრინიდადს 35.

ტრინიდადი სახელიანი მოკრივეა, მაგრამ პოპულარობით დე ლა ჰოიასთან ვერ მივა. ოსკარს ამერიკაში ოქროს ბიჭუნას ეძახიან. პლაკატებზე ხატავენ და მისი ათასვატიანი ჰოლივუდური ღიმილი მთელი სამყაროს კეთილგანწყობას იმკის. თანაც, დე ლა ჰოია, ოლიმპიური ჩემპიონიცაა და მიყოლებით ოთხ წონაშიც ტიტული მოუგია გაპროფესიონალების შემდეგ. თანაც, შარშან დე ლა ჰოიამ მოახერხა და დაამარცხა მთავარი მოწინააღმდეგე, განელი აიკ კორტი, რომელმაც ჩემპიონის ტიტულზეც კი თქვა უარი, ოღონდ კი დე ლა ჰოიას შეხვედროდა.

„მე თუ მკითხავთ, კორტი უფრო ძლიერი მოკრივეა, ვიდრე ტრინიდადი“ ამბობს დე ლა ჰოია „რა თქმა უნდა, გამეხარდება, პირველ რაუნდშივე რომ წავაქციო, მაგრამ ასე არ იქნება. სერიოზული ბრძოლა მოგველის. იმედია, გავიმარჯვებ და ახლა მაინც შემაქებს მამაჩემი“.

საქმეც ის ყოფილა, რომ ოსკარის მამა, ჟოელი მკაცრი ვინმე ყოფილა და ჯერაც არ გაუმეტებია საქებარი სიტყვები სახელოვანი შვილისთვის.

„ნაღდი მექსიკელი მამაა“, იცინის ოსკარი „ჩვენებურად შვილს არ უნდა ეფერო. ისე, იცის, რომ კარგი მოკრივე ვარ“.

ჟოელ დე ლა ჰოიასგან განსხვავებით, ფელიქს ტრინიდად უფროსი, შვილის მწვრთნელიცაა და მენეჯერიც. მთელს მის საქმეებს წარმართავს და პუერტო რიკოზე გვარიანი ავტორიტეტი აქვს. საერთოდ, პუერტორიკოელებს ძალიან უყვართ მამა-შვილი. დღევანდელი ბრძოლისადმი ინტერესი იმდენად დიდია, რომ სან ხუანის ციხეში 40 ათასი დოლარი შეუკრებიათ. რათა საკაბელო რეპორტაჟის ფული გადაეხადათ. ორთაბრძოლას „ეიჩბიოუს“ პიროვნული არხი გადმოსცემს. ყოველმა მაყურებელმა 50 დოლარი უნდა გადაიხადოს. რათა თავის სახლის ეკრანზე რეპორტაჟი იხილოს.

ორივე მოკრივე ოცდაექვსი წლისაა და ორივესთვის გადამწყვეტი წუთები დგება.

ალბერტ ხაჩატურიშვილი



წლევანდელი 22 მაისი, ლას ვეგასი. ოსკარ დე ლა ჰოიამ (მარცხნივ) ობა კარი გალახა



# ჩინელები იწმინდებიან

ჩინეთის ცურვის ასოციაციის გადაწყვეტილებით, ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში გამოსვლა სამ მოცურავეს აეკრძალა.

პეკინის ახალგაზრდული გაზეთის ცნობით, დასჯილთა შორისაა ჩინელთა ერთ-ერთი საუკეთესო მოცურავე ქალი, ორას მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის ჩემპიონი ტან ცაინი. დანარჩენი ორი კი კაცია, ლიუ განგი და ჟია შიჩაო.

სპორტსმენებისთვის ასპარეზობა მას შემდეგ აუკრძალავთ, რაც მათ სისხლში წითელი ბურთულების გაზრდილი რაოდენობა აღმოუჩენიათ. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოცურავენი მხოლოდ ამ შეჯიბრებიდან მოკვეთეს და რაიმე ხანგრძლივი ვადით არ დაუსჯიათ.

ჩინეთმა კი მას შემდეგ შემოიღო საშინაო დოპინგ-კონტროლი, რაც მისი მოცურავენი არაერთგზის დაისაჯნენ საერთაშორისო ფედერაციის მიერ აკრძალულ პრეპარატთა გამოყენებისთვის.

# პირველად იყო ჰექსტოლი

დაასრულა კარიერა ცნობილმა ფილადელფიელმა მეკარემ რონ ჰექსტოლმა. ეს ფაქტი მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ 35 წლის ჰოკეისტს შეეძლო, კიდევ ერთი-ორი სეზონი ეთამაშა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ფილადელფიამ ძირითად გოლკიპერად ჯონ ვანბისბრუკი შეიძინა, რონი დროდადრო თუ გამოჩნდებოდა ყინულზე, ხოლო ზაფხულში, როცა თავისუფალი აგენტების ბაზარზე წარადგინეს, ლიგის არც ერთმა კლუბმა არ ისურვა მისი შეძენა.

ასე წავიდა ნჰლ-დან კაცი, რომლის სახელიც სამუდამოდ დამკვიდრდა ჰოკეის ისტორიაში. საამისოდ 1987 წლის თასის ფინალიც იკმარებდა. მაშინ დიად ედმონტონთან დამარცხებული ფილადელფიის ახალბედა მეკარემ ისეთი ფურორი მოახდინა, პლეი ოფის უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს. ეს კი ლიგის ისტორიაში ერთადერთი შემთხვევაა.

ჰექსტოლმა ჩემპიონატებში გატანილი 2 შაიბითაც ისახელა თავი, რაც აქამდე არც ერთ სხვა გოლკიპერს არ გაუკეთებია. და მაინც, რონის მთავარი დამსახურება ის გახლავთ, რომ მან პირველმა გაამრავალფეროვნა მეკარის ფუნქციები და კარიდან ხშირი გამოსვლა ტრადიციად აქცია. ეს ახლაა, რომ თითქმის ყველა ნჰლ-ელი გოლკიპერი კარს უკან ან კუთხეებში შაიბის მოხელთების შემდეგ გონივრული პასით ხშირად შეტევასაც იწყებს ხოლმე, მაგრამ ათიოდე წლის წინ ამას რონივით შეუპოვარი ახალგაზრდა თუ გააკეთებდა.

ჰექსტოლის გარდა ჰოკეიდან წასვლის შესახებ განაცხადეს დალასელმა მცველმა კრეიგ ლუდვიგმა და ბოსტონელმა კენ ბაუმგარტნერმა. ლუდვიგი იმითაა ცნობილი, რომ თავისი ორი თასი 13-წლიანი შუალედით (1986 და 1999) მოიპოვა, ხოლო ბაუმგარტნერი, მეტსახელად „ბომბერი“, ჰოკეისტთა პროფკავშირის ხელმძღვანელი იყო და ახლაც ამ ორგანიზაციაში (NHCPA) იმუშავებს.

ცალკე უნდა ითქვას გი კარბონოზე. ლიგის უხუცესი მოთამაშე (იგი 39 წლისაა) კიდევ ერთი წლით დაიცავს დალასის ღირსებას.



რონ ჰექსტოლი: დიდი რეფორმატორი წავიდა

# ორი კაპიტანი

ნჰლ-ის ორ კლუბში — ვაშინგტონსა და ჩიკაგოში ახალი კაპიტნები დაინიშნენ. „დედლაინზე“ დეილ ჰანტერის გაყიდვის შემდეგ დედაქალაქელთა კლუბში ეს პოსტი თავისუფალი იყო და იგი ცნობილმა გამთამაშებელმა ადამ ოუტსმა დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ჩინებული პლეიმეიკერული თვისებების მიუხედავად (თავის დროზე სწორედ ოუტსის დახმარებით გაითქვეს სახელი საქვეყნოდ ცნობილმა გოლეადორებმა — ბრეტ ჰალმა და კემ ნილიმ) ოუტსი ელიტარული მოთამაშეების რიცხვს არასდროს ეკუთვნოდა. იქნებ იმიტომაც, რომ იგი ერთობ მოკრძალებული გახლდათ — არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი, განსაკუთრებით პრესის წარმომადგენელთა წინაშე.

ოუტსი ხუთჯერ იყო „ლედი ბინგტროფის“ მაძიებელთა შორის, მაგრამ ერთხელაც ვერ დაეუფლა ამ პრიზს. როგორც ხედავთ, ვაშინგტონში, სადაც ოუტსმა სულ 3 წელი გაატარა, საკადრისი პატივი მიაგეს — კაპიტნობა მიანდეს.

კიდევ ერთ ცნობილ პლეიმეიკერ დუგ გილმორს კი მეორედ გამოუცხადეს დიდი ნდობა — 1994-97 წლებში ფორვარდი ტორონტოს კაპიტანი იყო, ამჯერად კი ჩიკაგოში გაუძღვება პარტნიორებს. შარშანდელი „დედლაინის“ შემდეგ კაპიტანი „ქორებსაც“ არ ჰყავდათ, ვინაიდან ამ მოვალეობის შემსრულებელი კრის ჩელიოსი დეტროიტში გადავიდა.

# არ მინდა, ნუ მინდა!

როგორც ჩანს, ფინიქსს ტყუილად არ შეუძენია გამოცდილი მეკარე ბობ ესენცა. მას შემდეგ, რაც „კოიოტების“ ძირითადი გოლკიპერი ნიკოლაი ხაბიბულინი საწვრთნელ ბანაკში არ გამოცხადდა, კლუბის მენეჯერმა ბობი სმიტმა განაცხადა, მას ესენცათი ან მიხაილ შტალენკოვით შევცვლითო. შარშან ორივე ჰოკეისტი ედმონტონში ასპარეზობდა.

ხაბიბულინის აგენტის, ჯეი გროსმანის თქმით, მეკარე დაახლოებით ისეთ თანხას ითხოვს, ლიგის ხუთი უძვირფასესი გოლკიპერი რომ იღებს. დღესდღეობით ამ სიაში მეხუთე ადგილზე მყოფი ანაჰაიმელი გი ებერი 4,5 მილიონს იღებს, ხოლო როგორც გროსმანი აცხადებს, მისი კლიენტი 4 მილიონზეც ყაბულსაა (შარშან 1,25 მილიონს აძლევდნენ).

კლუბის ხელმძღვანელებმა კი სხვაგვარად განსაჯეს. მათ აღნიშნეს, რომ ხაბიბულინს ჯერ არც ინდივიდუალური პრიზი მოუგია, არც თასის გათამაშებაში მიუღწევია დიდი წარმატებებისთვის (ბოლო ათი წელია, ფინიქსი პირველ რაუნდს ვერ გასცდენია) და 4 მილიონზე ლაპარაკი ზედმეტია. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ბოლო სამ სეზონში ხაბიბულინი პრაქტიკულად შეუცვლელია (მან „კოიოტების“ 246 მატჩიდან 205 ჩაატარა), ასე რომ, იგი „კოიოტებს“ ძალიან დააკლდებათ.

ასეთივე სიტუაციაშია ბოსტონის მეკარე ბაირონ დაფო. იგიც 4 მილიონს ითხოვს. დაფომ წინა სეზონში ყველა გაალა 10 შათაუტით და საშუალოდ 1,97 გაშვებული გოლით, თუმცა სიძუნწით ცნობილ ბოსტონის გენერალურ მენეჯერ ჰარი სინდენს მიაჩნია, რომ ერთ ჩემპიონატში იღბლიანი ასპარეზობა არაფერს ნიშნავს, მით უმეტეს, რომ ამით ბოსტონს ბევრი არაფერი მოუგია. უნდა ითქვას, რომ დაფოს მხარს უჭერს სახელოვანი თანაკლუბელი რეი ბურკი, რომელმაც სამომავლო კონტრაქტზე მოლაპარაკებაც კი გადადო მანამ, სანამ კლუბი ბაირონს შეუთანხმდება. ბურკის თქმით, უდაფოოდ ბოსტონს ძალიან გაუჭირდა და აღარც თავად ინდომებს დასუსტებულ გუნდში თამაშს.

**სამველ ლარიბიანი**





AFP არქივიდან

იგორ გონსალეს გალდეანო




# ამბავი იგორის ვუელტაზე ლაშქრობისა

„ტელეკომის“ ლიდერმა საბოლოო გამარჯვებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა: „ვუელტას“ მეთორმეტე ეტაპის შემდეგ გერმანელმა ულრიხმა საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე გადაინაცვლა და ოქროსფერი მაისურაც წაართვა ესპანელ აბრაამ ოლანოს (ონსე). ეტაპი კი მეორე ესპანელმა იგორ გონსალეს გალდეანომ მოიგო, რომელიც ულრიხთან მხოლოდ 36 წამს აგებს, მაგრამ საბოლოოდ მის ჯობნას, ალბათ, მაინც ვერ მოახერხებს.

ოლანო, რომელმაც გუშინ სამი პირველი კატეგორიის სიძნელის მთა დიდი გაჭირვებით გადაიარა, მეცხრე ადგილამდე ჩაქვეითდა და ახალ ლიდერთან 5 წუთსა და 43 წამს აგებს. ამ ჩამორჩენის დასაძლევად იგი 25 სექტემბერს, ბოლოსწინა ეტაპზე, ინდივიდუალურ რბოლაში ძალიან ძლიერად უნდა გამოვიდეს. თუმცა ულრიხიც არაა ჯაბანი ამნაირ რბოლებში — სალამანკაში მან ოლანოსთან მხოლოდ 57 წამი დათმო, ასე რომ, ძნელი წარმოსადგენია, ოლანომ შარშან მოპოვებული „ვუელტას“ გამარჯვებულის ტიტული შეინარჩუნოს. 1997 წლის „ტურ დე ფრანსის“ მომგები ულრიხი კი მეტისმეტი სიფრთხილისა თუ თავმდაბლობის გამო აცხადებს, რომ საბოლოო წარმატებაზე არც ფიქრობს, მაგრამ მას მეტად გულუბრყვილო ადამიანი თუ დაუჯერებს.

ტელეკომელს ოქროსფერი მაისურის დასაუფლებლად ბევრი ჯაფა ნამდვილად არ დასდგომია. მას არც ინიციატივის გამოჩენა დასჭირვებია ოლანოს ჩამოსატოვებლად, რადგან ეს უკანასკნელი პელოტონის რიტმს ვერ აჰყვა და პირველივე მთაზე ჩამორჩა.

დისტანციის ნახევრის გავლის შემდეგ, ლა რაბასას უღელტეხილზე ოლანო უკვე წუთნახევარს აგებდა თავის მთავარ კონკურენტებთან ულრიხთან და ტონკოვთან, რომლებიც ერთმანეთის მეურვეობით კმაყოფილდებოდნენ და „ბანესტოს“ წევრების შეთავაზებული სიჩქარით მიიწევდნენ წინ.

მწვერვალის გავლის შემდეგ ოლანომ, რომელსაც ჯერ ინიგო კუერტამ გაუწოდა დახმარების ხელი, მერე კი მისმა მეორე გრეგარმა მიკელ სარაბეიტიამ, თავდაღმართზე მეტოქეებთან სხვაობა 43 წამამდე შეამცირა. თუმცა ამას, ეტყობა, ბევრი ძალ-ღონე შეალია, რადგან შემდეგ მონტოპის მთაზე ახალ ოქროსფერმაისურიანთან სამ წუთზე მეტი წააგო.

ყველაზე მეტად კი „ვიტალიციოს“ წევრები აქტიურობდნენ. ვიკტორ პენიას დახმარებით დღის მთავარი შეტევა იგორ გონსალეს გალდეანომ განახორციელა მონტოპის მწვერვალამდე რამდენიმე კილომეტრით ადრე.

ეტაპის ბოლო უმაღლესი კატეგორიის სიძნელის მთის ორდინო-არკალისის დაძლევისას, იგორ გალდეანომ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და მდევრებს, ხოსე მარია ხიმენესს, რობერტო ერასსა და ლეონარდო პიეპოლის დაწევის საშუალება არ მისცა.

„როგორ ხარ იგორ? თუ კარგად, თავი დამიქნიე! მიდი, იგორ, ცოტაც გაიჭირვე. სიჩქარე შეინარჩუნე, არ დანებდე!“ — შეუჩერებლად ამხნევებდა ეტაპის ლიდერს მისი გუნდის სპორტული დირექტორი ხავიერ მინგესიც. იგორმაც ბოლომდე გაძლო და ფინიშის ხაზი ხიმენესზე, ერასსა და პიეპოლიზე 40 წამით ადრე გადაკვეთა. ულრიხსა და ტონკოვს კი წუთი მოუგო.

პროლოგის მომგები იგორ გონსალეს გალდეანო ამ ეტაპზე გამარჯვების შემდეგ საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე გადავიდა, მაგრამ საბოლოოდ ულრიხის ჯობნას, ალბათ, მაინც ვერ მოახერხებს.

დღეს ბოლო პირინეული ეტაპია, რომლის ფინიშიც, გუშინდელის მსგავსად, უმაღლესი კატეგორიის სიძნელის მთაზეა მოწყობილი. ასე რომ, ოლანოს ისევ გაუჭირდება. მით უარესი მისთვის.

**გაიოზ თალაკვაძე**

**მეთორმეტე ეტაპი, სორტი — ორდინო — არკალისი, 147,4 კმ**

1. იგორ გონსალეს გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — 4 სთ 18 წთ 41 წმ
2. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — +40 წმ
3. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი, ბანესტო) — +41 წმ
4. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, ბანესტო) — +41 წმ
5. ხოსე ლუის რუბიერა (ესპანეთი, კელმე) — +1 წთ

**საერთო ჩათვლა**

1. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — 52 სთ 47 წთ 06 წმ
2. იგორ გონსალეს გალდეანო — +36 წმ
3. პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი) — +48 წმ
4. რობერტო ერასი — +2 წთ 35 წმ
5. ხოსე მარია ხიმენესი — +3 წთ 41 წმ



AFP არქივიდან

პაველ ტონკოვი (მარცხნივ) და იან ულრიხი

# ჟალაბერი მაინც პირველია

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის მიერ გამოქვეყნებულ მსოფლიო კლასიფიკაციაში პირველ ადგილს კვლავინდებურად ფრანგი მრბოლი ლორან ჟალაბერი (ონსე) ინარჩუნებს. „ჟაჟა“, რომელსაც აგვისტოს დასაწყისში მიღებულმა ტრავმამ მთელი თვე გააცდენინა და „ვუელტაში“ წარმატებით ასპარეზობის საშუალება არ მისცა, ამერიკელ ლანს არმსტრონგს მაინც საკმაოდ უსწრებს. „ტურ დე ფრანსის“ მომგები „პოსტალის“ ლიდერის შემდეგ კლასიფიკაციაში „ვუელტას“ საერთო ჩათვლაში გუშინდელ ეტაპამდე პირველ ადგილზე მყოფი ჟალაბერის თანაგუნდელი აბრაამ ოლანოა.

წლის დასაწყისში ამ ვერსიით მსოფლიოს უძლიერესი მრბოლი მიკელე ბარტოლი, ვინც ივნისის დასაწყისში „გერმანიის ტურში“ მარჯვენა მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და მისი წლევანდელი სეზონიც მაშინ დამთავრდა, მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

შეგახსენებთ, რომ ამ კლასიფიკაციაში გათვალისწინებულია მრბოლების მიერ მოგებული ნებისმიერი ტურნირი ანდა მისი ეტაპი, ასე რომ, მასში სპრინტერებსაც შეუძლიათ მაღალი საფეხურის დაკავება და მთებში რბოლისა და მრავალდღიანების ოსტატებსაც. აქვე გაგაცნობთ კლასიფიკაციის პირველ ათეულსაც:

1. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) .................. 2814
2. ლანს არმსტრონგი (აშშ) .................. 2233
3. აბრაამ ოლანო (ესპანეთი) .................. 1930
4. მიქაელ ბოგერდი (ჰოლანდია) .................. 1785
5. მიკელე ბარტოლი (იტალია) .................. 1746
6. დავიდე რებელინი (იტალია) .................. 1737
7. ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია) .................. 1616
8. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) .................. 1423
9. ანდრეი ჩმილი (ბელგია) .................. 1407
10. იან კირსიპუუ (ესტონეთი) .................. 1398

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

V ტური

ფრაიბურგი 5:0 ჰანზა

1:0 მიულერი (12), 2:0 სელიმი (26პ), 3:0 ბეია (39), 4:0, 5:0 სელიმი (42, 77)

მიუნხენი 0:3 დორტმუნდი

0:1 მიოლერი (27), 0:2 კურცი (38 ს.კ.), 0:3 ბობიჩი (50)

### II ბუნდესლიგა

V ტური

ზტ. პაული 0:2 გლადბახი

კარლსრუე 1:1 ოფენბახი

ობერჰაუზენი 3:0 ბოხუმი

## ჰოლანდია

II ტური

კამბური 1:3 ტვენტე

## თურქეთი

IV ტური

ადანა 3:4 გალათასარაი

## ავსტრია

XII ტური

ზალცბურგი 0:1 აუსტრია

## ბელგია

VI ტური

სტანდარდი 1:3 შარლერუა

## ჩეხეთი

VII ტური

ლიბერეცი 1:0 ვიქტორია

## კასპაროვი — მსოფლიო





1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კxd7+ ლxd7 5. c4 მc6 6. მc3 მf6 7. 0-0 g6 8. d4 cxd4 9. მxd4 კg7 10. მde2 ლe6 11. მd5 ლxe4 12. მc7+ მფd7 13. მxa8 ლxc4 14. მb6+ axb6 15. მc3 ეa8 16. a4 მe4 17. მxe4 ლxe4 18. ლb3 f5 19. კg5 ლb4 20. ლf7 კe5 21. h3 ეxa4 22. ეxa4 ლxa4 23. ლxh7 კxb2 24. ლxg6 ლxe4 25. ლf7 კd4 26. ლb3 f4 27. ლf7 კe5 28. h4 b5 29. h5 ლc4 30. ლf5+ ლe6 31. ლxe6+ მფxe6 32. g3 fxg3 33. fxg3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. კe3 მფc4 41. კxd4 exd4 42. მფg2 b2 43. მფf3 მფc3 44. h7 მg6

# კოსტნერმა მოიგო



REUTERS მონაკოდან



*მონაკოში გასრულებულ მევოლფეთა ტურნირზე პროფესიონალებმა ცალკე ღვარეს ოფლი, მოყვარულებმა — ცალკე. მოყვარულთა შეჯიბრი ამერიკელმა კინოვარსკვლავმა კევინ კოსტნერმა მოიგო და მონაკოს უფლისწულ ალბერისაგან თასიც მიიღო. მერე უფლისწული, კოსტნერი, ჯეიმს ბონდის მობერებული შემსრულებელი როჯერ მური და ბრიტანელი ანტრეპრენიორი რიჩარდ ბრენსონი (მარცხნივ) ამ უკანასკნელის კუთვნილ საჰაერო ბურთში ჩასხდნენ და მონაკოს შემოუფრინეს.*



REUTERS რიოდან



## რიოში, რიოში...

ფლამენგო-„ვასკო და გამას“ მატჩები რიოს „მარაკანაზე“ ყოველთვის ბობოქარი და მძიმეა. ამჯერად, საერთობრაზილიურ პირველობაში ჩართული ეს გუნდები უკანმოუხედავ ბრძოლაში შეებნენ ერთმანეთს. თამაში იმგვარი იყო, რომ „მენგოს“ კარში თავდამსხმელ კაიოს ( ფოტოზე) მოუწია ჩადგომამ, რახანლა მეკარე კლემერი ბოლო იმედის ჯარიმისათვის გააძევეს. რომარიომ ბარე სამი გოლი გაიტანა და ყველა თამაშგარედან. მაგრამ სანამ ამას შეიტყობდა, მაისურას გადაიძრობდა ხოლმე და გულისფიცარზე ამობეჭდილ პოლიტიკურ ლოზუნგს უჩვენებდა ხალხს. ლოზუნგი იუწყებოდა: „ჩვენი ქვეყნის მტერი შიმშილია“!

შეხვედრა კი ფრედ, 1:1 დასრულდა.

# ნასიმი დეტროიტში

*გიჟმაჟი ბრიტი მოკრივე ნასიმ ჰამედი დეტროიტში ჩასულა და პატივს მიაგებს დიადი ჯო ლუისის ხსოვნას. მისი სახელობის დარბაზის წინ ნასიმი დიდი მოკრივის შვილს, ჯო ლუის უმცროსს ჩახუტებია. ბრიტი ტყუილად არ ჩასულა ავტომობილთა ამერიკულ სამშობლოში, 22 ოქტომბერს სწორედ ჯო ლუისის დარბაზში უნდა შეერკინოს მექსიკელ სეზარ სოტოს და საბჭოს (ვბკ) ჩემპიონობა წაართვას.*

REUTERS დეტროიტიდან





REUTERS დუბლინიდან



## ჰარლინგიო და...

ირლანდიელთა ეროვნული თამაში, ჰარლინგი ბალახის ჰოკეის ჰგავს და ბევრადაც სჯობს მას. აირიშებს იმდენად უყვართ ჰარლინგი, რომ დუბლინის კროუკ პარკის სტადიონი სამოცდაათმა ათასმა კაცმა გაჭედა, რათა ეხილა საუკუნის უკანასკნელი ფინალი, რომელშიაც კილკინისა და კორკის გუნდები შეებნენ ერთმანეთს. ფოტოებზე ვხედავთ კილკინელთა კაპიტან დანის ბირნისა და კორკელი ბრაიან კორკორანის ორთაბრძოლას. ეს კი კორკელთა მწვრთნელი ჯიმი ბარი-მარფი და კაპიტანი მარკ ლენდერსი არიან თასით ხელში. კორკმა მოიგო — 13:12 და საერთოირლანდიურ ტიტულს დაეუფლა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა ღოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli